ᲕᲔᲚᲘᲢᲠᲐ ᲒᲔᲓᲘᲐ

ᲡᲠᲣᲚᲘ

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

27 მაისი **პარასკევი** 2011
№ 122 (13419) ფასი 60 თეთრი



ᲖᲘᲓᲐᲜᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲐ

ᲡᲮᲕᲐ ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲣᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ 9

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲕᲔᲜᲐᲢᲠᲔᲑᲐ, ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲕᲘᲧᲕᲐᲠᲡ...

ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐ ᲠᲝᲛ ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲐ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲠᲒᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲝᲜᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲓᲐᲚᲐᲡᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲐ...

ᲝᲚᲝᲜᲓ, ᲯᲔᲠ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ

NBA. ᲯᲚᲘᲠᲘ ᲝᲤᲘ. ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ 16

14

ᲙᲘᲛ ᲙᲚᲐᲘᲡᲢᲔᲠᲡᲗᲐ ᲛᲝᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲐᲒᲝ

8 ᲒᲐᲛᲝᲣᲧᲕᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲑᲝᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲔᲜᲡᲐᲪᲘᲐ ᲠᲝᲚᲐᲜ ᲒᲐᲠᲝᲡᲖᲔ

ევროპა ნახავს: GAGRA, GEORGIA

ეროვნული ბიბლიოთეკა

26.05. თბილისი. ბ. პაიჭაძე.
15 000 მაყურებელი

ტორპედო	0	0
გაგრა	0	1

1:0. თოდუა (117. საკუთარ კარში)

ტორპედო 4-4-2	გაგრა 3-4-2-1
მიგინეიშვილი	სეფიაშვილი
ფოფხაძე	ზ. ჩხეტიანი
ს. თოდუა	ტყეშელაშვილი
ფარულავა	კალანდაძე
ჩიკვილაძე	ხუციძე
დოლიძე	ნაკონეჩნი
ბ. დალუნიშვილი	შარიქაძე
თარხნიშვილი	ნ. ჯიშკარიანი
სეთურიძე	ორდინსკი
მეგრელაძე	გაბედავა
გოცირიძე	კვანტალიანი
მწვრთნელი	მწვრთნელი
ბ. გიგატაძე	ა. პისკოვეცი

ტორპედო

72. გოცირიძე - **ვ. კვარაცხელია**
96. დოლიძე - **ქებაძე**
117. თარხნიშვილი - **გუგუჩია**
სათადარიგოები: ქვილითაია, გ. ჩხეტიანი, საბანაძე, მაჭავარიანი

გაგრა

91. ორდინსკი - **კოგერიძე**
117. გაბედავა - **დ. გიგაური**
120. კობერიძე - **ციცხვაია**
სათადარიგოები: ნადირაშვილი, ყიფიანი, ქართველიშვილი, გაბუნია

გაფრთხილება: **თარხნიშვილი (5), ფარულავა (63), ტყეშელაშვილი (64), ფოფხაძე (66), სეფიაშვილი (119), მეგრელაძე (120), კვანტალიანი (120)**
არბიტრი: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი)

"გაგრამ" გუშინ ქართული ფეხბურთის ისტორია გაამდიდრა და გაახალისა - პირველლიგელმა პირველად მოიგო საქართველოს თასი და პირველად მოიპოვა ევროპულ გათამაშებაში მონაწილეობის უფლება, ევროპა პირველად იხილავს ოკუპირებული ქართული ქალაქის გუნდს, ჩვენებურ "ანორთოსისს".

არც ისე კარგად რეკლამირებულმა შეხვედრამ საკმაოდ ბევრი მაყურებელი მიიზიდა და მისვლას არავინ ინანებდა - მართალია, მხოლოდ ერთი გოლი გავიდა, მაგრამ მსგავსი დაძაბული, ლამაზი და საინტერესო ფინალი დიდი ხანია, არ გვინახავს.

თამაშს ორივე გუნდი დანაკლისით შეხვდა: "გაგრას" ლიდერი **ოვონიკოკო** წინა დღეს ვარჯიშზე დაშავდა, "ტორპედოს" კი კაპიტანი **დავით დიღმელაშვილი** დააკლდა.

ყოჩაღ ანატოლი პისკოვეცს. "გაგრას" მთავარი მწვრთნელი დღეს 63 წლის გახდა და გუნდმა დაბადების დღე ღირსეულად მიულოცა. უკრაინელმა სპეციალისტმა დემორალიზებული ფეხბურთელების ერთსულოვან კლუბად ჩამოყალიბა და უმაღლეს ლიგაში დაბრუნება შეძლო, თასისკენ სავალი გზიდან კი საუკეთესო ქართული გუნდები (თბილისის "დინამო", "ვიტ ჯორჯია") ჩამოიცილა და ფინალში "ტორპედოს" ძლევით დამტკიცა, რომ საქართველოს თასის გათამაშებას მოულოდნელი, მაგრამ ღირსეული მფლობელი ჰყავს.

მოსალოდნელი სცენარი ვერ ვიხილეთ, პირველი ლიგის გამარჯვებულს უმაღლესი ლიგის მეოთხეადგილოსნისთვის არაფერი დაუთმია. მეტიც, უფრო აზრიანადაც გამოიყურებოდა: "გაგრას" დაცვა საიმედოდ თამაშობდა, ნახევარდაცვა - სწრაფად და მოქნილად, თავდასხმა - მობილურად და წერტილოვანი დარტყმებით ქუთაისელებს მუდამ უკან დახევას აიძულებდა, რაც მეტოქის შემტევ პოტენციალს ამცირებდა.

"გაგრა" პირველ ტაიმში შეტევის მიმართულებას ხშირად ცვლიდა და გვრჩებოდა შთაბეჭდილება, ასეთი სტრატეგიით პისკოვეცი გამოცდილი ქუთაისელების გადაღლას ცდილობდა. ამაში მთავარი როლი ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატზე ნათამაშებ უკრაინელ **მიკოლა ნაკონეჩნის** დაეკისრა, რომელმაც შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა.

გაგრელები ბურთს არ ახანებდნენ მოედნის ცენტრში და სწრაფი კონტრშეტევები გამოსდიოდათ. ცხადია, "ტორპედოც" მთელი ძალით უტევდა და მადლობა ორივე გუნდს, ასე მონატრებული ღია ფეხბურთი და უამრავი საგოლე მომენტი რომ გვაჩუქეს, ხალხს ხომ სწორედ ეს იზიდავს.

პირველი რეალური საგოლე მომენტი "ტორპედოს" კართან 22-ე წუთზე შეიქმნა: **გიორგი გაბედავას** დარტყმა ძელს მოხვდა. მერე **შალვა კვანტალიანის** მშვენიერი გადაცემით საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილმა **ვლადიმერ ორდინსკიმ** რეალური მომენტით ვერ ისარგებლა.

ქუთაისელების საპასუხო მომენტი **გრიგოლ დოლიძის** აქტიურობას მოჰყვა - **გია მეგრელაძის** დარტყმა კარს მცირე მანძილით ასცდა.

28-ე წუთზე **თენგიზ ჩიკვილაძის** მორიგი გაბრწყინება ვიხილეთ - დაახლოებით 25 მეტრიდან მისი დარტყმული ბურთი ხარიხას მოხვდა, "გაგრას" მეკარე **კონსტანტინე სეფიაშვილი** კი, რომელიც თავგანწირული ნახტომით ცდილობდა თავისიანების გადარჩენას, ძელს შეეჯახა და ბედზე გადარჩა.

31-ე წუთზე **რევაზ გოცირიძემ** აუღებელი თავური დაარტყა - ვერ გეტყვით როგორ, მაგრამ სეფიაშვილმა ეს დარტყმაც მოიგერია.

... პირველი ტაიმის მიწურულს მეტოქეებმა თითო-თითო მომენტი გაცვალეს: ახლო მანძილიდან ორდინსკის დარტყმული ბურთი კარის ხაზიდან "ტორპედოს" მცველმა გამოიტანა, 44-ე წუთზე კი კვლავ დოლიძის მშვენიერი გადაცემა და კვლავ გოცირიძის თავური - ამჯერად "გაგრა" ძელმა იხსნა.

მეორე ტაიმი "ტორპედომ" აგრესიულად და აზრიანად დაიწყო, მაგრამ პირველად მეტოქე "გაგრამ" შეანუხა - მათი კაპიტნის, **გიორგი ტყეშელაშვილის** უძლიერესი დარტყმა **ომარ მიგინეიშვილმა** კუთხურზე მოიგერია.

66-ე წუთი: ისევ დოლიძე-გოცირიძის მშვენიერი კომბინაცია, მშვენიერი თავური და სეფიაშვილის მორიგი სასწაული!

74-ე წუთი: მახვილი კუთხიდან ჩიკვილაძის გასროლას „გაგრას" მეკარემ კვლავ საოცარი რეაქცია შეაგება. 79-ე წუთზე დოლიძის ძლიერი დატყმის შემდეგაც იგივე გამეორდა - სეფიაშვილი ისეთ საოცრებებს სჩადიოდა, რაც ქართველი მეკარეებისგან დიდი ხანია, არ გვინახავს.

გასაოცარი, იცით, რა არის? ჩვენი "პროფესიონალი" მწვრთნელებისა და ექიმების გადამკიდე, ეს ბიჭი ფეხბურთს ორნელინადნახევარი იყო ჩამოშორებული. მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე უმაღლეს ლიგაში ბევრი შთამბეჭდავი მატჩი ჩაუტარებია, უმაღლესი ლიგის არც ერთ გუნდში მისი ადგილი არ მოიძებნა, სანამ "მერანის" სტადიონზე ეულად მოვარჯიშე ანატოლი პისკოვეცმა არ შენიშნა. გუშინ კი გამოჩნდა, რომ საქართველოში უნიჭიერეს მეკარეს "გვიმალავდნენ".

ქუთაისელებმა მეტოქეს ვერაფერი მოუხერხეს, დაღლა დაეტყოთ და "გაგრა" კვლავ გააქტიურდა, მაგრამ რეალური საგოლე მომენტი არ შეუქმნია.

ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, დამატებითში ტემპი მნიშვნელოვნად არ დაცემულა, თუმცა გუნდები უფრო ფრთხილად თამაშობდნენ და მომენტიც ნაკლები იყო.

106-ე წუთზე ნაკონეჩნის უძლიერესი დარტყმა მიგინეიშვილმა მოიგერია, მაგრამ "ტორპედოს" მეკარემ გუნდი 116-ე წუთზე ვეღარ იხსნა: ნაკონეჩნის მიერ საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთის მოგერიებას ქუთაისელთა კაპიტანი **სევასტი თოდუა** ცდილობდა, მოგერიების ნაცვლად კი ბურთი კარისკენ გაგზავნა და ... გაგრელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა - 0:1.

ტორპედოელთა მცდელობას, ანგარიში გაეთანაბრებინათ, შედეგი არ მოჰყოლია და მოხდა ის, რამაც "გაგრას" პრეზიდენტ **ბესო ჩიხრაძეს** ათქმევინა - ჩვენ ევროპას ნაღდ, ქართულ აფხაზეთს ვაჩვენებთო.

მერაბ მამულაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს„ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. *ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გეძდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ნაკრები

ფოტო: www.gff.ge

კვირაკველიამ ივარჯიშა, დღეს კი სპარინგია

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა გუშინ "ბასაზე" მხოლოდ ერთხელ, დილის 11 საათზე ივარჯიშა, საღამოს კი გუნდი ერთგვარად განიტვირთა და სრული შემადგენლობით საქართველოს თასის ფინალს დაესწრო.

სანაკრებო ბანაკში გუშინ განსაკუთრებული სიახლეები არ მომხდარა. წამყვან ფეხბურთელთა ნაწილის ჩამოსვლას კვლავაც ელიან, თუმცა ეს საწვრთნელ პროცესს ვერ აფერხებს, რადგან **თემურ ქეცბაიას** სახორვატიოდ საკმაო რაოდენობის ფეხბურთელები ჰყავს გამოძახებული.

უკვე გაცნობეთ, რომ გუშინწინდელი ვარჯიშისას წარბი დაიზიანა **დავით კვირკველიამ**. საბედნიეროდ, მისი მდგომარეობა საგანგაშო არ აღმოჩნდა და საავადმყოფოში ვიზიტის შემდეგ გუნდს მალევე დაუბრუნდა. კვირკველია გუშინდელ ვარჯიშზე სრულად დაიტვირთა.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც უკვე არიან ქეცბაიას განკარგულებაში: **გიორგი ლორია, როინ კვასხვაძე, არდალიონ მიქაბერიძე, კახა კალაძე, აკაკი ხუბუტია, გურამ კაშია, უჩა ლობჟანიძე, კახა ალადაშვილი, გიორგი ხიდეშელი, გიორგი რეხვიაშვილი, დავით კვირკველია, თორნიკე გორგიაშვილი, ჯაბა კანკავა, მურთაზ დაუშვილი, ირაკლი მაისურაძე, სანდრო გურული, ჯაბა ლიპარტია, ალექსანდრე იაშვილი, გიორგი ადამია, ნიკოლოზ გელაშვილი, ირაკლი მოდებაძე.**

საბედნიეროდ, თბილისში მყოფი ნაკრების ყველა წევრი თუ კანდიდატი თავს ჯანმრთელად გრძნობს.

ჩამოსასვლელები არიან **ნუკრი რევიშვილი, ალექსანდრე ამისულაშვილი, ლაშა სალუქვაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, გია გრიგალავა, გოჩა ხოჯავა, ჯანო ანანიძე, ვლადიმერ დვალიშვილი, დავით სირაძე** და **მათე ვაწაძე.** ამათგან ნაკრებს ყველაზე გვიან შეუერთდება ზურაბ ხიზანიშვილი, რომლის "რედინგიც" ინგლისურ პრემიერლიგაში გადასასვლელ ფინალში 30 მაისს "სუონსის" დაუპირისპირდება.

დღეს კი "ბასაზე" საინტერესო სპარინგია – ერთმანეთს საქართველოს ეროვნული და ახალგაზრული ნაკრებები გაეჯიბრებიან და ქეცბაიასა და **ოთარ გაბელიას** გამოძახებული მოთამაშეების საქმეში ხილვის შესანიშნავი საშუალება მიეცემათ.

ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ჩემპიონატი

ზვიად სიჭინავა

უმაღლესში უგარანტიოდ არავის დავუშვებთ

საქართველოს ახალი ჩემპიონატის დაწყებამდე ბევრი დაპირებაა ინფრასტრუქტურის მონესრიგების შესახებ. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** თქმით, ამის თაობაზე მთავრობის სხდომაზე იმსჯელეს და ფედერაციამ პროექტების განხორციელების გარანტიებიც მიიღო. ცხადია, ეს ძალიან კარგია, რადგან დიდი ხანია, ჩვენს მოედნებს პატრონის ხელი დააკლდა და ისეთ საშინელ მდგომარეობაშია, იქ თამაში კი არა, შირაქის საძოვრების ფილიალის გახსნაც უხერხულია – ასეთ მინდვრებზე ევროპული ძროხა არც იბალახებს.

მაგრამ ჯერ არ არსებობს სრული გარანტია, რომ უმაღლეს ლიგაში გადასულ ყველა კლუბს დააფინანსებენ. ასეთი დაპირება სახელმწიფოსაც არ გაუცია.

"სახელმწიფო კლუბების ფინანსური უზრუნველყოფის გარანტი აქამდეც არ ყოფილა და არც გახდება. გარანტიას დღეს მთავრობა იმის შესახებ იძლევა, რომ ინფრასტრუქტურას განაახლებს და გაუმჯობესებს. მიხარია, რომ უმაღლეს ლიგაში გადმოსულ კლუბებს არ უჭირთ და საკმარისი თანხები აქვთ. საერთოდ, უმაღლესში თამაშამდე კლუბებმა უნდა წარადგინონ გარანტია, რომ სეზონს ფინანანსური პრობლემების გარეშე დაამთავრებენ და ჩემპიონატს შუა გზაზე არ მიატოვებენ," – გვითხრა სიჭინავამ.

რა ელით იმ კლუბებს, რომლებიც უმაღლეს ლიგაში წარსადგენ გარანტიებს ვერ მოიძიებენ? ამ კითხვაზე ფედერაციის პრეზიდენტი ამბობს: „ ლიგაში აუცილებლად იქნება 12 გუნდი, მაგრამ ყველას უნდა ჰქონდეს გარანტია. თუ გადასულმა კლუბმა გარანტია ვერ წარადგინა, უმაღლეს ლიგაში ვერ ითამაშებს, მის ნაცვლად კი პირველი ლიგის იმ კლუბს დავუშვებთ, რომელსაც ფულის პრობლემა არ ექნება".

მერაბ მამულაშვილი

ილია კოკაია (მარცხნივ) და ზვიად სიჭინავა

ფოტო: www.fczestafoni.ge

ილია კოკაია

ახალი ფორმატით ხარჯი არ გაგვეზრდება

მოგეხსენებათ, მეტი მატჩი მეტი ხარჯია, სტუმრად შეხვედრის ორგანიზებისთვის გუნდს მინიმუმ 1500 ლარი სჭირდება. ცხადია, ამბიციურ და წარმატებულ გუნდებს მეტი პრემიის გაცემაც უწევთ. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ახალი რეგლამენტის გაცნობამდე ბევრს ფინანსური მხარეც აფრთხობდა, რადგან არასწორად დასახელდა მატჩების რაოდენობა - ბევრმა ჩათვალა, რომ 12 გუნდი ოთხ წრედ ითამაშებდა, ანუ 44 შეხვედრის გამართვა მოუწევდა.

12-გუნდიანი ჩემპიონატის მიუხედავად, გუნდები იმდენსავე შეხვედრას გამართავენ, რამდენსაც 10-გუნდიანი პირველობისას – 36-ს (22 მატჩს საწყის ეტაპზე, 14-ს ფინალურზე).

ამიტომაც უმაღლესი ლიგის გაფართოება გუნდების ხელმძღვანელებს ფინანსური თვალსაზრისით აღარ აშინებთ.

"მატჩების რაოდენობა არ იცვლება არც ჩემპიონატში და არც თასზე, ასე რომ, ფინანსურად არ ვიზარალებთ. პირიქით, წარმატებული კლუბები პრემიებს მივიღებთ. სხვათა შორის, კალენდარი ისე შედგა, ჩვენი კლუბების ევროთასების შორეულ ეტაპზე გასვლაც გათვალისწინებულია. ასეთ კალენდარს გარკვეული ფსიქოლოგიური დატვირთვაც აქვს, რადგან ფეხბურთელები აღარ იფიქრებენ, რომ ევროტურნირებს აუცილებლად საწყის ეტაპზე გამოეთიშებიან.

მთავარი პრობლემა მოედნები იყო, მაგრამ ფედერაციის პრეზიდენტის ნათქვამმა, რომ სახელმწიფომ გარანტიები მოგცეცა, დაგვარწმუნა, რომ ეს რეალური პროექტია. ამიტომ დავყაბულდით, თორემ ერთი ადგილის ტკეპნა გამოგვდიოდა" – გვითხრა კოკაიამ.

მერაბ მამულაშვილი

მეტროქე

ბილიჩს თავსაბეჭი არ ელევა

ხორვატიას საქართველოსთან კლასნიჩი უბრუნდება

ხორვატიის ნაკრებს საქართველოსთან მოახლოებული დაპირისპირების წინ ბედმა აშკარად ზურგი აქცია. ლამის ყოველდღიურად ვიგებთ ხორვატთათვის უსიამოვნო ამბებს.

ბოლო ინფორმაციით, 3 ივნისს სპლიტში თამაშის უმცირესი შანსი აქვს **მლადენ პეტრიჩს**. "ჰამბურგის" ფლანგელი იმედს არ კარგავდა, რომ მატჩამდე სრულად გამოჯანმრთელებას მოასწრებდა, მაგრამ ბოლო სამედიცინო გამოკვლევამ საპირისპირო სურათი აჩვენა.

სლავენ ბილიჩმა ნაკრებში **ივან კლასნიჩი** გამოიძახა. ალბათ გახსოვთ, რამდენიმე წლის წინ იგი ხორვატიის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფორვარდი იყო, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის გამო გვარიანი დრო გაუცდა და დიდი ხანია, ეროვნულ გუნდში აღარ გამოჩენილა. 31 წლის კლასნიჩი, რომელმაც სახელი ბრემენის "ვერდერში" თამაშით გაითქვა, დღეს ინგლისური "ბოლტონის" ღირსებას იცავს. ხორვატიის ნაკრებში მან 39 მატჩი ჩაატარა და 12 გოლი გაიტანა. კლასნიჩმა ნაკრებში ბოლოს 2009 წლის მინურულს ითამაშა.

"უნდა ვაღიაროთ, რომ მლადენის საქართველოსთან თამაშის შანსი ძალიან მცირეა. იგი ბევრს ეცადა, მაგრამ სანაკრებო მატჩამდე დარჩენილ მოკლე დროში ფორმის აღდგენას, ალბათ, ვერ მოასწრებს", - ნათქვამია ხორვატიის ნაკრების სამედიცინო შტაბის განცხადებაში.

ბილიჩი მოხარულია, რომ გუნდს დაუბრუნდა დონეცკის "შახტარის" თავდამსხმელი **ედუარდო,** რომელმაც თბილისური მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა.

ხორვატთა კიდევ ერთი დანაკლისი, რომლის შესახებაც ახლახან გახდა ცნობილი, "ლიონის" ცენტრალური მცველი **დეიან ლოვრენია**. 21 წლის უკანახაზელმა უმოკლეს დროში შეძლო ფრანგული კლუბისა და ნაკრების ძირითადში დამკვიდრება და მისი არყოფნა ხორვატთა დაცვას უთუოდ შეასუსტებს.

ხორვატებს კიდევ ერთი ძირითადი



სლავენ ბილიჩი

მცველი, დნიპროელი **ივან სტრინიჩიც** დააკლდებათ, თუმცა განსაკუთრებული პრობლემები ბილიჩს მაინც წინა ხაზში აქვს. მიმდინარე შესარჩევ ციკლში ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი **ნიკო კრანჩარი** დისკვალიფიცირებულია, ხოლო შემტევი ნახევარმცველები, **ივან რაკიტიჩი** და **ივო ილიჩევიჩი** ქართველებს ტრავმის გამო ვერ დაუპირისპირდებიან.

რამდენიმე დღის წინ ხორვატიის ნაკრებს უბედური შემთხვევის გამო კიდევ ერთი წევრი დააკლდა. თურქული "ანკარაგიუჯუს" 24 წლის ნახევარმცველი **დრაგო გაბრიჩი**, რომელიც სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრაზე პრეტენზიას აცხადებდა, ავტოავარიაში მოყვა და სიკვდილს ებრძვის.

ბილიჩმა სარეზერვო სიას გადახედა და ნაკრებს ლევერკუზენის "ბაიერისა" და პრაღის "სპარტას" მცველები, **დომაგოი ვიდა** და **მანუელ პამიჩი** დაამატა.

ალბათ ხორვატთა ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავის, **ლუკა მოდრიჩის** კომენტარიც დაგაინტერესებთ. "საქართველოსთან შეხვედრა ჩვენთვის, შესაძლოა, უმნიშვნელოვანესიც კი იყოს მიმდინარე შესარჩევ ტურნირში. ასე რომ, საკადრო პრობლემების მიუხედავად, ვალდებულნი ვართ, სპლიტში ჩვენი საუკეთესო თვისებები გამოვავლინოთ და სამი ქულა აუცილებლად მოვიპოვოთ", - აცხადებს ხორვატიის ნაკრებისა და ლონდონის "ტოტენჰემის" ლიდერი.

ლევან ჯანეზაშვილი

ლეგიონერები

ვოლგას ქართველები მონასტერში

ნიუნი ნოვგოროდის "ვოლგას" მთავარი მწვრთნელი **ომარ თეთრაძე** და ქართველი ლეგიონერები, **ოთარ მარცვალაძე, გოჩა ხოჯავა** და **მათე ვაწაძე** ოჯახებით ქალაქის ერთ-ერთ მონასტერსა და იქვე მდებარე საშუალო სკოლას ეწვივნენ. ჩვენმა თანამემამულეებმა ბავშვებს ბურთები და სათამაშო ფორმები აჩუქეს, სხვადასხვა საფეხბურთო კომპონენტში მასტერკლასი ჩაუტარეს და სკოლის აღსაზრდელებისთვის არც ფოტოების გადაღებასა და ავტოგრაფებზე უთქვამთ უარი.

ამის შემდეგ ქართველებმა მონასტერში ილოცეს, მონაზვნებს საქმიანობაში მიეხმარნენ, და მათთან ერთად იტრაპეზეს.

ლევან ჯანეზაშვილი

FM 107,9

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".

ინტერვიუ ლევან მჭედლიძესთან

დაბრუნდება მჭედლიძე სერია A-ში?

ემპოლი ლევანს ახალ კონტრაქტს სთავაზობს

ლევან მჭედლიძე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე გამოცხადდა, რამაც გულშემატკივარი დააიმედა - იტალიის სერია B-ს "ემპოლის" თავდამსხმელს დიდი ხანია, არც ეროვნულ გუნდში უთამაშია და არც ახალგაზრდულში. მიზეზი ყველამ იცის, ტრავმებმა 21 წლის ფორვარდი ძალიან გააწვალა.

- როგორც იქნა, სანაკრებო შეკრებაზე გიხილეთ.

- ღმერთის წყალობით, მოვმჯობინდი და, ცხადია, ნაკრების შეკრებაზე გამოვცხადდი. სამწუხაროდ, ახალგაზრდული ნაკრებს ვერც წინა ციკლში დავეხმარე და ვერც ავსტრიის ტურნირზე. იმედია, ამას ახლა მაინც შევძლებ.

- ხორვატიასთან მატჩზე რას იტყვი?

- ძალიან მძიმე თამაში გველის, მაგრამ იმედია, შესარჩევ ციკლს მოგებით დავიწყებთ.

- რაც მთავარია, ჯანმრთელად ხარ.

- საბედნიეროდ, ასეა. წლეულსაც ორჯერ მომიხდა დასვენება, ორჯერვე კუნთი ერთსა და იმავე ადგილას გამიწყდა. ამის გამო გასული წლიდან დღემდე ექვსი თვე ვერ ვვარჯიშობდი.

- თუ არ ვცდები, მთლიანობაში ორი წელი გაგიცდა.

- შესაძლოა, მეტიც, კუნთის გაწყვეტის გარდა, მუხლზე ოპერაცია დამჭირდა. ეროვნულ ნაკრებში შოტლანდიასთან ჩატარებული იმ დაუვიწყარი შეხვედრის შემდეგ მართლაც დიდი დრო გამიცდა. მოკლედ, ძალიან გავწვალდი. ახლა ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ ვარ და ბევრად უკეთესად ვგრძნობ თავს. იმედია, ტრავმები აღარ შემანუხებს.

- იტალიელებს მსოფლიოში საუკეთესო სამედიცინო სამსახური აქვთ და როგორ ვერ დაადგინეს, გახშირებული ტრავმები რისი ბრალი იყო?

- შესაძლოა, ზედმეტი დატვირთვების. რა დოზითაც სხვებს ავარჯიშებდნენ, შეიძლება, ჩემთვის ზედმეტი იყო. კუნთი გადაიტვირთა, გუნდში კი ამ საკითხს ინდივიდუალურად არ მიუდგნენ.

- ახლა ინდივიდუალურად გტვირთავენ?

- ასეა და ექიმებიც ყურადღებას მაქცევენ, ფიზიოთერაპევტებიც და ყველაფერი კარგად არის.

- შეკრებაზე შენი დროულად ჩამოსვლა "ემპოლის" გამოსვლაზე იყო დამოკიდებული, მოხვდებოდა თუ არა პლეი ოფში.

- სამწუხაროდ, სერია A-ში გადასვლა ვერ მოვახერხეთ. გადამწყვეტი შეხვედრა "ტორინოსთან" 1:1 დავასრულეთ. ბევრი საგოლე მომენტი გვქონდა, მაგრამ "ტორინოს" კარში ჩემი ყოფილი თანაგუნდელი რუბინიო იდგა და ისე კარგად ითამაშა, მეორე გოლი ვერაფრით გავუტანეთ. ასე დავკარგეთ გადასვლის შანსი და მეც შეკრებაზე წამოვედი. ახლა მხოლოდ ხორვატიასთან შეხვედრაზე ვფიქრობ. ნაკრებში არათუ თამაში, ვარჯიშიც ძალიან მომენატრა.

- ტრავმებით გამოწვეული ფსიქოლოგიური სტრესის დაძლევა ძნელი იქნებოდა.

- ეროვნულ გუნდში თამაშს რომ გაუგებ ვემოს და მერე ტრავმების გამო ვერ ჩამოდიხარ, რა თქმა უნდა, გიჭირს, განიცდი. ფსიქოლოგიურად მძიმე მდგომარეობაში ვიყავი. რომ არა ოჯახის წევრებისა და მეგობრების თანადგომა, ამის გადატანა გამიჭირდებოდა. ვინყებდი ვარჯიშს და არ ვიცოდი, როდის დავშავდებოდი. იტალიელი თანაგუნდელებიც ძალიან დამეხმარნენ, თავი არ დახარო, გჯეროდეს, რომ ეს ყველაფერი დროებითია და მოედანს მალე დაუბრუნდებიო.

ამიტომაც არის, კარგად მესმის ლევან ყენიასი. უნიჭიერესი ფეხბურთელია, მაგრამ თითქმის ორი წელია, ვერ თამაშობს. ვიცი, რაც ხდება მის გულში, ახლა ყველაზე მეტად სჭირდება გამხნევება. თუმცა დარწმუნებული ვარ, ლევანი მოედანს მალე დაუბრუნდება.

- უკვე დროც არის, შენმა თაობამ თავისი სიტყვა თქვას, 21 წელი პატარა ასაკი აღარ არის.

- ეს ის ასაკია, როდესაც შენი შესაძლებლობები უნდა გამოავლინო და ნაკრებისა და კლუბისთვის მეტის გაკეთებას ეცადო.

- ტრავმის შიში ხომ არ გაგიჩნდა?

- არანაირი შიში არ მაქვს, პირიქით, მინდა ვითამაშო, რაც შეიძლება მეტი გავიტანო.

- კლუბს შეიცვლი თუ კვლავ "ემპოლიში" რჩები?

- ჯერ არ ვიცი, "ემპოლისთან" კონტრაქტი ერთი წლის შემდეგ მიმთავრდება, კლუბმა კი უფრო ხანგრძლივი ხელშეკრულების გაფორმება შემომთავაზა. მაგრამ საამისოდ დალაპარაკებაა საჭირო. ჯერ პასუხი არ მითქვამს, სხვა ვარიანტებიც არის და არ ვჩქარობ.

- სერია A -ს კლუბები გინვევენ?

- სერია A-ს კლუბებიც დამიკავშირდნენ, მაგრამ ჯერ მათი დაკონკრეტება არ მინდა. ახლა ტრავმის შემდეგ ფორმის აღდგენა მსურს, "ემპოლიში" კი თავს კარგად ვგრძნობ, მენდობიან, მათამაშებენ და, ცხადია, დაფიქრება მჭირდება, ღირს კი ჩემს მდგომარეობაში კლუბის შეცვლა. გადაწყვეტილების მიღებისას კი აჩქარება არ მარგებს. ვნახოთ, ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული.

მერაბ მამულაშვილი

სამტრედია

ბიუჯეტი მილიონი იქნებაპო

"სამტრედია" უმაღლეს ლიგაში დასარჩენად 30 მაისს ეროვნულ სტადიონზე გორის "დილას" შეხვდება. გუნდის გულშემატკივრები მობილიზებულები არიან და თბილისში ჩამოსასვლელად ემზადებიან.

"სამტრედიას" პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შემსრულებელი ირაკლი ახობაძე ამ მატჩის სამზადისზე გველაპარაკა.

- ვიცით, რომ შეკრება დაიწყეთ, საამისო ფინანსები თუ მოიძიეთ?

- დიახ, გუნდი უკვე შეკრებაზეა და საამისო თანხებიც გამოვნახეთ, რაშიც ქალაქის ხელმძღვანელობა დაგვეხმარა. დაგვიბრუნდა თავდამსხმელი პაატა ბაკარანძე, რომელიც საკმაოდ კარგ ფორმაშია.

- გაუგებრობა გამოიწვია ჩომახიძესთან დაკავშირებულმა ინფორმაციამ.

- ჩომახიძე ვერ დაგვეხმარება, რადგან ის გუნდიდან წასულია.

- გადათამაშებაში გორელებს რომ მოუგოთ, რა გარანტია გაქვთ, რომ ამ სეზონის ამბები არ განმეორდება და გუნდს ფინანსური პრობლემები აღარ შეექმნება?

- იმედი გვაქვს, გუნდის ფინანსური პრობლემები მოგვარდება. ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ თქვა, რომ სამტრედიის სტადიონზე მოედანი მოეწყობა. ახალ ტაბლოსაც ამონტაჟებენ. რაც შეეხება კლუბის დაფინანსებას, ამის თაობაზე მიმდინარეობს მოლაპარაკება.

- ვისთან მიმდინარეობს და როგორ ბიუჯეტს იმედოვნებთ?

- "სამტრედიას" დაფინანსებაზე მოლაპარაკება რამდენიმე კომპანიასთან მიმდინარეობს. როგორც ვიცით, ლაპარაკია მილიონი ლარის ბიუჯეტზე.

- ასეთი ლაპარაკი ამ სეზონის დაწყებამდეც იყო და ახლა რა გარანტიაა, რომ დანაპირები შესრულდება?

- დანაპირების განხორციელება ახლა უფრო რეალურია, ბევრად უფრო სერიოზულ გარანტიებზეა ლაპარაკი, რადგან საქართველოს ჩემპიონატის გაძლიერებაზე მთავრობა ზრუნავს.

- ჩემპიონატის დაწყებამდე "სამტრედიამ" უმაღლესი ლიგისთვის საჭირო ლიცენზია ვერ მიიღო. მიზეზი ფინანსური გარანტიების უქონლობა იყო.

- ვფიქრობ, ორივე საკითხს მოევლება, თუ სერიოზული ფინანსური მხარდამჭერი გვეყოლება. წინა სეზონში უმაღლესში გადმოსულმა ჩვენმა კლუბმა 300 ათას ლარზე ცოტა მეტი ბიუჯეტით მოახერხა ის, რომ ბევრად მდიდარი კლუბები ჩამოიტოვა. თუ ყველაფერი კარგად იქნა და მილიონიანი ბიუჯეტი დაგვიმტკიცეს, "სამტრედია" ახალ სეზონს საკამოდ მოღონიერებული დახვდება და ძალიან კარგი კლუბიც იქნება.

- ლიცენზირებაში პრობლემა იმანაც შეგიქმნათ, რომ გუნდის მთავარ მწვრთნელს შესაბამისი სამწვრთნელო ლიცენზია არ ჰქონდა.

- მწვრთნელთა ლიცენზირება არცთუ ცოტა ღირს, მაგრამ, პლეი ოფი თუ მოვიგეთ და ბიუჯეტიც გაგვეზარდა, მწვრთნელის ლიცენზიასაც მოევლება.

მერაბ მამულაშვილი

I ლიგა, ბოლო ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტვილი-იმერეთი 2:0

24.05. მარტვილი. „ცენტრალური". 500 მაყურებელი

1:0 გ. ამბროლაძე (37), 2:0 გ. ამბროლაძე(39)

მარტვილი: ლ. გორდეზიანი, ვ. იობაშვილი, ი. ფაცაცია, ც. მონიავა (77. ა. სუხიაშვილი), კ. მელიავა, ჟ. იატრო (46. დ. დიდმარხვაშვილი), გ. მემარნიშვილი, დ. ბერუაშვილი გ. ამბროლაძე, ო. ტორაძე, მ. ტაპე (57. პ. მონიავა)

სათადარიგოები: ჯ. შერროზია, გ. თოდუა, გ. ჟვანია, ლ. კუჭუხიძე

მწვრთნელი: მ. ჟვანია

იმერეთი: ი. შენგელია (46. ვ. კახეთელიძე), თ. ხარებავა (46. ვ. ბრეგაძე), ჯ. ჯანელიძე, დ. ხაბურძანია, დ. გოდერიძე, ჯ. ლოლუა, ა. მეტონიძე, ლ. კირკიტაძე, გ. უფლავა, ი. ასათიანი (67. გ. ხვიჩია), გ. ცაგარეიშელი.

სათადარიგოები: რ. კაშია, გ. ქოძალია, დ. ფუსტვენიძე, დ. კუხალაშვილი

მწვრთნელი: დ. ჭელიძე

გაფრთხილება: ა. მეტონიძე

არბიტრი: ი. ურუშაძე (ლანჩხუთი)

მეშახტე-ბათუმი 0:1

24.05. ტყიბული. „ვ. ბოჭორიშვილი". 200 მაყურებელი

0:1 ნ. დიასამიძე (34)

მეშახტე: ი. ორბელაძე, ა. ქუთათელაძე, ბ. ბერაია, ლ. მაჩალაძე (80. ბ. შარვაშიძე), ა. გუბელაძე, ვ. აფციაური, გ. ჯიშიაშვილი, ა. ნოზაძე (72. ა. სახელაშვილი), ბ. ჯიშიაშვილი, გ. აბურჯანია (86. თ. ღვინიაშვილი), გ. გვენეტაძე.

სათადარიგოები: ვ. ქაჭიაშვილი, დ. ოდიშარია

მწვრთნელი: მ. ბაბუხადია

ბათუმი: შ. მამინაშვილი, მ. ფარტენაძე, ზ. ლობჟანიძე, ა. ბაჯელიძე, კ. მაკარიანი, მ. ჟვანია, გ. მანწკავა, გ. ჯორბენაძე (89. ლ. რამბაშვილი), ნ. დიასამიძე, ზ. ხაჭიპერაძე (80. ა. ბაციკაძე), თ. ბერიძე (66. დ. სამსეიშვილი)

სათადარიგოები: ე. გრიგალაშვილი, რ. თევდორაძე

მწვრთნელი: ა. გოგიტიძე

არბიტრი: კ. ქაჭუა (ქუთაისი)

კოლხეთი (ხ)-ნ/დინამო 1:0

24.05. ხობი. ცენტრალური. 200 მაყურებელი

1:0 თ. ღლონტი (58)

კოლხეთი: ზ. გელაშვილი, ო. ფიფია, გ. გოგენია, ვ. ფირცხალავა, ც. ბუკია, კ. ალანია (80. ლ. მეფიშვილი), ი. კუტალია (66. ბ. ბუკია), მ. ჭკადუა, გ. ლომაია (74. ლ. ჩაჩიბაია), თ. ღლონტი, ლ. გოგენია

სათადარიგოები: გ. ხუნჭუა, კ. გოგენია, რ. ადონია, პ. გაბრავა

მწვრთნელი: კ. ხურციელავა

ნ/დინამო: ა. ბილიხოძე, გ. ჩუბინიძე, გ. ლომიძე, ზ. ძაგანია, თ. ქირია, თ. ნემსაძე, ვ. ნემსაძე (46. გ. ჯაჭვაძე), ზ. კვარაცხელია, ა. ხვთისავრიშვილი, დ. ქიმერიძე, გ. თანიაშვილი, მ. ლომაია

მწვრთნელი: ვ. გაგუა

გაფრთხილება: თ. ღლონტი, ლ. მეფიშვილი; მ. ლომაია

გაძევება: მ. ლომაია

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი (ქიათურა)

გაგრა-ჭიათურა 2:1

24.05. თბილისი. „მერანი". 300 მაყურებელი

0:1 დ. სევასტოპულო (41), 1:1 გ. გრძელიძე (60), 2:1 დ. ციცხვაია (77)

გაგრა: ლ. ნადირაშვილი, ჯ. გაბუნია, დ. ჯანაშია (46. გ. ჯოხაძე), ბ. ვეფხვიძე, ზ. ჭიპაშვილი (58. ლ. ყიფიანი), გ. გრძელიძე, ნ. ჭკუასელი (46. ნ. ხოჯაშვილი), ბ. ქართველიშვილი, გ. ყურულაშვილი, დ. ციცხვაია, თ. მოსიაშვილი

სათადარიგო: ი. მაღრაძე, გ. ბაზუაშვილი, გ. ცაავა, გ. როსტიაშვილი

მწვრთნელი: ა. პისკოვეცი

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, ნ. ტყემალაძე, გ. ბრეგვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ლ. ცუცქირიძე, ა. დოლონაძე, ლ. ქურდაძე, დ. ტაბატაძე, ლ. კურტანიძე, გ. ცუცქირიძე, დ. სევასტოპულო (77. თემირ მიშველიძე).

სათადარიგოები: გ. ზაბახიძე, თემურ მიშველიძე, ჯ. ლაშხი, ბ. ჭუმბურიძე

მწვრთნელი: ა. სევასტოპულო

გაფრთხილება: ბ. ქართველიშვილი; ლ. კობახიძე, ნ. გაფრინდაშვილი, დ. ტაბატაძე

გაძევება: ლ. კობახიძე

არბიტრი ა. კრიჭაშვილი

ჩხერიმელა-მერსხალი 1:1

24.05. ხარაგაული. „ცენტრალური". 200 მაყურებელი

0:1 ზ. ტულუში (საკუთარ კარში), 1:1 ლ. ჩხაიძე (4).

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე, ვ. ტაბატაძე, ნ. ხარაბაძე, ა. ქაშაკაშვილი (81. ლ. გუმბერიძე), ლ. მახარაძე (61. ა. ლაბაძე), გ. კუხიანიძე, გ. თურმანიძე, ჯ. ავალიშვილი, გ. ზაქარაშვილი. კ. ძაგანია, რ. ჩიხლაძე

სათადარიგოები: ვ. თაბუკაშვილი, ც. ხარაბაძე, მ. ლომსაძე, კ. კუბლაშვილი, გ. ხეცურიანი

მწვრთნელი: მ. ხუნდაძე

მერსხალი: ი. მურუსიძე, ვ. ტუტოიანი, მ. ქობულაძე, ზ. ტულუში, ზ. ხურციძე, სერგო გ. ჩიგოგიძე, კ. ნაკაიძე (71. ო. ჭელიძე), ლ. ათუაშვილი (61. ი. ბაჯელიძე), სერგო ჩიგოგიძე, ლ. ხაბაძე, რ. ჭეიშვილი

სათადარიგოები: ბ. გოლიაძე, ლ. კოტრიკაძე

მწვრთნელი: ხ. ჩხატარაშვილი

გაფრთხილება: ნ. ხარაბაძე, კ. ძაგანია, რ. ჩიხლაძე; რ. ჭეიშვილი, ზ. ხურციძე

არბიტრი: თ. ხუჭუა (სამტრედია)

ადელი-სპური 2:0

24.05. ბათუმი. „ადელი". 450 მაყურებელი

1:0 ზ. გობეჯიშვილი (70), 2:0 ა. აბუსერიძე (78)

ადელი: ი. დევაძე, მ. ფუტკარაძე, გ. ხაჩიძე, ნ. წულუკიძე, გ. ფალავანდიშვილი (70. ჯ. მერაბიშვილი), ნ. ნასუაშვილი (86. ზ. მეავანაძე), ა. ლორია (55. დ. ჯალაღანია), ლ. მამეიშვილი, ზ. გობეჯიშვილი, ა. აბუსერიძე, ს. კახიძე

სათადარიგოები: გ. რომანაძე, ლ. კვანტალიანი

მწვრთნელი: გ. ჯორბენაძე

სპური: ვ. ჯომიდავა, ბ. სვანიძე, ე. ფარცვანია, თ. ვერგედავა, ზ. მოლაშხია, დ. რაფავა, ბ. გუჯეჯიანი (83. ა. მიქენაია), ბ. გვილია, ლ. ქანთარია, ლ. გაბუნია, გ. ჭკუასელი

სათადარიგოები: ტ. ხარჩილავა, გ. კვირკვია, დ. ჩახაია, ი. ნაჭყებია, გ. აკობია, ი. მალიჩავა.

მწვრთნელი: ვ. გულორდავა

გაფრთხილება: ნ. ნასუაშვილი, გ. ფალავანდიშვილი, ლ. მამეიშვილი, მ. ფუტკარაძე

არბიტრი: გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

ლოკომოტივი-დილა 0:1

24.05. საგურამოს ბაზა. 200 მაყურებელი

0:1 რ. გოგინაშვილი (70, პენალტით)

ლოკომოტივი: გ. ნაჭყებია, ა. შენგელია, დ. გაბელია, ნ. ჭანტურია, გ. მჭედლიშვილი, გ. ბოჭორმელი, ბ. მახარაძე, ლ. კვარაცხელია (62. თ. ჩარგეიშელი), გ. შარანგია (72. დ. ჯიქია), დ. მიქავა, ნ. შერაზადიშვილი (46. დ. დარციმელია).

სათადარიგოები: გ. ასლამაზიშვილი, მ. მაკარაშვილი, გ. კაკაბაძე, გ. გაბაძე

მწვრთნელი: ლ. ჭალიაშვილი

დილა: ბ. შეყრილაძე, ო. ცარიელაშვილი, გ. ქარქუზაშვილი, ი. ლომიძე, დ. ჭითანავა, ნ. ნოზაძე (78. ლ. თედიაშვილი), ვ. ჯოჯუა, ვ. ნემსაძე, დ. რაჟამაშვილი (84. თ. ბარამიძე), რ. გოგინაშვილი, რ. ახალაძი (78. ნ. სადაღაშვილი)

სათადარიგოები: ბ. კეჩხუაშვილი, თ. შათირიშვილი, ა. სირბილაძე, დ. ტლაშაძე

მწვრთნელი: გ. ციცაძე

გაფრთხილება: დ. დარციმელია; ო. ცარიელაშვილი

გაძევება: ბ. მახარაძე, დ. გაბელია; ვ ნემსაძე

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)

სამგურალი-ჩიხურა 1:1

24.05. წყალტუბო. „26 მაისი". 500 მაყურებელი

0:1 ა. ალავიძე (29), 1:1 ზ. ქუთათელაძე (55)

სამგურალი: დ. ხურციელავა, ლ. ცხადაძე, გ. ჯიმშელეიშვილი, ზ. ჩიხლაძე, გ. ჩიხლაძე, ბ. უგრეხელიძე, ნ. უგრეხელიძე, ზ. კუხალაშვილი. გ. უგულავა, ზ. ქუთათელაძე (70). გ. თუთბერიძე), ლ. ნავერიანი.

სათადარიგოები: ბ. ფირცხალავა, მ. მესხი, ლ. მესხი, ე. ბუხაიძე, ი. შალიკაშვილი, გ. თევდორაძე

მწვრთნელი: ტ. მანგაძე

ჩიხურა: გ. ბეგაშვილი, ე. ზივზივაძე, ლ. ჩაგელიშვილი, ი. გვეტაძე, ი. ტყვეზურავა, ი. ზაბახიძე, გ. ქიმაძე, დ. ქამუშაძე, ა. ალავიძე, თ. მუმლაძე, დ. ჩაგელიშვილი.

სათადარიგოები: შ. დოლაძე, ნ. მაჭარაშვილი, ა. ივანიშვილი, პ. პეტრიაშვილი

მწვრთნელი: ს. ფრუიძე

გაფრთხილება: ნ. უგრეხელიძე, ლ. ცხადაძე; ე. ზივზივაძე, ი. ტყვეზურავა

არბიტრი: ო. ხეცაძე (თბილისი)

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. გაგრა	32	23	6	3	73-19	75
2. მარტვილი	32	22	7	3	60-15	73
3. გორი	32	20	9	3	58-21	69
4. ჩიხურა	32	20	6	6	58-25	66
5. ბათუმი	32	18	9	5	66-18	63
6. გურია	32	14	4	14	50-59	46
7. კოლხეთი (ხ)	32	12	10	10	30-34	46
8. იმერეთი	32	11	4	17	36-43	37
9. მეშახტე	32	10	5	17	32-48	35
10. ნ/დინამოელი	32	10	5	17	39-58	35
11. ჩხერიმელა	32	7	14	11	35-45	35
12. ადელი	32	10	2	20	38-54	32
13. მერცხალი	32	8	8	16	41-68	32
14. სამგურალი	32	8	6	18	38-64	30
15. სპური	32	8	5	19	28-52	29
16. ჭიათურა	32	8	5	19	28-69	29
17. ლოკომოტივი	32	7	7	18	30-48	28

● მანჩესტერ იუნაიტედი

ხვალ იყო ფინალი

შემადგენლობა ცნობილია

მანჩესტერ იუნაიტედი

ცნობილი გახდა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცი, სერ **ალექს ფერგიუსონი** ხვალ, „უემბლიზე“, ჩემპიონთა ლიგის ფინალში, „ბარსელონას“ იმავე შემადგენლობას დაუპირისპირებს, რომლითაც „შალკეს“ გერმანიაში ეთამაშა. შეგახსენებთ, რომ „იუნაიტედმა“ გერმანულ გუნდს იმ შეხვედრაში 2:0 მოუგო, ფერგიუსონმა კი თქვა: *„მიმდინარე სეზონში, ჩემპიონთა ლიგაში რამდენიმე საუცხოო მატჩი ჩავატარეთ, რომელთაგან საუკეთესო დღევანდელი იყო“.*

გამოდის, რომ პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირი, 30 წლის ბულგარელი **დიმიტარ ბერბატოვი** და თანაგუნდელების მიერ სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებული, 24 წლის პორტუგალიელი **ნანი** სათადარიგოთა სკამზე ისხდებიან. სამაგიეროდ, მარჯვენა ფრთას 25 წლის ეკვადორელ **ანტონიო ვალენსიას** ჩაბარებენ. მოგეხსენებათ, ვალენსია თვეების განმავლობაში მკურნალობდა კოჭის ტრავმას, თუმცა გამოჯანმრთელების შემდეგ მოედანს ეფექტურად დაუბრუნდა. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ნახევარდაცვაში **პოლ სქოულზის**, **ანდერსონის** ან **დარენ ფლეტჩერის** ადგილს **მაიკლ ქერიკი** დაიკავებს — ქერიკმა სეზონის მეორე ნახევარი შესანიშნავად ჩაატარა. ნახევარდაცვის შუაში 37 წლის ვეტერანი **რაიან გიგზი** ითამაშებს — უელსელი ვარსკვლავი ახალ ამბლუას შეეჩვია და, თან, როგორც ამბობენ, მოედანს მიღმა სკანდალმა არ დათრგუნა. ნახევარდაცვის მარცხენა ფრთაზე 30 წლის კორეელ **ჯი-სუნ პარკს** ვიხილავთ, „ბარსას“ კარს კი 22 წლის მექსიკელი **ჩიჩარიტო**, იგივე **ხავიერ ერნანდესი** და 25 წლის **უეინ რუნი** შეუტევენ.

ტყუპები

დაცვის მარჯვენა ფრთაზე **და სილვათაგან რაფაელი** ითამაშებს — მისი ტყუპისცალი **ფაბიო** კი თანაგუნდელებს სათადარიგოთა სკამიდან დაუჭერს მხარს. და სილვები 20 წლის ბრაზილიელები არიან და ისე ჰგვანან ერთმანეთს, რომ ფაბიომ რაფაელს რომ სთხოვს, ფინალში მათამაშეო, ალექს ფერგიუსონმა შეიძლება ვერაფერი გაიგოს, თუმცა... ფაბიოს თითზე საქორწინო ბეჭედი უკეთია და მწვრთნელის ერთი შანსიც ეს არის.

რაფაელი ამბობს: *„მწვრთნელი როგორ გაგვარჩევს, როდესაც, ხანდახან, მშობლებიც ვერ გვარჩევენ, თუმცა ეს გარეგნულად, პიროვნულად კი ბევრი რაღაცით განვსხვავდებით ერთმანეთისგან. თანაგუნდელები? ისინი მხოლოდ ფაბიოს საქორწინო ბეჭდით ხვდებიან, რომელი რომელი ვართ. ისე, მეც ცოლიანი ვარ და ბეჭედი რომ გავიკეთო, მერე აღარ ვიცი, რა მოხდება.*

სერ ალექსს, როგორც გითხარით, ჩვენი გარჩევა უჭირს, მაგრამ მისთვის ოინის გაკეთება ჩემს მტერს. ასეთი რამ თავში აზრადაც არ მოგვსვლია. ეს კაცი ჩვენთვის მამასავით არის, მამამ კი ცელქობისთვის შეიძლება ისე დაგსაჯოს, რომ ინანო. ისე კი, ბიჭებთან გვიხუმრია - რამდენჯერმე, ვარჯიშზე, მართლა გავცვალეთ მაისურები“.

შემდეგ კი რაფაელი ჰყვება, რა განსხვავებაა მასა და მის ძმას შორის:

„მე სახე ზე მაქვს რაღაც ნიშნები, რომლებიც ფაბიოს არ აქვს. ბუნებით მე უფრო აგრესული ვარ, ფაბიო კი მშვიდია“.

რაფაელის აგრესიულობა მოედანზე (რაკიღა ჩემპიონთა ლიგაზე ვლაპარაკობთ, მაგალითიც ამ შეჯიბრებებიდან მოვიტანოთ), გასულ სეზონში, „ბაიერნთან“ შეხვედრაში გამოჩნდა, როდესაც მან **ფრანკ რიბერის** მაისურზე დაქაჩვისთვის მეორე ყვითელი მიიღო და მოედანი დატოვა.

„იმ შემთხვევამ ბევრი რამ მასწავლა. მაშინ უფრო ახალგაზრდა ვიყავი და, ალბათ, იმიტომაც შევცდი. იმედი მაქვს, მსგავსი რამ აღარ მომივა. დღეს გაცილებით უფრო გაწონასწორებული ვარ“ — ამბობს მცველი.

ხოლო ის, რომ ორი ძმიდან ერთი ხშირად თამაშობს, ხოლო მეორეს არ უმართლებს, მათზე რასაკვირველია, მოქმედებს. რაფაელი ამბობს:

„ეს მართლაც რთული ვითარებაა. ჩვენ ორივეს ძალიან გვინდა თამაში და იმის ცოდნა, რომ ტყუპისცალი ამას ვერ ახერხებს, ძალიან, მოქმედებს. ჩვენი მშობლებიც უკმაყოფილოები არიან. მათ ურჩევნიათ, მე ერთ ფრთაზე ვითამაშო და ჩემმა ძმამ მეორეზე, ვიდრე ერთმანეთის კონკურენტები ვიყოთ. დღეს ჩვენ ხომ ერთ პოზიციაზე გვათამაშებენ და შესაბამისად, ერთის მოედანზე ყოფნა, მეორის სათადარიგოთა სკამზე ჯდომას ნიშნავს. თუმცა, ჩვენ იმდენად ახლოს ვართ, რომ ერთმანეთის წარმატება გვიხარია. ამასთან, ჯერ ძალიან ახალგაზრდები ვართ და წინ მთელი კარიერა გვაქვს. ეჭვი არ მეპარება, რომ მომავალში ცხოვრება გაცილებით იოლად წავა. ჩემი ძმა ჩემი საუკეთესო მეგობარია და მე ვამაყობ ასეთი ძმა რომ მყავს“.

სტატისტიკურად კი ძმების საქმე ასეა: რაფაელმა 25 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, ხოლო ფაბიომ თხუთმეტში. რასაკვირველია, ამაში ფაბიოს ტრავმამაც ითამაშა თავისი როლი.

ბრაზილიელი ტყუპები „მანჩესტერ იუნაიტედში“ „ფლუმინენსედან“ 2008 წლის იანვარში გადავიდნენ, თუმცა ინგლისურ გუნდთან კონტრაქტს ხელი მანამდე, 2007 წელს მოაწერეს. საგულისხმოა, რომ მანჩესტერში გადასვლამდე ძმებს ძირითად შემადგენლობაში ფეხბურთი ნათამაშები არ ჰქონდათ. რაფაელი აღიარებს:

„მანჩესტერში რომ ჩამოვედით, იმდენი ვარსკვლავი დავინახეთ, რომ გვარიანად შევშინდით. კიდევ კარგი კლუბში ყველამ მოინდომა და ორ ბრაზილიელ ბავშვს მხარდაჭერა გვაგრძნობინა“.

ფაბიო კი განსაკუთრებით **რიო ფერდინანდს** აქებს: *„ყველასთან საუკეთესო ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ რიო ფერდინანდისნაირი ადამიანი არ შემხვედრია. ის ძალიან მხიარულია. ისე, ანდერსონიც კარგი შექანებულია“.*

● ინგლისი

მაშ, ვინ გაწვრთნის ლურჯებს?

გუუს ჰიდინკი

დავიწყოთ იმით, რომ **ჟოზე მოურინიომ** „ჩელსიში“ დაბრუნებაზე უარი განაცხადა. ყვითელი გაზეთები ცდილობენ ამ ამბავს სიმძაფრე შემატონ და ასე წერენ: მოურინიომ **რომან აბრამოვიჩს** ზედაც არ შეხედა. მან თქვა, რომ **კარლო ანჩელოტის** შეცვლა არ აინტერესებს.

ცნობა „განსაკუთრებულის“ უარის შესახებ ყველაზე მეტად „ლურჯების“ იმ გულშემატკივარს დასწყვეტდა გულს, რომელმაც ანჩელოტის თანამდებობიდან გაშვებისთანავე პორტუგალიელის დაბრუნება მოითხოვა. დასავლეთლონდონელ ქომაგთა ბანაკში მოურინიოს მომხრენი მრავლად არიან. „რეალის“ თავკაცის პოზიცია ინგლისურ გაზეთებს თავდაპირველად მისმა მეგობარმა გააცნო. მან თქვა:

„ჟოზეს არასდროს დაუმალავს, რომ „ჩელსის“ მის გულში საგანგებო ადგილი უჭირავს და ოდესმე აუცილებლად დადგება დღე, როდესაც ის „სტემფორდ ბრიჯზე“ დაბრუნდება. მეორე მხრივ კი იგი ხედავს, რომ მისი წასვლის შემდეგ დასავლეთლონდონელთა კლუბში არაფერი შეცვლილა. იქ იმავე შეცდომებს უშვებენ, რომელზეც წლების წინ ის ამახვილებდა ყურადღებას. რომან აბრამოვიჩის ირგვლივ სულ რაღაც პრობლემებია, რაც საბრალო კარლო ანჩელოტიმ საკუთარ თავზე იწვნია“.

როდესაც აბრამოვიჩმა ანჩელოტი გაუშვა ხალხმა მოურინიო იმიტომაც გაიხსენა, რომ მან თქვა, ჩემი მომავალი სამსახური ინგლისში იქნებაო. როგორც ჩანს, დასკვნა ნაჩქარევი იყო.

ამასობაში, ითქვა, რომ აბრამოვიჩის ხალხმა „მალაგას“ ჩილელ თავკაც 57 წლის **მანუელ პელეგრინის** მიმართა. როგორც ჩანს, „ლურჯები“ ბოლო სამ წელიწადში თავიანთ მეხუთე თავკაცად პელეგრინისაც მოიაზრებდნენ, მაგრამ არც ამ საქმიდან გამოვიდა რამე. პელეგრინი, მოგეხსენებათ, „მალაგამდე“ „რეალს“ ედგა სათავეში. ჩილელის აგენტმა, **ხესუს მარტინესმა** თქვა:

„უმწვრთნელო გუნდის მხრიდან სხვადასხვა სპეციალისტებთან დაკავშირება ნორმალური ამბავია, მაგრამ მანუელი „მალაგაში“ თავს შესანიშნავად გრძნობს. მან ამ გუნდს დიდი ძალღონე შეალია და გრძნობს, რომ საქმე ბოლომდე ჯერ არ მიუყვანია“.

და ბოლოს, კაცი, რომლის დაქირავებაც რუს ოლიგარქს ყველაზე მეტად უნდა — თურქეთის ნაკრების თავკაცი, 64 წლის ჰოლანდიელი **გუუს ჰიდინკი**. აბრამოვიჩს მანაც ზურგი აქცია, განაცხადა, რომ მთელი მისი ყურადღება დღევანდელი სამსახურისკენ არის მიმართული. სატელევიზიო შოუს, „100 პროცენტით ფეხბურთი“ წამყვანთან საუბარში მან თქვა:

„ამ ბოლო დროს უამრავი ჭორი წავიკითხე. ჩემ გარშემო დიდი მითქმა-მოთქმაა, მაგრამ მე ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ ერთადერთი რამ, ბელგიის ნაკრების წინააღმდეგ კარგად თამაში მაინტერესებს. ჩემი გონება მხოლოდ თურქეთის ნაკრებით არის დაკავებული. შემდეგ პარასკევს უმნიშვნელოვანესი შეხვედრა გველის.

არ დავიმალავთ, გულს მაკლია, რომ ჩემს სამწვრთნელო კარიერაში ცოტა თამაში მაქვს ჩატარებული. ფეხბურთელებთან ყოველდღიური მუშაობა მომენატრა, მაგრამ ნაკრების მწვრთნელი გახლავართ და ეს შეუძლებელია. მეორე მხრივ კი არავის ვათქმევინებ, რომ გონება სხვაგან მქონდა და თურქეთის ნაკრები ბელგიელებთან სათამაშოდ ამიტომ ვერ მოვამზადე. არანაირ ჭორს არ ვყვები, სრულად მობილიზებული გახლავართ“.

ჟოზე მოურინიო

● ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა ერაუჩს ბრალდებებს უმიზნებს

„სანდერლენდის“ თავკაც **სტივ ბრუსს** „ტოტენჰემ ჰოთსპურისა“ და ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი, 30 წლის **პიტერ კრაუჩის** გადაბირება უნდა. როგორც ამბობენ, არც „სფურზია“ კრაუჩის გაყიდვის წინააღმდეგი, მაგრამ 10 მილიონ ფუნტზე იაფად არ დათმობს. ეს ის თანხაა, რომელიც „დეზებმა“ მაღალ ცენტრფორვარდში ორი წლის წინ გადაიხადეს.

ბრუსს კრაუჩის გამოცდილება ხიბლავს. მან „სანდერლენდი“ პრემიერლიგაში მე-10 ადგილზე გაიყვანა და ახლა, განვითარების ახალ სიმაღლეებს უშურება. ამასთან, მწვრთნელს „ტოტენჰემისთვის“ გადასახდელი ფული აქვს: „იანვარში“ **დარენ ბენტი** „ასტონ ვილას“ მიჰყიდა და სანაცვლოდ 24 მილიონი ფუნტი მიიღო.

იმასაც ამბობენ, რომ კრაუჩის გაყიდვასთან დაკავშირებით „ტოტენჰემის“ ხელმძღვანელთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. მწვრთნელი **ჰარი რედნაპი** თავდამსხმელის შედარებით იაფად გაყიდვაზეც არ იტყობა უარს, თავმჯდომარე **დევიდ ლივი** კი 2009 წელს გადახდილი უკანასკნელი პენნის დაბრუნებასაც კი ითხოვს.

რედნაპი ვახსენეთ და დავძენთ, რომ „დეზების“ თავკაცს 2011-12 წლების სეზონში ახალი გუნდის გამოყვანა სურს და შესაბამისად თავდასხმაშიც ახალი კაცი სჭირდება. ამბობენ, რომ ასეთად მას ფრანგული „ლორიანის“ 24 წლის თავდამსხმელი **კევინ გამეირო** ესახება, თუმცა ყველაფერს „ჩელსიდან“ 33 წლის **დიდიე დროგბას** გადაბირება ურჩევნია.

კრაუჩს „ტოტენჰემის“ ძირითად შემადგენლობაში მუდმივი ადგილის მოპოვება უჭირს. გასულ სეზონში მან 40-ზე მეტ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, ბევრ მათგანში ის მოგვიანებით, სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და ჯამში 12 გოლი გაიტანა.

საოცარი პარპინგი

გაგიკვირდებათ, რომ გაიგებთ: „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელთაგან ინტერნეტით ყველაზე მეტი წერილი მისდის არა **უეინ რუნის** ან **ხავიერ ერნანდესს**, არამედ 30 წლის კორეელ **ჯი-სუნ პარკს**. თუმცა, ინტერნეტს ვინ ჩივის, როდესაც პარკს ფოსტით კიდევ უფრო მეტი რამ მისდის. ფოსტალიონები შეკვრებისა და ფუთების მიტანას ვერ აუდიან. თავად ფეხბურთელი ამ უცნაურ ამბავს ასე ხსნის: *„ძალიან ბევრ რამეს სამშობლოდან, სამხრეთ კორეიდან ვიგ ზავნიდან. რას არ ვიღებ, ტანსაცმლით დაწყებული საჭმლით და კანფეტებით დამთავრებული. იყო დრო, როდესაც ფულსაც კი მიგ ზავნიდნენ. იცით, ჩვენთან, კორეაში, ფულის ნიშნები შეიცვალა და ხალხმა ახალი ბანკნოტების გამოგ ზავნა დაიწყო, ინგლისში მცხოვრებს ჩვენი ქვეყნის ვალუტა რომ არ მომკლებოდა. ალბათ, ბევრი შიშობდა, რომ ევროპაში გადასახლებულს სამშობლო დამავიწყდებოდა“.*

ჯი-სუნ პარკი აზიაში, განსაკუთრებით კი სამხრეთ კორეაში საოცრად პოპულარულია. იქ ქუჩაში მშვიდად ვერ გადის. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მის დანახვაზე გოგოები წივიან და ჯგუფებად სასდევენ. საქმე ის გახლავთ, რომ „იუნაიტედი“ აზიაში ყოველთვის განსაკუთრებით პოპულარული გუნდი იყო და მის შემადგენლობაში მათი ფეხბურთელის გამოჩენამ შესაბამისი შედეგი მოიტანა კიდეც.

პარკი განაგრძობს: *„ასეთი პოპულარობის გაძლება ძალიან ძნელია. ჩვენთან, აზიაში, ცოტა სხვა კულტურაა, იქ ფეხბურთელები მეტისმეტად უყვართ და ემოციას თავშეუკავებლად გამოხატავენ. მანჩესტერის ქუჩაში სიარული გაცილებით იოლია, ვიდრე სეულის ქუჩაში.*

რასაკვირველია, ცნობილი რომ ვარ, ძალიან მსიამოვნებს, მაგრამ მეორე მხრივ, ჩვეულებრივ ცხოვრებაზეც ვოცნებობ. თუმცა, რას ვიზამ, მე „მანჩესტერ იუნაიტედის“ მოთამაშე ვარ და განსაკუთრებულ ყურადღებას ვერსად გავექცევი“.

დეფო ვერ ითამაშებს

ჯერმაინ დეფო მაჯის ტკივილის გამო ინგლისისა და შვეიცარიის ნაკრებთა შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ 28 წლის თავდამსხელმა ხელის ტრავმა პრემიერლიგის ბოლო ტურის შეხვედრაში მიიღო. იმ დღეს „დეზებმა“ „ბირმინგემს“ 2:1 მოუგეს.

ექიმებმა თქვეს, რომ დეფომ ერთი თვის განმავლობაში ყოველგვარი აქტიურობისგან თავი უნდა შეიკავოს. შესაბამისად, ინგლისელთა იტალიელი თავკაცი **ფაბიო კაპელო** თავდასხმაში კრიზისის პირისპირ რჩება. მოგეხსენებათ, მას არც დამავებული **ენდი ქეროლი** ეყოლება და არც დისკვალიფიცირებული **უეინ რუნი**. კაპელოს განკარგულებაში რჩებიან **დარენ ბენტი**, **პიტერ კრაუჩი** და **ბობი ზამორა**. კიდევ, ინგლისელთა თავკაცს შეტევის უნარის მქონე ნახევარმცველებზე შეუძლია დაყრდნობა. ასეთები გახლავან **თეო უოლკოტი**, **ჯეიმს მილნერი** და **ეშლი იანგი**.

გვერდი მოამზადა
ილია ბაგუნაშვილმა

● იუვენტუსი

იუვეს კიდევ ერთი ახალწვეული

და პირლოს პირველი ტურინული კომენტარი

რეტო ციგლერი

სატრანსფერო ფანჯარა ჯერ არ გახსნილა და „იუვენტუსის“ მესვეურებმა უკვე მოასწრეს გუნდის გვარიანად გაძლიერება. გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, რომ **ანდრეა პირლომ** ტურინში სამედიცინო შემოწმება გაიარა და კლუბთან სამწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ამ სეზონში „იუვეს“ სწორედ კრეატიული ფეხბურთელი აკლდა და პირლომ წესით ამ პრობლემის გადაჭრაში ლომის წილი უნდა დაიდოს. ანდრეამ პირველი კომენტარი გააკეთა „იუვენტუსის“ ფეხბურთელის რანგში და სწორედ მას გადავცეთ სიტყვა:

„პირველ რიგში, მინდა „მილანის“ გულშემატკივრებს გადავუხადო მადლობა, რომლებმაც დიდი სითბო გამოხატეს ჩემ მიმართ და მაგრძნობინეს, რომ ყოველთვის მათ გულებში ვიქნები. მეც იგივე შემიძლია ვთქვა, „მილანს“ და ამ დიდებული გუნდის ქომაგებს ჩემს გულში დიდი ადგილი აკავიათ. თუმცა ყველაფერს აქვს დასასრული და დადგა დრო, რომ გარემო გამომეცვალა. რატომ შევაჩერე არჩევანი „იუვენტუს ზე“? - იმიტომ, რომ ამ გუნდში ჩემი უამრავი მეგობარი ასპარეზობს და ვიცი, რომ მათთან ერთად თავს კომფორტულად ვიგრძნობ. ამასთან, „მილანთან“ და „ინტერთან“ ერთად, „იუვენტუსი“ იტალიური ფეხბურთის ფლაგმანია და მსოფლიო მასშტაბის გრანდებში გადის. იმ ფეხბურთელთა კატეგორიას მივეკუთვნები, რომლებსაც მუდმივად გამარჯვებები სწყურიათ და ვფიქრობ, რომ „ბიანკონერისთან“ ერთად, ტროფეები არ მომაკლდება“.

იტალიურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „იუვენტუსმა“ კიდევ ერთი ფეხბურთელი: **რეტო ციგლერი** დაიმატა. შვეიცარიელი მცველი „სამპდორიას“ შემადგენლობაში ასპარეზობდა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ. მას შემდეგ, რაც გენუური გუნდი სერია B-ში გავარდა, კლუბის შეცვლის გადაწყვეტილება მიიღო და თავისუფალი აგენტის სტატუსით სწორედ ტურინს მიაშურა. ციგლერმა ოთხწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და 2015 წლის ივნისამდე „იუვენტუსის“ ღირსებას დაიცავს. პრინციპში, ამის ასე ხელაღებით მტკიცება მთლად სწორი არ არის, მაგრამ კონტრაქტი ნამდვილად ოთხწლიანია და დანარჩენს დრო გვიჩვენებს. ციგლერი რომ ძალიან გახარებულია, ცხადზე ცხადია და ეს მისი კომენტარიდანაც კარგად ჩანს:

„სწორად მოვიქეცი, როდესაც ზამთარში „სამპდორიასთან“ ხელშეკრულების გახანგრძლივება ზე უარი განვაცხადე - მაშინ რომ ხელი მომეწერა, გენუელები ჩემს სანაცვლოდ თანხას მოითხოვდნენ და „იუვენტუსში“ გადასვლა გამიჭირდებოდა. „სამპა“ ჩემი ცხოვრების ნაწილია, ამ გუნდის ქომაგად ვრჩები, მაგრამ იმასაც მივხვდი, რომ კლუბს არცთუ კომპეტენტური ხალხი ხელმძღვანელობს. უამრავი შეცდომა დაუშვეს, რამაც გუნდი ფატალურ შედეგამდე მიიყვანა. ნებისმიერ შემთხვევაში, მინდა „სამპდორიას“ წარმატებები ვუსურვო, მე კი ჩემი გზა მაქვს და ვეცდები, „იუვენტუსის“ ძირითად შემადგენლობაში დავიმკვიდრო ადგილი“.

ამ სეზონში, „იუვეს“ მარცხენა ფრთაზე მეტწილად **ფაბიო გროსო** თამაშობდა, თუმცა შანსი **არმინ ტრაორეს** და **პაოლო დე ჩელიესაც** მიეცათ. როგორც ჩანს, კლუბის მესვეურები მათი გარჯით უკმაყოფილონი დარჩნენ და ციგლერიც ამად გადაიბირეს. ისე, თუ უკვე გასრულებული სეზონით ვიმსჯელებთ, კიდევ უფრო დიდი პრობლემა ტურინელთათვის დაცვის მარჯვენა ფლანგი გახლდათ - ამ პოზიციაზე ხან **მარკო მოტა** თამაშობდა, ხანაც **სორენსენი**, თუმცა ორივე ძალიან ახალგაზრდაა და შეცდომებიც უხვად დაუშვეს. **ჰასან სალიჰამიჯიჩიც** შეგვიძლია გავიხსენოთ, რომელსაც ორივე ფრთაზე შეუძლია თამაში, თუმცა მის იმედად ყოფნა „იუვეს“ ნამდვილად არ ეკადრება.

ლაშა წიკლაური

● ჯენოა



ალბერტო მალეზანი

მალეზანი მალე გააფორმებს

პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ მომდევნო სეზონიდან „ჯენოას“ მთავარი მწვრთნელი **ალბერტო მალეზანი** იქნება. ეს ამბავი ჩვენთვის განსაკუთრებულად საინტერესოა, რადგან გენუურ გუნდში საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძე** ასპარეზობს. შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში „ჯენოას“ **დავიდე ბალარდინი** ედგა სათავეში და მისი თავკაცობით გუნდმა მეათე ადგილზე დაასრულა ჩემპიონატი. კლუბის მესვეურებმა შედეგი უარყოფითად შეაფასეს და მწვრთნელის გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღეს. მართალია, მალეზანის ჯერ არ გაუფორმებია კონტრაქტი, მაგრამ ამას რომ წინ აღარაფერი უდგას, **ენრიკო პრეციოზის** სიტყვებით დასტურდება. მოვუსმინოთ „ჯენოას“ პრეზიდენტს:

„მალეზანიმ კარგად იმუშავა „ბოლონიაში“ და ამიტომაც წამოვიწყეთ მასთან მოლაპარაკებები. არაერთხელ შევხვდი პირადად და დავრწმუნდი, რომ კარგად აქვს გაგაზრებული, რა სამუშაო უნდა შეასრულოს და როგორ. სწორედ ასეთი მწვრთნელი გვჭირდება და თუ რაიმე გაუგებრობა არ მოხდა, ხელშეკრულებასაც გავუფორმებთ. მომდევნო სეზონში, ჩვენი მიზანი ევროსაგზურის მოპოვება იქნება და საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ“.

ლაშა წიკლაური

● რომა

ლუის ენრიკე რომას სათავეში?

კანდიდატი კიდევ სამია: ანჩელოტი, დეშამი, ბიელსა

„რომას“ მთავარი მწვრთნელის საკითხი იტალიურ სპორტულ პრესაში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია და ეს მიუხედავად იმისა, რომ **ვინჩენცო მონტელა** ჯერ არავის გაუთავისუფლებია დაკავებული თანამდებობიდან. მეტიც, „ჯალოროსის“ ამჟამინდელი თავკაცი დარწმუნებულია, რომ მომდევნო სეზონშიც იმუშავებს პოსტზე და საერთოდაც, გუნდის ისტორიაში ეპოქის შექმნის საშუალება მიეცემა. ეპოქის რა გითხრათ და იმის შანსი კი ნამდვილად აქვს, რომ პოსტი შეინარჩუნოს - ამის შესახებ კლუბის სპორტული დირექტორი **ბრუნო კონტი** საუბრობს:

„პირადად მე, ვინჩენცო მონტელას მიერ გაწეულ სამუშაოს დადებითად ვაფასებ და მიმაჩნია, რომ როგორც მწვრთნელს, დიდი მომავალი აქვს. მხოლოდ ჩემი ნება რომ იყოს, აუცილებლად გავუგრძელებდი ხელშეკრულებას, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას დირექტორთა საბჭო მიიღებს. ვიცი, რომ მონტელას ბევრი მხარდამჭერი ჰყავს და მისი შანსები საკმაოდ ძვირად ფასობს. ჯერჯერობით, ჩვენთვის უცნობია რა პოზიცია აქვს კლუბის ახალ მეპატრონე ტომას დი ბენედეტოს, რომელიც უახლოეს პერიოდში ჩამოვა რომში და ალბათ თავის სიტყვას იტყვის“.

მედიაში არ წყდება საუბრები იმის შესახებ, რომ მონტელას მაინც მოუწევს პოსტის დატოვება და მის შესაძლო შემცვლელად რამდენიმე კანდიდატიც კია გამოკვეთილი. უპირველესი, რა თქმა უნდა, **კარლო ანჩელოტია**, რომელიც რამდენიმე დღის წინ გაუშვეს „ჩელსიდან“ და ახალი წინადადებების მოლოდინშია. სანამ კიდევ ერთ მეტად საინტერესო კანდიდატურაზე ვიტყოდეთ, ანჩელოტის თემაზე შევჩერდეთ და **კარლო მაცონეს** გადავცეთ სიტყვა, „რომას“ ყოფილ ფეხბურთელს, ყოფილ მთავარ მწვრთნელს და ზოგადად, გუნდის ცოცხალ ლეგენდას:

„თუ შემეკითხებიან, აუცილებლად ანჩელოტის დავუჭერ მხარს, რადგან მას ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ გუნდს წარმატებით გაუძღვეს. უდიდესი გამოცდილება დააგროვა და იცის, როგორ მიიყვანოს გუნდი დიდ წარმატებამდე. ამასთან, ნამდვილი რომაელი, ჩვენი გუნდის წევრი და არაერთხელ აქვს ნათქვამი, რომ ადრე თუ გვიან „ჯალოროსის“ აუცილებლად ჩაიბარებს. ჰოდა, ამაზე უკეთეს დროს, უბრალოდ, ვერ შეარჩევს“.

ანჩელოტისთან ერთად, რეალურ კანდიდატებად **დიდიე დეშამი** და **მარსელო ბიელსა** მოიაზრებიან, მათ რიცხვს კი **ლუის ენრიკეც** შეუერთდა. დიახ, ესპანელი ფეხბურთელი, რომელმაც სულ ახლახან დაანება თამაშს თავი და განაცხადა, რომ სამწვრთნელო საქმიანობას უნდა მიჰყოს ხელი. ვერ გეტყვით, რატომ დაუკავშირეს ენრიკეს გვარი „ჯალოროსის“, მაგრამ ფაქტია, რომ ამის შესახებ გავრცელებულმა ცნობებმა იტალიური მედია წალეკა. ბრუნო კონტიც გაკვირვებულია: *„ლუის ენრიკე? - ვერაფერს გეტყვით, რადგან ამის შესახებ მეც ჟურნალისტებისგან შევიტყვე. ძალიან კარგი ფეხბურთელი იყო, შესანიშნავი ტექნიკით, მაგრამ რამდენად ერკვევა სამწვრთნელო საქმიანობაში, ჩემთვის უცნობია. აქედან გამომდინარე, არ მაქვს საფუძველი, რომ ამ კანდიდატურას მხარი დავუჭირო. ისე კი მიკვირს, რომ ენრიკეს, როგორც კანდიდატის, შესახებ კომენტარს ვაკეთებ“.*

„გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, იქითა კვირის ბოლოს **ტომას დი ბენედეტო** დირექტორთა საბჭოს სხდომას მოინვევს და მწვრთნელის საკითხიც სწორედ იქ გადაწყდება.

ლაშა წიკლაური

ლუის ენრიკე

● კვირის ფეხბურთი

ჩიჩარიტო

ჩიჩარიტო ჩემზე უკეთესია

„მანჩესტერიუნაიტედის“ თავდამსხმელმა **მაიკლ ოუენმა** განაცხადა, რომ მისი მექსიკელი თანაგუნდელი, ასევე ფორვარდი **ხავიერ ერნანდესი** მასზე უკეთესია. ინგლისელმა წინახაზელმა, რომელმაც ინტერვიუ „სანს“ მისცა, თქვა: *„ის არის ჩემი ძველებური ვერსია. როცა ამა თუ იმ ფეხბურთელს ყიდულობ, ბუნებრივია, გიჩნდება სურვილი იმისა, რომ იგი რაიმეში მაინც გამოადგეს გუნდს, მაგრამ ასე მალე თუ გახდებოდა ჩიჩარიტო გუნდის შეტევის წინახაზის ლიდერი, არ მეგონა. მან მსოფლიოს ჩემპიონატზეც შეძლო გოლის გატანა და ჩემპიონთა ლიგაშიც შეაგდო გოლები. მისი თამაში ფანტასტიკურია“.*

მარიო რჩება

„მანჩესტერ სიტის“ აფრო-იტალიელმა თავდამსხმელმა **მარიო ბალოტელიმ** განაცხადა, რომ ისტლენდზე რჩება და უარყო ყველანაირი ჭორი, თითქოს ის მილანში იბაგებოდეს. *„ამჟამად ინგლისში სრულიად ბედნიერი ვარ, - უამბო ფეხბურთელმა „კორიერე დელო სპორტს“ - „მინდა მთელი სულითა და გულით მივულოცო „მილანს“ სკუდეტოს მოპოვება, მაგრამ ეს მხოლოდ ისაა, რაც „როსონერიზე“ შემიძლია ვთქვა“.* ფეხბურთელის აგენტი **მინო რაიოლა** კი დარწმუნებულია, რომ მისი კლიენტი ზაფხულში ადგილმდებარეობას არ შეიცვლის: *„შემიძლია 2000 პროცენტით განვაცხადო, რომ მარიო ისტლენდზე რჩება“.*

ინგლისში თამაში ოცნებაა

გუნდესლიგის ჩემპიონ დორტმუნდის „ბორუსიას“ მცველმა **ნევენ სუბოტიჩმა** განაცხადა, რომ იგი სიამოვნებით მოსინჯავდა ძალებს პრემიერლიგაში. სერბმა უკანახაზელმა „ბილდთან“ ინტერვიუში ასე ილაპარაკა: *„სიამოვნებით მოვსინჯავდი ძალებს პრემიერლიგაში. არა აქვს მნიშვნელობა ვის გვერდით ვითამაშებ: ბრანისლავ ივანოვიჩთან ერთად „ჩელსიში“ თუ ნემანია ვიდიჩის მხარდამხარ „მანჩესტერ იუნაიტედში“. ერთი კი ფაქტია, რომ ჯერჯერობით არ ვგეგმავ „დორტმუნდიდან“ წასვლას“.*

ესპირის გმირი

კვირის გმირად აუცილებლად უნდა დავასახელოთ „მილანის“ სათადარიგო მეკარე **მარკო ამელია**, რომელმაც სერია A-ს ბოლო ტურში „უდინეზესთან“ (0:0) მატჩში არაერთხელ იხსნა გუნდი, მეტიც: მან **ანტონიო (ტოტო) დი ნატალეს** პენალტიც კი აუღო.

ესპირის მომავალი ჯახი

რაც უნდა კითხვა იმას, რომ კვირის მომავალი ჯახი ჩემპიონთა ლიგის ფინალია „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ბარსელონას“ შორის. ეს მატჩი მხოლოდ იმიტომ არაა გამოსარჩევი, რომ ლიგის ფინალია. საქმე შემდეგშია: ეს თამაში ბოლოა ლეგენდარული ჰოლანდიელი კიპერის **ედვინ ვან დერ სარის** კარიერაში და, რასაკვირველია, თასით წასვლა არაჩვეულებრივი იქნება, თუმცა ამის გაკეთება რომ რთული იქნება, ფაქტია. ორივე გუნდის ლაზარეთს რაც შეეხება, ცარიელია. შეგახსენებთ, რომ ეს გუნდები 2009 წლის ფინალშიც შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ კატალონიურმა გრანდმა **სამუელ ეტოოსა** და **ლიონელ მესის** გოლების წყალობით 2:0 მოიგო. ასეა თუ ისე, 28 მაისის საღამო დიდი ჯახს გვპირდება.

გიორგი ფულარიანი

● საფრანგეთის ნაკრები

ბლანის ლაშქარი ცნობილია

ერიკ აბიდალისთვის ბლანის მხარდაჭერა ბევრს ნიშნავს

საფრანგეთის ნაკრების თავკაცმა **ლორან ბლანმა** იმ 26 ფეხბურთელის ვინაობა გაამხილა, ვინც ბელარუსთან შესარჩევ და პოლონეთისა და უკრაინის ნაკრებებთან ამხანაგური მატჩებისთვის "ლე ბლეს" "კლერფონტენის" ბაზაზე მოემზადება. უნდა აღინიშნოს, რომ მუსიე ლორანმა ნაკრებში იხმო "ბარსას" განაპირა მცველი **ერიკ აბიდალი**, ფეხბურთელი, ვისაც სულ რაღაც ორიოდე თვის წინ უმძიმესი დაავადება დაუდგინეს და ოპერაციის შემდეგ მხოლოდ ახლახან დაუბრუნდა მინდორს. სიაში არ არის "ლიონის" გამთამაშებელი **იოან გურკუფი**, თუმცა ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან მან უღიმღამო სეზონი ჩაატარა და აშკარად არ არის სანაკრებო კონდიციებში. გუნდს მილმა დარჩა ასევე მისი თანაგუნდელი **ჟერემი ტულალანიც**.

მეკარეები: **უგო ლორისი** (ლიონი), **სტივ მანდანდა** (მარსელი), **სედრიკ კარასო** (ბორდო);

მცველები: **ენტონი რევეიერი** (ლიონი), **მამადუ სახო** (პსჟ), **ადილ რამი** (ლილი), **იუნეს კაბული** (ტოტენჰემი), **ბაკარი სანია** (არსენალი), **პატრის ევრა** (მანჩესტერ იუნაიტედი), **ერიკ აბიდალი** (ბარსელონა);

ნახევარმცველები: **ალუ დიარა** (ბორდო), **აბუ დიაბი, სამირ ნასრი** (ორივე არსენალი), **იოან კაბაი** (ლილი), **იან მვილა** (რენი), **მარვინ მარტინი** (სოშო), **ბლეზ მატუიდი** (სენტ ეტიენი), **ფლორან მალუდა** (ჩელსი), **მატიე ვალბუენა** (მარსელი), **ფრანკ რიბერი** (ბაიერნი), **ჟერემი მენეზი** (რომა);

თავდამსხმელები: **კარიმ ბენზემა** (რეალი), **კევინ გამეირო** (ლორიანი), **გიიომ ოარო** (პსჟ), **ლოიკ რემი** (მარსელი), **შარლ ნზოგბია** (უიგანი).

● მარსელი

მარსელი მაინც პირველზეა

მარსელის სტადიონი

დიახ, "მარსელი" ლიგა 1-ში პირველ ადგილზეა... საშუალო დასწრების მხრივ და მას ამ ადგილს ვერც ვერავინ შეეცილება, მიუხედავად იმისა, რომ წინ კიდევ ერთი ტურია დარჩენილი. აღნიშნული მაჩვენებლით ის უშუალო კონკურენტ "ლიონს" 16 ათასი მაყურებლით უსწრებს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მარსელის "სტადე ველოდრომი" 60 000 ადამიანს იტევს, ხოლო ლიონის "სტადე მუნისიპალ დე ჟერლანი" 41-ს. აღნიშნულ მონაცემებს ლიგა 1-ის ოფიციალური საიტი ავრცელებს, საშუალო მაჩვენებლები ასე გამოიყურება:

1. მარსელი - 51 081
2. ლიონი - 35 266
3. ლანსი – 31 452

ყველაზე ცოტა ადამიანი ტრადიციულად "მონაკოს" მატჩებზე იკრიბება - 6 669.

"ეკიპი" ზღვისპირელების სატრანსფერო გეგმებზე საკმაოდ საინტერესო ინფორმაციებს ავრცელებს. მაგალითად: სამხრეთელებს "ლორიანის" შემტევი ნახევარმცველის **მორგან ამალფიტანოს** გადაბირება სურთ. მიუხედავად იმისა, ნავა თუ არა გუნდიდან არგენტინელი **ლუჩო გონსალესი**, "ველოდრომის" მკვიდრთ 26 წლის ფრანგის გადაბირება მაინც სურთ, რადგან მან წელს შთამბეჭდავი ფეხბურთით ნამდვილად გააკვირვა ფეხბურთის სპეციალისტები. მორგანის ანგარიშზე 37 მატჩში 5 გოლის გარდა 12 შედეგიანი საგოლე გადაცემაა, რაც, დაგვეთანხმებით, დიდებული შედეგია. ფეხბურთელის გადაბირება სურთ ასევე "სევილიასა" და "ასტონ ვილას". "ოლიმპიკის" სამიზნეში მოქცა ასევე "რენის" სენეგალელი ტანმაღალი (190 სმ) ცენტრალური მცველი **კადერ მანგანე**. ამ უკანასკნელს ბრეტონულ კლუბთან კონტრაქტი კიდევ ორი წლით აკავშირებს და საეჭვოა, საუკეთესო მცველს ასე იოლად შეელიონ.

მანგანეს კანდიდატურაზე "მარსელში" მას მერე დაფიქრდნენ, რაც არგენტინელმა ვეტერანმა **გაბრიელ ჰაინცემ** დაადასტურა, რომ მომავალ წელს კლუბში აღარ დარჩება. "დიახ, მე შევხვდი კლუბის ხელმძღვანელობას. შემომთავაზეს, რომ თუკი ახალი კონტრაქტის დადება მსურდა, ხელფასის შემცირებას უნდა დავთანხმებულიყავი. ამ წინადადებაზე უარი ვთქვი, რადგან თავად კონტრაქტის გახანგრძლივების იდეის წინააღმდეგი ვიყავი. ახლა მე მშვიდი სინდისით შემიძლია სხვა კლუბებთან მოლაპარაკებათა გამართვა. ჩემს აგენტს რამდენიმე ინგლისური კლუბის წარმომადგენელი უკვე დაუკავშირდა, თუმცა მათი სახელების ჩამოთვლას ნუ მომთხოვთ", - განუცხადა "ფრანს ფუტბოლს" 33 წლის ფეხბურთელმა.

● ვარსკვლავი

გრონკიაერის დაკიდული ბუცები

იესპერ გრონკიაერმა ევროპის მრავალ სახელოვან კლუბში მოასწრო ასპარეზობა - დანიელმა ვარსკვლავმა "აიაქსის", "ჩელსის", "ბირმინგემის", "ატლეტიკოსა" და "შტუტგარტის" ღირსება დაიცვა. კვირას, 29 მაისს, ის "კოპენჰაგენის" შემადგენლობაში "ოლბორგის" წინააღმდეგ კარიერის უკანასკნელ შეხვედრას ჩაატარებს, მატჩის შემდეგ კი დანიის ჩემპიონის ოქროს მედალს მიიღებს.

იესპერ გრონკიაერი ფეხბურთიდან მიდის

იესპერს შთამბეჭდავი სანაკრებო კარიერაც ჰქონდა. ეროვნულ გუნდში მისი დებიუტი 1999 წელს შედგა, ბოლოს კი 2010 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა. მან სულ 80 მატჩი გამართა და 5 გოლი გაიტანა. აი, რა განაცხადა მან: "გადავწყვიტე, კარიერა დამესრულებინა. მერე რა, რომ ფეხბურთის თამაშის სურვილი კიდევ მაქვს და ეს განსაკუთრებულ სიამოვნებასაც მანიჭებს? "კოპენჰაგენში" ასპარეზობა კიდევ ერთი დაუვიწყარი თავგადასავალი იყო ჩემთვის. მე ყოველთვის მიყვარდა ეს კლუბი. მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა, დავბრუნებულიყავი სამშობლოში და მეთამაშა კლუბში, რომელსაც კონკრეტული მიზანი ჰქონდა – გაჭრილიყო ევროპულ არენაზე".

"იესპერ გრონკიაერმა უცხოეთში მოთამაშე თანამემამულეებს მაგალითი მისცა, რომ კარიერის მიწურულს შინ დაბრუნდნენ და საშობლოში გააგორონ ბურთი, - განაცხადა "კოპენჰაგენის" სპორტულმა დირექტორმა **კარსტენ იენსენმა**. - ჩვენ მხოლოდ მოხარულები შეიძლება ვიყოთ იმით, რომ მან არჩევანი ჩვენს კლუბზე შეაჩერა. მიუხედავად რამდენიმე სერიოზული ტრავმისა, იესპერი დაუღალავად მუშაობდა და იბრძოდა გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე".

● ამბები

ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ასისტენტი მესუთ იოზილი

სეზონის შეჯამება

წლის სიმბოლური ნაკრები

უეფას ოფიციალურ საიტზე ჩემპიონთა ლიგის ჯერ კიდევ მიმდინარე გათამაშების სიმბოლური ნაკრები შეადგინეს, სადაც ფინალისტების "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "ბარსელონის" 6 ფეხბურთელი მოხვდა. სეზონის აღმოჩენა გუნდებმა "შალკემ" და "შახტარმა" კი იქ თითო მოთამაშე "მიავლინეს". მაშ ასე, წარმოგიდგენთ ტურნირის საუკეთესო თერთმეტეულს.

მეკარე:

ედვინ ვან დერ სარი (მანჩესტერ იუნაიტედი) – სახელოვანი ვეტერანისთვის "ბარსელონასთან" ჩასატარებელი ფინალური მატჩი უკანასკნელი იქნება დიდებულ კარიერაში. მართალია, ლონდონში მის წინააღმდეგ ბრწყინვალე "ბარსელონა" იქნება **ლეო მესის** წინამძღოლობით, მაგრამ "მანიუს" ჩამოწერა წინასწარ არ შეიძლება. როგორც სტატისტიკა გვეუბნება, 40 წლის ვან დერ სარი ძველებურად სანდოა. ლიგის მიმდინარე გათამაშებაში "ნარინჯისფერთა" ყოფილმა გოლკიპერმა 9-დან 6 თამაშში "მშრალად" გაძლო.

მცველები:

დარიო სრნა (შახტარი) – "შახტარის" შემტევმა მარჯვენა მცველმა ჩემპიონთა ლიგის 9 მატჩში 5 საგოლე პასი გააკეთა და ეს მეორე შედეგია ამ ტურნირზე. იმის აღსაქმელად, თუ რამხელა როლი ითამაშა ხორვატმა "შახტარის" მეოთხედფინალურ ეტაპზე გასვლაში, საკმარისია, მხოლოდ სტატისტიკას ჩავხედოთ. დარიო მართალია, ნომინალური მცველია, მაგრამ მას შუახაზშიც ხშირად ვხედავდით ხოლმე.

ჟერარდ პიკე (ბარსელონა) – პიკე "ბარსას" უკანა ხაზის ბურჯი გახდა და ეს განსაკუთრებით მაშინ არის თვალში საცემი, როცა მასთან ერთად დაცვის ცენტრში მისი მეწყვილე **კარლეს პუიოლი** არ თამაშობს. ესპანეთის ნაკრების წევრი სწორედ გამოცდილების გამო ნამდვილი დამრიგებელივით ექცეოდა **სერხიო ბუსკეტსსა** და **ხავიერ მასკერანოს**, როცა მათ კარლესის შეცვლა მოუხდათ "შახტართან" და "რეალთან" მატჩებში.

ნემანია ვიდიჩი (მანჩესტერ იუნაიტედი) – ნემანია სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდის გაუვალი დაცვის ლიდერად მიიჩნევა. გზად "უემბლიმდე" ახოვანმა ცენტრალურმა მცველმა 8 და 6 შეხვედრაში გუნდს კარი მშრალად შეანახვინა. "წითელმა ეშმაკებმა" ფინალამდე ისე მიაღწიეს, რომ პირველად ტურნირის ისტორიაში გასვლით შეხვედრაში გოლი არ გაუშვიათ.

მარსელო (რეალი) – ბრაზილიელს "რეალის" არც ერთი მატჩი არ გამოუტოვებია და ამპლუას მიუხედავად, დროის უმეტეს ნაწილს მეტოქის ნახევარზე ატარებდა. **ჟოზე მოურინიოს** ორი საყრდენი ნახევარმცველით უყვარს ასპარეზობა და მარსელოს სწორედ ამან გაუხსნა ხელ-ფეხი შეტევით ოპერაციებში. მერვედფინალში მან "ლიონს" ეფექტური სოლო რეიდით გაუტანა გოლი.

ნახევარმცველები:

მესუთ იოზილი (რეალი) – გერმანელმა გამთამაშებელმა მშვენივრად წარმოაჩინა თავი მინდვრის ცენტრში. ყველაზე ხშირად ის "რეალის" ერთი სუფთა თავდამსხმელის უკან მოქმედებდა. თუკი **კარიმ ბენზემა**, **კრიშტიანო რონალდო** და **გონსალო იგუაინი** უშუალოდ მეტოქის ცენტრალურ მცველებს ატერორებდნენ, იოზილს დრიბლინგისა და გამჭოლი გადაცემების წყალობით დაბნეულობა შეჰქონდა მეტოქის საჯარიმოს მოსადგომებთან. მესუთი 6 საგოლე გადაცემით ლიგის საუკეთესო ასისტენტების სიაში პირველ ადგილზეა.

ანდრეს ინიესტა (ბარსელონა) – მართალია, ანდრესმა ლიგაში სულ 1 გოლი გაიტანა ("შახტართან" მეოთხედფინალში), მაგრამ მისი ღვაწლის დამცრობა "ბლაუგრანას" წარმატებაში მაინც არ შეიძლება. მთელი წელი მისი და **ჩავი ერნანდესის** დუეტს აღფრთოვანებაში მოჰყავდა მაყურებელი და ჩიხში შეჰყავდა ყოველი მონინააღმდეგე. ინიესტას ანგარიშზე 4 შედეგიანი გადაცემაა.

რაიან გიგზი (მანჩესტერ იუნაიტედი) - "ჩელსისთან" მეოთხედფინალში გიგზმა ნამდვილი შოუ მოაწყო – სამივე საგოლე შეტევაში მონაწილეობა მიიღო. "არარიგითმა" რაიანმა თავი გამოიჩინა ასევე ნახევარფინალში "შალკეს" წინააღმდეგაც.

გარეთ ბეილი (ტოტენჰემი) - გარეთი ჯგუფური ეტაპის ნამდვილი გმირი იყო. მან "ინტერთან" გასვლითი შეხვედრის მეორე ტაიმში სამი გოლი გაიტანა და კინაღამ მარტომ იხსნა გუნდი მარცხისგან. განმეორებით დაპირისპირებაში კი 21 წლის ფეხბურთელმა თავისი ჩქაროსნული მანევრებით **მაიკონი** კუთხეში მიიმწყვდია. სწორედ მისმა ფლანგურმა ჩაწოდებებმა დააჩოქა ევროპის საკლუბო ჩემპიონი.

თავდამსხმელები:

ლიონელ მესი (ბარსელონა) - გვეჩვენება, რომ ლიონელის დიდებულებაზე უკვე ყველაფერი ითქვა და დაიწერა. არგენტინელმა კიდევ ერთი ბრწყინვალე ევროკამპანია ჩაატარა, რომლის პიკი ჯერჯერობით (ხაზს ვუსვამთ) "რეალთან" "სანტიაგო ბერნაბეუზე" გატანილი გოლი გახდა, როცა მან მარტომ მადრიდელთა მთელი დაცვა მოატყუა. მესის ფინალში ერთი გოლის გატანა ეყოფა, რათა გაიმეოროს 2002-03 წლების სეზონში **რუუდ ვან ნისტელროის** მიერ დამყარებული შედეგიანობის რეკორდი - 12 გოლი.

რაულ გონსალესი (შალკე) - ჩემპიონთა ლიგის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირს გუნდის არჩევაში შეცდომა ნამდვილად არ დაუშვია. "რეალიდან" "შალკეში" გადასვლის შემდეგ მან კვლავ გაიბრწყინა, გაიტანა რა ლიგის გათამაშებაში 5 გოლი. მან "ინტერთან" ორივე მეოთხედფინალურ მატჩში მოახერხა გატანა. თავად რაული ერთადერთი შალკელი გახდა, რომელმაც ლიგის 12-ვე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

ელგონი: 3 წელი პორტუში

33 წლის ბრაზილიელმა მეკარე **ელტონმა** "პორტუსთან" ახალი სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა – ხელშეკრულება 2014 წლის 30 ივნისამდე იქნება ძალაში. ვეტერანის წინა შეთანხმება "გველეშაპებთან" მომავალი საფეხბურთო სეზონის ბოლოს მთავრდებოდა. ფეხბურთელის განცხადებით ის კარიერის მიწურულს სამშობლოში დაბრუნებას და იქაურ ჩემპიონატში ძალების მოსინჯვას გეგმავს. ბრაზილიაში მას ერთადერთი კლუბის "ვასკო და გამას" ღირსება დაუცავს. მის ანგარიშზეა ასევე სამი შეხვედრა ბრაზილიის ეროვნულ გუნდში.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილი

უცხოური ფეხბურთი

● ბაიერნი

10 წლის შემდეგ

სად არიან დღეს ჩემპიონთა ლიგის 2001 წლის გამარჯვებულები?

ზუსტად ათი წლის წინ მიუნხენის „ბაიერნმა“ ჩემპიონთა ლიგა მოიგო (რეკორდმაისტერმა ფინალში „ვალენსია“ დაამარცხა) და მას მერე, ბავარიელებს ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში აღარ გაუმარჯვიათ. „ბაიერნის“ მაშინდელი გმირებიდან, რამდენიმე მათგანი ფეხბურთს დღემდე თამაშობს. დანარჩენებიდან, ზოგი სატელევიზიო ექსპერტია, ზოგი სკაუტი, ზოგიც ბავშვთა გუნდის მწვრთნელი. მოდით, ერთად გადავხედოთ „ბაიერნის“ უკანასკნელ სუპერგმირებს და ვნახოთ, ვინ რითია დაკავებული დღესდღეობით.

ოლივერ კანი

2001 წლის ფინალის მთავარი გმირი სწორედ **ოლივერ კანი** გახლდათ, რომელმაც პენალტების სერიაში **ზაჰოვიჩის, კარბონისა** და **პელეგრინოს** თერთმეტმეტრიანები მოიგერია. მაშინ „ტიტანი“ კარიერის პიკში და საუკეთესო ფორმაში იყო, წლის ბოლოს კი მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ აღიარეს. 2002 წელს კანმა ლომის წვლილი შეიტანა გერმანიის ნაკრების წარმატებაში - ბუნდესგუნდი ბევრისთვის მოულოდნელად, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გავიდა. ოლიმ აქტიური სპორტული კარიერა 2008 წელს დაამთავრა, რის შემდეგაც ფეხბურთს ჩამოშორდა. მას მერე კანი ტელეკომპანია ZDF-ის ექსპერტია, ცოტა ხნის წინ კი სამწვრთნელო კურსებზე სიარული დაიწყო. ამბობს, რომ როცა იქნება, ფეხბურთში აუცილებლად დაბრუნდება, ოღონდ უფრო მენეჯმენტში, ვიდრე სამწვრთნელო სკამზე.

სამუელ ჯუფური

ეს უკანასკნელი 2001 წელს რეკორდმაისტერის ცენტრალური მცველი გახლდათ - ხან **თომას ლინკესთან**, ხან **პატრიკ ანდერსონთან** და ხანაც სამივესთან ერთად, დაცვაში მშვენიერ ხაზს ქმნიდა. კუფური 1999 წელსაც „ბაიერნის“ მოთამაშე გახლდათ და „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ნაგებული მტკივნეული ფინალის შემდეგ ბევრიც იტირა, ზოგადად კი, მიუნხენური გრანდის ღირსებას 1993 წლიდან იცავდა. 2005 წელს განელი მცველი „რომაში“ გადავიდა, რის შემდეგაც „ლივორნოსა“ და „აიაქსის“ ფეხბურთელობაც მოასწრო, მაგრამ სერიოზული ტიტულები აღარ მოუგია. „ბაიერნში“ კი, გარდა ჩემპიონთა ლიგაში ტრიუმფისა, შვიდჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი. კუფურმა კარიერა 2009 წელს, სამშობლოში დაასრულა და ახლაც, ოჯახთან ერთად განაში ცხოვრობს. სამუელს ავეჯის ბიზნესი აქვს.

პატრიკ ანდერსონი

მაშინდელი „ბაიერნის“ დაცვის ბურჯი, რომელმაც „ვალენსიასთან“ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე, ბუნდესლიგის ბოლო ტურში, „ჰამბურგთან“ ბოლო წამებზე გატანილი გოლით რეკორდმაისტერი გააჩემპიონა. ჩემპიონთა ლიგის ფინალში მან პენალტის გატანა ვერ შეძლო (**სანტიაგო კანისარესმა** აუღო). ანდერსონმა მიუნხენური გრანდი იმ სეზონის შემდეგ დატოვა - 15 მილიონად „ბარსელონაში“ გაიყიდა. კატალონიურ გრანდში კი შვედი ვერაფრით გაბედნიერდა და ორი წლის შემდეგ შვედეთში დაბრუნდა. პატრიკმა კარიერა 2005 წელს დაასრულა - უმძიმესმა ტრავმამ იძულებული გახადა, ბუცები ლურსმანზე ჩამოეკიდა. 2008 წლიდან ანდერსონი შვედური კლუბის, „მალმიოს“ სპორტული დირექტორია.

თომას ლინკე

„ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების მცველმა პენალტების სერიაში მიუნხენელთა ბოლო თერთმეტმეტრიანი უნაკლოდ შეასრულა, ერთი წლის შემდეგ კი, ბუნდესგუნდთან ერთად მუნდიალის ფინალშიც გავიდა. ლინკემ „ბაიერნი“ 2005 წელს, შვიდწლიანი მოღვაწეობის შემდეგ დატოვა და ზალცბურგის „რედ ბულში“ გადაბარგდა, სადაც გუნდის კაპიტანი იყო და ავსტრიის ჩემპიონი გახდა. 2007 წელს ლინკე მიუნხენურ გრანდში დაბრუნდა, თუმცა მხოლოდ მეორე გუნდში თამაშობდა და კარიერაც მალევე დაასრულა. მოგვიანებით ის „რედ ბულის“ მენეჯმენტში დასაქმდა, იანვრიდან „ლაიპციგის“ სპორტული დირექტორი იყო, ახლა კი გადადგა და უმუშევარია.

ვილი სანიოლი

2001 წელს **სანიოლი** „ბაიერნში“ ახალი გადასული იყო და პირველივე სეზონში ჩემპიონთა ლიგა მოიგო. ფრანგი მარჯვენა მცველი თავიდანვე „ბაიერნის“ ქომაგების ერთ-ერთი უსაყვარლესი მოთამაშე გახდა. რაც შეეხება ფინალს: „ვალენსიასთან“ სანიოლმა მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა, შესვენებაზე კი თავდამსხმელით, **კარსტენ იანკერით** შეცვალეს. მას მერე სანიოლმა „ბაიერნში“ 2007 წლამდე ითამაშა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ, 2007-ში კი უმძიმესი ტრავმა მიიღო, რამაც იძულებული გახადა, 2009-ში კარიერა დაესრულებინა. დღეს სანიოლი რეკორდმაისტერის სკაუტი და მრჩეველია.

ოუენ ჰარგრივსი

ახალგაზრდა ინგლისელმა ნახევარმცველმა ფინალში ტრავმირებული **იენს იერემისი** შეცვალა, რაც მისთვის უდიდესი პასუხისმგებლობა გახლდათ. თუმცა ჰარგრივსმა „ვალენსიასთან“ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რის შემდეგაც **ოტმარ ჰიტცფელდმა** მას თავისი საუკეთესო მონაფე უწოდა. თუმცა მერე ინგლისელი ტრავმებმა გატანჯეს. ჰარგრივსი დღეს 30 წლისაა, მაგრამ ფეხბურთს ვეღარ თამაშობს. 2007 წელს ოუენი „მანჩესტერ იუნაიტედმა“ 25 მილიონ ევროდ შეიძინა, მაგრამ ოთხი წლის მანძილზე, მანკუნიანელთა ფორმა მხოლოდ 30-ჯერ მოირგო. ახლა კი იძულებულია, „მანჩესტერი“ დატოვოს, რადგან მწვრთნელ **სერ ალექს ფერგიუსონს** მისთვის ახალი კონტრაქტის გაფორმება არ სურს. ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ ჰარგრივსი კარიერას დაასრულებს.

შტეფან ეფენბერგი

„ბაიერნის“ ქომაგების უსაყვარლესი ფეხბურთელი ოლივერ კანთან ერთად - ეფე ყოველთვის ყურადღების ცენტრშია. ხან სატელევიზიო ექსპერტის რანგში გვევლინება, ხან სხვადასხვა სარეკლამო რგოლში იღებენ, ახლა კი მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ პრეზიდენტობაც უნდა. ათი წლის წინაც ასე იყო: შტეფანი „ბაიერნის“ შეუცვლელი ფიგურა და ლიდერი გახლდათ. ფინალში კი სწორედ მან გაათანაბრა ანგარიში გენიალური საჯარიმო დარტყმით და თავი არც თერთმეტმეტრიანების სერიაში შეირცხვინა. ჩემპიონთა ლიგის მოგებიდან ერთი წლის შემდეგ ეფე „ვოლფსბურგში“ გადავიდა, მერე კი ყატარში გადაინაცვლა, სადაც „ალ არაბის“ ღირსებას იცავდა. მოკლედ, დამატებითი მილიონები იშოვა და კარიერაც დაამთავრა.

ბიქსენ ლიზარაზუ

ათი წლის წინ ფრანგი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მარცხენა მცველი იყო და „ბაიერნის“ ერთ-ერთი ლიდერიც გახლდათ. ჰიტცფელდმა **ლიზარაზუ** ფინალში შემტევ მარცხენა მცველად ათამაშა და ვალენსიელთა ლიდერის, **გაისკა მენდიეტას** გაუვნებელყოფა დაავალა. ფრანგმა ამ ამოცანას თავი შესანიშნავად გაართვა - მენდიეტას ბევრი არაფერი გააბედინა, ესპანელების საჯარიმოშიც ძალიან ხშირად აწვდიდა და პენალტების სერიაშიც იხეირა. 2004 წელს ლიზარაზუ „მარსელში“ გადაბარგდა, მაგრამ მალე ისევ რეკორდმაისტერში დაბრუნდა, რადგან **ფილიპ ლამი** მძიმედ დაშავდა და მიუნხენელებს მისი სამსახური დასჭირდათ. ბიქსენმა კარიერა 2006 წელს დაასრულა და დღეს საფრანგეთში სატელევიზიო ექსპერტია.

ჰასან სალიჰამიჯიჩი

ჯოვანი ელბერი? შტეფან ეფენბერგი? მეჰმეთ შოლი? ოლივერ კანი? არა! რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, „ბაიერნის“ გულშემატკივრებს ყველაზე მეტად სწორედ **ჰასან სალიჰამიჯიჩი**, იგივე „ბრაცო“ უყვარდათ. ბოსნიელი ნახევარმცველი საუკეთესო მაგალითი იყო იმისა, თუ როგორი მშრომელი უნდა იყოს მოთამაშე. ჰასანი არასდროს მიიჩნეოდა „ბაიერნის“ ძირითადი შემადგენლობის მუდმივ წევრად, მაგრამ თითქმის ყოველთვის თამაშობდა - განსაკუთრებით ოტმარ ჰიტცფელდის ხელში. ფინალში სალიჰამიჯიჩი თავიდან წინ ნაწეული ნახევარმცველი გახლდათ, რომელსაც ელბერისთვის დახმარება ევალებოდა, მეორე ტაიმში კი, როცა ჰიტცფელდმა მოედანზე იანკერის სახით მეორე ცენტრალური თავდამსხმელიც შეუშვა, „ბრაცომ“ ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე გადაინაცვლა.

სალიჰამიჯიჩი 2007 წელს ტურინის „იუვენტუსში“ გადავიდა, სადაც ისე ხშირად არა, მაგრამ საკმაოდ სტაბილურად თამაშობდა და თამაშობს. მას ხელი მხოლოდ ტრავმებმა შეუშალეს. დღეს 34 წლისაა და ისევ „იუვეს“ ფეხბურთელია. თუმცა, ივნისის ბოლოს „ბებერ ქალბატონთან“ კონტრაქტი უმთავრდება და დიდი შანსია, რომ გერმანიაში დაბრუნდეს.

მეჰმეთ შოლი

ფინალის დაწყებიდან ექვსი წუთი იყო გასული, როცა „ვალენსიას“ კარში პენალტი დაინიშნა, რომლის შესრულება სწორედ შოლმა ითავა, მაგრამ ვერ გაიტანა - კანისარესმა აუღო. ასე რომ, მეჰმეთს, რომელიც „ბაიერნის“ ერთ-ერთი ლიდერი იყო, ფინალის გმირს ვერ ვუწოდებთ. შოლმა „ბაიერნში“ 2007 წლამდე ითამაშა, რის შემდეგაც რეკორდმაისტერის 13-წლამდელთა გუნდის მწვრთნელი გახდა. წინა სეზონში შოლმა „ბაიერნის“ მოყვარულთა გუნდი ჩაიბარა, მაგრამ იმედები ვერ გაამართლა და ახლა მხოლოდ სატელევიზიო ექსპერტის რანგშია დაკავებული.

ჯოვანი ელბერი

ბრაზილიელი „ბაიერნის“ ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია, მაგრამ „ვალენსიასთან“ ფინალში ისე ვერ ითამაშა, როგორც მისგან ქომაგები მოითხოვდნენ და ელოდნენ. ელბერმა მიუნხენური გრანდი 2003 წელს იმის გამო დატოვა, რომ „ბაიერნმა“ რეკორდმაისტერი გახდა და ბრაზილიელს ძირითადში თამაშის გარანტიას ვეღარ მისცემდნენ. მას მერე ელბერმა „ლიონშიც“ ითამაშა, მოგვიანებით „გლადბახის“ ფეხბურთელი იყო, ბოლოს კი „კრუზეიროს“ მიაშურა, მაგრამ იდეალურად არსად აღარ უთამაშია. მუშაობდა „ბაიერნის“ სკაუტად ბრაზილიაში, მაგრამ ორი წელია, ეს პოსტიც აღარ უკავია, რადგან **ლუის ვან გაალს** ბრაზილიელი ფეხბურთელები არ სჭირდებოდა. დღეს ელბერიც მხოლოდ სატელევიზიო ექსპერტის რანგში მუშაობით შემოიფარგლება.

ჰარსტენ იანკერი

რაკი პირველი ტაიმის შემდეგ, „ბაიერნი“ „ვალენსიასთან“ 0:1-ს აგებდა, ჰიტცფელდმა მოედანზე მეორე თავდამსხმელი შეიყვანა და ეს სწორედ იანკერი გახლდათ. კარსტენმა „ბაიერნის“ წინა ხაზს დიდი ძალა შემატა და საბოლოო ჯამში, ფინალის ერთერთი გმირი გახდა. ერთი წლის შემდეგ კი რეკორდმაისტერი დატოვა და სად აღარ სცადა ბედი: „უდინეზე“, „კაიზერსლაუტერნი“, „შანხაი“, „მატერსბურგი“ - მაგრამ მაღალ დონეზე ვერსად ვეღარ ითამაშა და კარიერა 2010 წელს დაასრულა. დღეს კარსტენი ავსტრიაში მუშაობს და ვენის „რაპიდის“ 15-ზე ნლამდელთა გუნდის მწვრთნელია.

ალექსანდერ ციპლერი

თავდამსხმელი, რომელსაც უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ დიდი გოლეადორი ვერაფრით გახდა, ჰიტცფელდმა 2001 წლის ფინალში მოედანზე მე-100 წუთზე, ელბერის ნაცვლად შეუშვა. **ციკლერმა** პენალტების სერიაში ერთ-ერთი თერთმეტმეტრიანის გატანა შეძლო.

ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფის შემდეგ მან რეკორდმაისტერში 2005 წლამდე ითამაშა, მერე კი ზალცბურგში გადავიდა, სადაც სამჯერ გახდა ავსტრიის ჩემპიონი. დღეს „ციკო“ უკვე 37 წლისაა და ფეხბურთს ჯერ კიდევ თამაშობს - ლინცის „ლასკში“.

პაულო სერჟიო

მიუხედავად იმისა, რომ ფინალში მოედანზე მხოლოდ 108-ე წუთზე გამოჩნდა (შოლის ნაცვლად), ბრაზილიელს „ვალენსიასთან“ ჰიტცფელდისგან ერთ-ერთი მთავარი როლი ჰქონდა მინიჭებული. მოედანზე შესვლიდან რამდენიმე წამში ასპროცენტიანი საგოლე მომენტი შეექმნა, რომელიც ვერ გამოიყენა. პენალტების სერიაც სწორედ მან დაიწყო, მაგრამ კანისარესის კარს ბურთი ზემოდან გადააცილა. თუმდა რეკორდმაისტერმა ფინალი მაინც მოიგო, **პაულო სერჟიო** კი ცხარე ცრემლებით ტიროდა და თანაგუნდელებს უბოდიშებდა, კინაღამ დაგლუპეთო. არადა, ბრაზილიელმა იმ სეზონში ძალიან მნიშვნელოვანი გოლების გატანა შეძლო - მარტო „მანჩესტერთან“ გატანილი ისტორიული, გამარჯვების გოლის გახსენება რად ღირს. ტრიუმფიდან ერთი წლის შემდეგ მან კარიერა ემირატებში გააგრძელა, ბუცები კი ლურსმანზე სამშობლოში ჩამოკიდა. დღეს პაულო სერჟიო „ბაიერნის“ ერთ-ერთი სკაუტია.

● გერმანია. ჭლეი ოფი ბუნდესლიგის საგზურისთვის

გლადბახი გადარჩა!

როისმა მიონხენგლადბახს ელიტის საგზური აჩუქა

ბოხუმი-ბორუსია (მ) 1:1 (0:1)

ბოხუმი (4-1-4-1): ლუთე - ფრაიერი, მალტრიტცი, იაია, ოსტრკოლეკი - იოჰანსონი - აზაუაგი (63. ფედერიკო), დაბროვსკი, ტოსკი, დედიჩი (75. ზალიკი) - მ. აიდინი.

ბორუსია მ. (4-2-2-2): ტერ შტეგენი - იანტშკე, შტრანცლი, დანტე, დემსი - ნორდტვეიტი, ნოიშტედტერი - როისი (85. მატმური), არანგო - ჰანკე (93. ბრუვერსი), იდრისუ (68. დე კამარგო).

გოლები: 1:0 ნორდტვეიტი (24-საკ. კარში), 1:1 როისი (72)

გაფრთხილება: ოსტრკოლეკი, მ. აიდინი, დაბროვსკი - დანტე

მაყურებელი: 28 650

სარელეგაციო პლეი ოფის საპასუხო შეხვედრაში, მიონხენგლადბახის „ბორუსია“ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებისგან სწორედ იმ ფეხბურთელმა იხსნა, რომლისაც „გლადბახის“ გულშემატკივრებს ყველაზე მეტად ეიმედებოდათ - საუბარია 21 წლის გარემარბ **მარკო როისზე**, რომელიც მთელი სეზონის განმავლობაში „გლადბახის“ საუკეთესო ფეხბურთელი (10 გოლი, 9 პასი) იყო და რომლის თამაში „ბოხუმთან“ დიდხანს იდგა კითხვის ნიშნის ქვეშ. თუმცა მარკომ გამოჯანმრთელება მოასწრო, სეზონის უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში მაინც ითამაშა და გუნდი მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებისგან იხსნა. როისს მეორე ტაიმში ფეხი ისევ ატკივდა, მაგრამ მოედნის დატოვებაზე უარი თქვა, თამაში მტკივანი ფეხით გააგრძელა და გაიტანა გოლი, რომელმაც „გლადბახი“ ელიტაში დატოვა.

„ბოხუმთან“ ორრაუნდიანი ბრძოლის მოგებას სასწაულს ვერ ვუწოდებთ, ამ შემთხვევაში სასწაული ის არის, რაც მიონხენგლადბახელებმა თებერვლის შემდეგ გააკეთეს. იანვარ-თებერვალში აღარავის სჯეროდა, რომ „ბორუსია“ გადარჩენას მოახერხებდა - სწორედ მაშინ დაინიშნა გუნდის მთავარ მწვრთნელად შვეიცარიელი **ლუსიენ ფავრი**, რომლის ხელში გუნდმა უდიდესი პროგრესი განიცადა. იმ დროს „გლადბახი“ ბოლო ადგილზე იყო და სარელეგაციო მე-16 ადგილს შვიდი ქულა აშორებდა. ფავრის ხელში, მიონხენგლადბახელებმა 12 მატჩში 20 ქულა მოიპოვეს, სწორედ მე-16 ადგილი დაიკავეს, ახლა კი „ბოხუმთან“ ორრაუნდიანი დუელიც მოიგეს. რაც შეეხება „ბოხუმს“ - გუნდის მწვრთნელი **ფრიდჰელმ ფუნკელი**, რომელმაც მანამდე ხუთჯერ შეძლო მეორებუნდესლიგელის ელიტაში გადაყვანა, იქადნება, „ბოხუმს“ პირველ ბუნდესლიგაში გაისად გადავიყვანო.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ნოიერის საგა

მანუელ ნოიერი

ახალი კონტრაქტი არ იქნება!

მანუელი გაიერნში ან ახლა გადავა, ან ერთი წლის შემდეგ

„შალკეს“ ხელმძღვანელებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ **მანუელ ნოიერს** გელზენკირხენულ კლუბთან ახალი ხელშეკრულება გაეფორმებინა. მათ 25 წლის მეკარეს წელიწადში 7 მილიონი ევროც კი შესთავაზეს, მაგრამ უკვე საბოლოოდ გარკვეულია, რომ გერმანიის ნაკრების კარის დარაჯი „შალკესთან“ ახალ კონტრაქტს არ გააფორმებს. შესაბამისად, გასარკვევი მხოლოდ ისღა რჩება, როდის გადავა მანუელი მიუნხენის „ბაიერნში“ - ახლა თუ ერთი წლის შემდეგ უფასოდ?

ექსპერტებმა „შალკეს“ შეფ **კლემენს ტიონიესის** ბოლო გაბრძოლება გერმანიის თასის მოგებით გამოწვეული ეიფორიის ლოგიკურ რეაქციად მონათლეს - როგორც იცით, თასის ფინალის შემდეგ, ტიონიესმა საჯაროდ თქვა, რომ ნოიერს წელიწადში 7 მილიონ ევროს სთავაზობს. მას მერე, რაც ეიფორია ჩაცხრა, უკვე საბოლოოდ გაირკვა, რომ ნოიერისა და „შალკეს“ თანამშრომლობა ახლავე ან მაქსიმუმ ერთ წელიწადში დამთავრდება (კონტრაქტი 2012 წელს ეწურება). მიუხედავად „შალკეს“ სპონსორის, „გაზპრომის“ გულუხვობისა, მანუელი ახალ კონტრაქტზე უარს ამბობს, რაც მისმა აგენტმა **ბერნჰარდ შმიტენბეხერმა** „კიკერთან“ საუბრისას დაადასტურა.

შესაბამისად, რჩება ორი ვარიანტი: როდის გადავა „ბაიერნში“. ახლა თუ 2012-ში უფასოდ? პრინციპში, ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება „შალკეს“ აქვს მისაღები. გელზენკირხენელებმა უნდა აირჩიონ, რა ურჩევნიათ: ნოიერი ახლავე დათმონ და მის სანაცვლოდ 18 მილიონი ევრო (პლუს პრემიები) მიიღონ, თუ ერთი წლით კიდევ შეინარჩუნონ და მერე უფასოდ დაკარგონ? ფაქტი ისაა, რომ მიუნხენური გრანდის შეფებს მანუელის გადაბირება ახლავე ურჩევნიათ, ფულის გადახდისთვისაც მზად არიან და იმედოვნებენ, რომ „შალკე“ ნოიერის ახლავე გაყიდვას დათანხმდება.

გოტფრიდ ლენცი

● რეალი

როგორ გააგდო გარეულმა შინაური

მოურინიომ ავტონომია მოიპოვა

25 მაისს „სამეფო კლუბი“ გენერალურ დირექტორსა და პრეზიდენტის თანაშემწე **ხორხე ვალდანოს** შეელია. ამბობენ, რომ ამით **ჟოზე მოურინიო** „რეალში“ პირველ სერიოზულ ინტრიგაში დარჩა გამარჯვებული - მართალია, არგენტინელისა და პორტუგალიელის ქიშპობა გარე თვალისთვის დაფარული იყო, მაგრამ ესპანური მედია ბევრს ამტკიცებდა, რომ მათ შორის შავმა კატამ კარგა ხნის წინ ჩაიარა.

25-ში „რეალის“ ბორდის შეკრება იყო დანიშნული, ითათბირეს, იმსჯელეს და კლუბის პრეზიდენტ **ფლორენტინო პერესის** პრესკონფერენციაც დაიწყო. იქ ფართო საზოგადოებამ შეიტყო, რომ ხორხე ვალდანო აღარ არის „რეალის“ გენერალური დირექტორი. პერესმა ვალდანოს გაშვების მიზეზი ახსნა:

„თქვენ ყველამ იცით, რომ ბოლო სეზონის წინ ძალიან ამბიციური სპორტული პროექტი დავიწყეთ. „რეალი“ მომავალში იხედება და აქცენტს ახალგაზრდებზე აკეთებს. კლუბი სრულ მხარდამჭერას უცხადებს ჟოზე მოურინიოს. სეზონმა დაგვანახვა, რომ ამ პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის საჭიროა კლუბში სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდეს. აუცილებელია მწვრთნელს საქმიანობაში გარკვეული ავტონომია მიეცეს, ეს კი პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდიოდა გენერალური დირექტორის პოსტთან, რომელსაც აშკარა სპორტული ფუნქცია ეკისრებოდა.

ამ პრობლემის განხილვისას კლუბის საბჭომ გადაწყვიტა, საერთოდ გააუქმოს გენერალური დირექტორის თანამდებობა და ამ ფუნქციების ნაწილი ხოსე ანხელ სანჩესის ფუნქციაში შეიყვანოს. ამიერიდან, მწვრთნელი, რომლის ფუნქცია-მოვალეობები გაიზარდა, პირდაპირ ანგარიშვალდებული იქნება ხოს ანხელ სანჩესთან. გენერალური დირექტორის ინსტიტუტის გაუქმების გამო, გადაწყდა ხორხე ვალდანოს კონტრაქტის შეწყვეტაც. ეს არის პირველი ნაბიჯი იმ ცვლილებებში, რომლებსაც ჩვენ უახლოეს კვირებში ვგეგმავთ.

გრძნობების დამალვა არ მჩვევია და მინდა, ყველამ იცოდეს, როგორ მწყდება გული ვალდანოს წასვლის გამო. ჩვენ დიდი ხანია, ერთად ვშრომობდით, მაგრამ კლუბის წევრებმა იმიტომ აგვირჩიეს, რომ სიტუაციისდა მიხედვით, სწორი გადაწყვეტილებები გამოვიტანოთ. ჩემი გრძნობები ხელს ვერ შეშიშლის იმაში, რომ გავაკეთო, ის რისი გაკეთება მმართებს, როგორც „რეალის“ პრეზიდენტს.

ჩვენ ყველანი ძალიან მადლიერნი ვართ ხორხესი. მისი შრომის და თავდადებისთვის, ვუსურვებთ მას ყველაფერ საუკეთესოს და მომავალში ისევ „რეალში“ დაბრუნებას ვუსურვებთ“.

ერთ პრესკონფერენციას მეორე მოჰყვა, ფლორენტინო პერესის სავარძელი ხორხე ვალდანომ დაიკავა. მან თქვა:

„ძალიან მწყდება გული, ვტოვებ კლუბს, სადაც 27 წელიწადი გავატარე. მე ყოველთვის პატივს ვცემდი „რეალს“ და მის მესვეურთა გადაწყვეტილებას. არასოდეს საფრთხეში არ ჩამიგდია გუნდი. აქაურობა ძალიან მიყვარს. ყოველთვის ვცდილობდი, ჩემი საქმიანობით „რეალი“ მესარგებლებინა.

მჯერა, რომ ჟოზე მოურინიოს დარჩენა კარგია იმ გუნდისათვის, რომელიც ბოლო წლებში სტაბილურობით ვერ გამოირჩეოდა. მან საკმაოდ მოკლე დროში ბრწყინვალე საშუალო გასწია. მივიჩნევ, რომ ის კარგი მწვრთნელია და კარგია, რომ „რეალში“ რჩება. ძალიან ძნელია იმ ადგილის დატოვება, რომელიც გიყვარს, იმ ხალხთან განშორება, რომლებზეც გული შეგტკივა, ყველას გეუბნებით - მშვიდობით“.

გემზე ორი კაპიტნის ადგილი არ არის!

მოკლედ, „რეალში“ გამოაცხადეს, რომ უფრო „ინგლისურ“ რელსებზე გადადიან, სადაც მწვრთნელს გაცილებით მეტი თავისუფლება და ფუნქციები აქვს. თუმცა, სინამდვილეში, ბევრი ამაში მოურინიოსა და ვალდანოს დაპირისპირებას ხედავს და აცხადებს, რომ ომი „განსაკუთრებულმა“ მოიგო. პერესს პრესკონფერენციაზე პირდაპირ ჰკითხეს: *„ხომ არ მოითხოვა ვალდანოს გაშვება მთავარმა მწვრთნელმა?“.*

„რას ამბობთ, მოურინიოს არაფერი მოუთხოვია. მან მხოლოდ ერთი რამ ითხოვა - მეტი ავტონომია. ისე, როგორც ეს ინგლისურ კლუბებშია. სპორტული განხრით კლუბში ორი ძლიერი პიროვნება მუშაობდა, რის გამოც მათ შორის ჰარმონია ვერ მიიღწია. ეს თქვენ ყველამ კარგად დაინახეთ მთელი სეზონის განმავლობაში. იყო აშკარა პრობლემა და ამ პრობლემას შველა ესაჭიროებოდა“, - თავი ასე იმართლა პერესმა.

ყველაფერი კი ზუსტად ერთი წლის წინათ დაიწყო, როცა ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორი მოურინიოს დანიშვნას „რეალში“ ხორხე ვალდანო შეეწინააღმდეგა. მაგრამ პერესმა დაიჟინა, რომ სწორედ მოუ იყო ის კაცი, რომელიც ლა ლიგაში „ბარსლონას“ დომინირებას ბოლოს მოუღებდა. სხვათა შორის, სად იყო ჯერ ეს ტრანსფერი, როცა ვალდანო მოურინიოს გუნდების თამაშის მანერას სატელევიზიო ინტერვიუებში, თუ საგაზეთო სვეტებში მკაცრად აკრიტიკებდა. 2008 წელს ვალდანომ თქვა, რომ ჟოზეს ისეთი ქარიზმა აქვს, რომელიც კაცმა არ იცის, რას შეიცავსო.

გენერალურ დირექტორსა და მთავარ მწვრთნელს შორის ურთიერთობა ივნვარში დაიძაბა, როცა „ალმერიასთან“ 1:1 დასრულებული მატჩის შემდეგ არგენტინელმა გაიკვირვა, რატომ დასვა მოუმ სათადარიგოთა სკამზე **ქარმ ბენზემა**: *„ვიმედოვნებ, რომ ბენზემას დიდხანს არ მოუწევს სკამზე ჯდომა, მის ირგვლივ სიტუაცია უსამართლობის შეგრძნებას ტოვებს“*, - თქვა მაშინ ვალდანომ, რაზეც ჟოზემ მიუგო: *„შემადგენლობას თავად ვარჩევ და თუკი რჩევა დამჭირდება, საამისოდ ასისტენტები მყავს“*. ამ მკვეთრ განცხადებას ფლორენტინო პერესის მხრიდან არ მოჰყოლია რეაგირება. ცხადი გახდა, რომ ის მოურინიოს მხარეს გადაიხარა. ნელ-ნელა ვალდანომ ძირითადი გუნდიდან ფეხი ამოიკვეთა და მატჩებზეც ცალკე მიემგზავრებოდა, გუნდი - ცალკე.

არგენტინელმა თქვა, რომ მოურინიოს ამის შემდეგ თავაზიანი გამარჯობის გარდა არც დალაპარაკებია. ითხოვა პერესთან სიტუაციის განხილვა, მაგრამ ამაოდ: *„არ ვიცი, მოურინიოს რა ამოძრავებდა, მაგრამ ჩემი მხრიდან სულ ვცდილობდი ემოციების ჩახშობას და ყველაფრის მშვიდობიანად მოგვარებას“*, - იგონებს ახლა არგენტინელი.

თუკი მოურინიო ახალი სახეა „რეალისთვის“, ვალდანოს სახელი „სამეფო კლუბის“ უახლეს ისტორიას მჭიდროდ უკავშირდება. 1984 წელს „სამეფო კლუბში“ აიყვანეს მაშინ 29 წლის სამხრეთამერიკელი ფორვარდი, რომელიც „სარაგოსაში“ თამაშობდა. მისი წყალობით „რეალმა“ ორჯერ მოიგო უეფას თასი, 1985 წლის ფინალში გოლი გაიტანა, მომდევნო წლის ფინალში კი სულაც დუბლი შეასრულა. 1988 წელს ვალდანოს კარიერა მოულოდნელად შეწყდა, მიზეზი კი ჰეპატიტი იყო. ვალდანო კომენტატორი გახდა, შემდეგ კი „რეალის“ ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი. 1991 წელს ვალდანო „ტენერიფეში“ დანიშნეს, მან კანარული გუნდი ჯერ გავარდნისგან იხსნა, შემდეგ კი უეფას თასის საგზური მოუპოვა. ამის მერე ვალდანო „სამეფო კლუბში“ მთავარი მწვრთნელის სტატუსით ბრუნდება. 1995 წელს არგენტინელის თავკაცობით „რეალმა“ ესპანეთის ჩემპიონატი მოიგო. შემდეგ იყო მწვრთნელობა „ვალენსიაში“. 1996 წელს ის „რეალის“ სპორტული დირექტორი გახდა და ამ თანამდებობაზე 2005 წლის ივნისამდე გაძლო. 2009-ში ვალდანო უკან დაბრუნდა, ახლა როგორც გენერალური დირექტორი და პრეზიდენტის თანაშემწე. და, აი, 25 მაისს ყველაფერი დასრულდა - ის მოხსნეს კლუბში, რომელსაც 27 წელი შესწირა. ხორხე ვალდანოს უმაღლესი საფეხბურთო მიღწევა 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალია, როცა მან ფინალში გაიტანა და არგენტინა მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. სხვათა შორის, ვალდანოს კალამს ეკუთვნის წიგნი „სუენოს დე ფუტბოლ“ (საფეხბურთო ოცნებები). „რეალის“ ლეგენდა **რაულმა** თავის ვაუს ხორხე ვალდანოს პატივსაცემად დაარქვა.

ზინედინ ზიდანი, მოუს შემდეგი სამიზნე?

ვინ არის შემდეგი, ზინედინი?

ამბობენ, რომ მოურინიოს ინტრიგები კლუბში ამით არ ამოიწურება. სეზონის განმავლობაში იყო კიდევ ერთი კაცი, რომელმაც ღიად გააკრიტიკა მოურინიო - პრეზიდენტის მრჩეველი ზინედინ ზიდანი. 7 მაისს დიდმა ფრანგმა ფეხბურთელმა კი განაცხადა, რომ მისი ურთიერთობა პორტუგალიელთან ბრწყინვალეა, რომ ის მხოლოდ რჩევებით ეხმარება მოურინიოს. მაგრამ უნდა ავტონომიის მოყვარულ „განსაკუთრებულს“ სხვისი რჩევები? თუნდაც ეს სხვა ზინედინი იყოს...

ნიკოლოზ ნეფარიძე

ხორხე ვალდანოსა და ჟოზე მოურინიოს დუეტი თავიდანვე განწირული იყო

ძიუდო. მოსკოვის ტურნირი

GRAND SLAM

MOSCOW JUDO GRAND SLAM 2011

შეკვეცილი გუნდით მოსკოვში

გაირკვა საქართველოს ძიუდოს ნაკრების შემადგენლობა, რომელიც 28-29 მაისს მოსკოვის „დიდ მუზარადზე“ იასპარეზებს. ვაჟთა ტურნირში ამჯერად მხოლოდ ხუთი მონაწილე გამოვა, ერთი წარმომადგენელი კი ქალებში გვეყოლება. **ნუგზარ ტატალაშვილი, ამბაკო ავალიანი** (ორივე - 73), **ირაკლი ცირკიძე, ლომერ ჟორჟოლიანი** (ორივე - 100), **ზვიად ხანჯალიაშვილი** (+100) - ეს ხუთეული დაასახელა ვაჟთა გუნდის დამრიგებელმა **პეტერ ზაიზენბახერმა,** ქალთა შორის კი **გია თენაძეს ირინა ოძელაშვილი** (70) მიჰყავს, როგორც ლიცენზიის მოპოვების ყველაზე რეალური კანდიდატი. ქალთა გუნდზე სალაპარაკო ბევრიც არაფერია - ახალფეხადგმულ ამ სახეობაში ბევრი ჯერ არც სპორტსმენი გვყავს და მით უფრო, არც წარმატების რეალური პრეტენდენტი, მაგრამ ზაიზენბახერის გადაწყვეტილება კი უცნაური ჩანს. რატომ ხუთი და არა მეტი მონაწილე? ეს ხომ სალიცენზიო შეჯიბრებაა, რომელიც რეიტინგში გვარიან ქულებს იძლევა? ცნობისათვის: ჩემპიონს 300 ქულა ერიცხება და ამ მხრივ მხოლოდ სამ ტურნირს - ოლიმპიადას, მსოფლიოს პირველობას და მასტერსს ჩამორჩება. ბარემ აქვე გეტყვით, რომ ვიცე-ჩემპიონი 180 ქულას მიიღებს (ანუ იმდენს, რამდენსაც ევროპის ჩემპიონი), ბრინჯაოს მედალოსანი - 120-ს, მეხუთე ადგილზე დარჩენილი - 60-ს. უქულოდ არც მომდევნო რაუნდებში გასულები დარჩებიან. მაგალითად, 1/16-ფინალში დამარცხებულ სპორტსმენს 36 ქულა დაერიცხება, 1/32-ფინალიდან გამოვარდნილს - 24. ასე განსაჯეთ, თუნდაც ერთი შეხვედრა რომ მოიგოს ძიუდოისტმა და მეტი - ვერა, ისიც კი მიიღებს 12 ქულას.

აქედან გამომდინარე, მოსკოვში ჩვენებს რეიტინგის შევსების ჩინებული შანსი ეძლეოდათ, თუმცა მწვრთნელმა სხვაგვარად განსაჯა. 60-ში მონაწილის არყოლის მიზეზი ვთქვათ და ისაა, რომ აქ სალიცენზიო რეიტინგში მეექვსეზე მყოფი **ამირან პაპინაშვილის** დამსახურებით საგზური ლამის განაღდებული გვაქვს; რომ 90-ში ლამის ასევე შეგვიძლია გულის დამშვიდება **ვალერი ლიპარტელიანის** მერვე ადგილით; რომ 66-ში შანსი თითქმის აღარ გვაქვს... რა დააშავა, ვთქვათ, 81-მა, სადაც **ლევან წიკლაური** სალიცენზიო 22-კაციან სიაში კი შედის, მაგრამ ჯერ განაღდებული არ აქვს და გვარიანი ბრძოლა სჭირდება? 100-შიც თითქმის მოპოვებულია საგზური - ჟორჟოლიანი მეთექვსმეტეა, მაგრამ ამის მიუხედავად, მწვრთნელს ამ წონაში მაინც ორი კაცი მიჰყავს. სხვა საქმეა, ჟორჟოლიანსა და ცირეკიძეს თუ საშეჯიბრო პრაქტიკა აკლიათ - ევროპამდე არც ისე ბევრგან იჭიდავეს და ამის დეფიციტი იქნებ რეალურადაც ანუხებდეთ, თუმცა არ გამოვრიცხავთ, მწვრთნელი კონკურენციასაც უნევდეს ანგარიშს - სალიცენზიო რეიტინგში ცირეკიძეც შედის და რა გასაკვირია, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონს შანსს თუ მისცემენ. ცოტა უცნაურია, რატომ არ მიჰყავთ ევროპის კიდევ ერთი წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი (ჟორჟოლიანის დარად) **ბეთქილ შუკვანი** (60) - სალიცენზიო ზონასთან ისიც ძალზე ახლოსაა. არადა, ამ სასაგზურე 22-კაციან სიაში რამდენიმე მონაწილის ყოფნა ლიცენზიების განაწილების წესის გამოცაა სასურველი - ოლიმპიადაზე წონაში ერთი ქვეყნიდან მხოლოდ ერთი კაცის გამოყვანა შეიძლება, მაგრამ ღმერთმა დაიფაროს და თუ ის ლიცენზირებულიც დაგიშავდა, მაშინ საგზურს შენი გუნდის სხვა წევრს მხოლოდ იმ შემთხვევაში გადასცემ, ისიც თუ შედის ამ 22 კაცში, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ლიცენზიას კარგავ. ამ კონტექსტში გასაგებია 73-ში მონაწილეთა შერჩევა - ტატალაშვილი ახლოსაა 22-კაციან მიჯნასთან, თუმცა კონტინენტალური კვოტით ანუ დამატებითი სიით საგზურს ამ ეტაპისთვისაც იღებს, მაგრამ ქულები მაინც არ აწყენდა. მით უფრო, წლეულს შედარებით მოუკლო, ავალიანმა კი, პირიქით - მოუმატა. სამწუხაროა, რომ **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) არც ამჯერად მიჰყავთ, თუმცა, ეტყობა, ის მართლაც გადაიღალა მძიმე ფიზიკური ვარჯიშების შემდეგ და, ალბათ, დასვენება უფრო სჭირდება. ცუდი ისაა, რომ ამით მას ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსები დღითიდღე უმცირდება.

აი, მძიმე წონას რაც შეეხება, იქ ამ წუთისთვის ერთადერთი ფალავანის - ხანჯალიაშვილის იმედად ვართ დარჩენილები, რადგან ნაკრების წევრობის სხვა რეალური კანდიდატები დისკვალიფიცირებულები არიან. ხანჯალიაშვილი სალიცენზიო რეიტინგში სანუკვარ 22-ში შედის, მაგრამ ლონდონში წასასვლელად ჯერ კიდევ ბევრი ბრძოლა ელოდება.

სიმართლე გითხრათ, ერთი პირობა ისიც ვიფიქრეთ, რომ ასეთ შემადგენლობას საბაბი ფედერაციის ფინანსურმა კრიზისმა ან რუსეთთან პოლიტიკამ მისცა. საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა **გიორგი ალექსიძემ** კატეგორიულად უარყო ვარაუდი ფინანსური პრობლემებისა და პოლიტიკური მოტივის შესახებ. მისი თქმით, ზაიზენბახერმა არც ისე დიდი ხნის წინათ ჩავლილი ევროპის პირველობის შემდეგ, რომელსაც მალევე მოჰყვა „დიდი პრიზი“ ბაქოში, მოსკოვურ შეჯიბრებას დიდი დატვირთვა არ მისცა - წინ კიდევ გველოდება მნიშვნელოვანი შეჯიბრებები და ამ ეტაპზე ბევრს ამოსუნთქვის საშუალება მისცა. მაგალითად, იმავე შუკვანს, ჭრიკიშვილს... ეტყობა, ჭრიკიშვილის კრიზისში თავად ავსტრიელიც დარწმუნდა და გადაწყვიტა, ის დაბალი რანგის, ანუ შედარებით სუსტ ტურნირზე - მსოფლიოს თასზე აჭიდაოს, ვინძლო იქ მოიპოვოს წარმატება, რაც საკუთარი ძალების რწმენას შემატებს. ალექსიძემ ისიც გვითხრა, რომ ამ ბიჭთან დაკავშირებით პერსონალური მუშაობა მიმდინარეობს როგორც ფსიქოლოგიურად, ასევე მისთვის საჭიდაო სტილის შეცვლაზე, რათა ის გახდეს უფრო დახურული, პრაგმატული, მეტად ორიენტირებული შედეგზე. გახსნილი ჭიდაობა სასიამოვნო საყურებელი კი არის, მაგრამ მეტოქესაც ბევრ კოზირს აძლევს. მუშაობენ ფიზიკური კონდიციების ამაღლებაზეც, რადგან უფროსებთან ჯერ კიდევ უჭირს.

რაც შეეხება სხვების მოსკოვში წასვლელობას, მაგალითად, იგივე ნიკლაური ამჯერად დაასვენა, რათა უკეთ მოემზადოს მომდევნო შეჯიბრებებისთვის. იგივე ითქმის **ვალერი ლიპარტელიანზეც** (90), 100-კილოიანები კი აქ იმიტომ მიდიან, რომ მათ ობიექტური მიზეზით ჩაუვარდათ ბაქოს ტურნირი და მართლაც საშეჯიბრო დეფიციტმა იჩინა თავი. მარტივად რომ ვთქვათ, აქ იმ ტურნირის სანაცვლოდ მიდიან.

მოსკოვის შემდეგ ჩვენებს ივნისში უწყვეტად ელოდებათ სალიცენზიო შეჯიბრებები ბუქარესტისა(4-5), ერთ კვირაში - ტალინისა, რასაც უკვე ბრაზილიური შეჯიბრებები მოჰყვება: 18-19 ივნისს რიო დე ჟანეიროს „დიდი მუზარადია“, რაც ერთობლივი შეკრებით გაგრძელდება, 25-26 ივნისს კი სან პაულუს მსოფლიოს თასია. ჩვენები ოთხივე ტურნირში გამოვლენ.

თავად „დიდი მუზარადი“ „ლუჟნიკების სპორტის სასახლეში“ გაიმართება, მისი საპრიზო ფონდი 154 000 დოლარია. აქედან ჩემპიონი 5 000 დოლარს მიიღებს, ვერცხლის მედალოსანი - 3000-ს, ბრინჯაოს პრიზიორებს კი 1500-1500 ერგებათ. 28-ში ვაჟთაგან პირველი სამი წონის - 60, 66 და 73-ის წარმომადგენლები იჭიდავებენ, ქალთაგან - 48, 52, 57 და 63-ის, დანარჩენები კი მეორე დღეს დაასრულებენ შეჯიბრებას.

ირაკლი თავაძე

ფრენბურთი

ჩვენებური დელეგატი

ლევან ახვლედიანი ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ვაცლავ კლაუსს ფრენბურთის განვითარებაზე ესაუბრა



ლევან ახვლედიანი (მარცხნივ) და ვაცლავ კლაუსი

პრაღაში დასრულდა ლონდონის 2012 წლის სალიცენზიო ტურნირი პლაჟის ფრენბურთში, რომელზედაც ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ დელეგატად საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი მიავლინა.

“ტურნირმა საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაიარა და დიდი ინტერესი გამოიწვია გულშემატკივართა შორის. ტრიბუნები სავსე იყო. შაბათს და კვირას ტურნირს ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი **ვაცლავ კლაუსი** ესწრებოდა. როგორც ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელს დაახლოებით 30 წუთი მომეცა მესაუბრა პრეზიდენტთან პლაჟის ფრენბურთის შემდგომ განვითარებაზე ჩეხეთში. პრეზედენტმა კლაუსმა აღნიშნა, რომ პლაჟის ფრენბურთი წლიდან წლამდე პოპულარული სახეობა ხდება და არ არის გამორიცხული, რომ პრაღამ უახლოეს მომავალში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლოს. მე ხაზი გავუსვი ტურნირის მაღალ საურგანიზაციო დონეს, წარმატებები ვუსურვე ჩეხეთის ფრენბურთის ფედერაციის წარმომადგენლებს და ტურნირის ორგანიზატორებს.” – განაცხადა ლევან ახვლედიანიმა

სპორტი ყველასათვის

თასი მასპინძლებს

თბილისის 115-ე საჯარო სკოლამ ფრენბურთში მასწავლებელთა შორის გლდანი-ნაძალადევის ჩემპიონატს უმასპინძლა.

ნახევარფინალში მასპინძლებმა 207-ე სკოლის კოლეგებს 2:1 აჯობეს. 173-ე და 174-ე სკოლების პაექრობაში კი პირველმა 2:0 იმარჯვა.

115-ე სკოლამ ფინალიც მოიგო - 2:0 და გარდამავალ თასს დაეუფლა.

საინტერესოა, რომ შეჯიბრებაში უცხოეთიდან ჩამოსული ინგლისურის ენის მასწავლებლებიც მონაწილეობდნენ.

ვაჟა სიმონიშვილი

გამარჯვებული გუნდი

ფარიკაობა

პირადშიც, გუნდურშიც

დღეს ყაზანის ორთაბრძოლების სასახლე „აკ ბარსში“ სტარტს აიღებს 23-ნლამდელ მოფარიკავეთა ევროპის მე-4 ჩემპიონატი.



შეჯიბრებაში კონტინენტის უძლიერესი ახალგაზრდა მუშკეტერები იასპარეზებენ. საპრიზო ადგილების მაძიებელთა შორის ქართველი მოხმალავენიც იქნებიან.

„საკმაოდ პერსპექტიული გუნდი გვყავს, - გვითხრა საქართველოს ფარიკაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენმა **არჩილ გოგელიამ**. - თუნდაც ის რად ღირს, რომ ნლეულს იორდანიაში გამართულ მსოფლიოს პირველობაზე მიხეილ მარდალეიშვილმა კადეტ მოხმალავეთა შორის მესამე ადგილი დაიკავა. სხვადასხვა ტურნირში საგულისხმო შედეგები ჰქონდათ ძმებს - ბექა და სანდრო ბაზაძეებსა და კახა მაღრაძეს. ოთხივე სპორტსმენი ყაზანში როგორც ინდივიდუალურ, ისე გუნდურ პირველობებში მოსინჯავს ძალებს. არ არის გამორიცხული, რომ ჩვენმა ნაკრებმა ჩემპიონატში სიურპრიზი შემოგვთავაზოს. ბიჭები ამ შეჯიბრებისთვის კარგა ხანს მონდომებით ემზადებოდნენ. ერთობლივი წვრთნები უკრაინასა და გერმანიაში გაიარეს. დასკვნითი შეკრება კი თბილისში ჰქონდათ. გოგონებში მხოლოდ ერთი მონაწილე გვყავს - მოხმალავე თათია აფციაური. ქართველი მოფარიკავეებიდან ასპარეზობაში პირველი სწორედ ის ჩაებმება.“

გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ დღეს, 27 მაისს, ყაზანის საფარიკაო ბილიკებზე მოხმალავე გოგონები და დაშნით მოასპარეზე ბიჭები გავლენ. მოხმალავე ვაჟები ხვალ იბრძოლებენ მედლებისთვის. ამ სახეობაში გუნდური პირველობა კი 31 მაისს გაიმართება.

ვაჟა დანელია

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია თანაუგრძნობს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტს ბატონ რამაზ გოგლიძეს დედის გარდაცვალების გამო.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. “კლერმონი”; 4. აბიატი; 7. “ლევანტე”; 9. ილიადი; 12. ტრაექტორია; 13. რავა; 15. “ორიოლე”; 16. ზედგინიძე; 17. იუნიორი; 18. რურუა; 21. ბივუაკი; 23. დავი; 24. კახი; 25. კონტრშეტევა; 26. ბაშო; 27. ბატერფლაი; 28. “არმაზი”.

შვეულად: 1. კულტურიზმი; 2. რეა; 3. ოსტატი; 5. ბლიცტურნირი; 6. ანდერსონ; 8. “ვოიკოვიდინა”; 10. ცაბაძე; 11. კაშია; 14. პილოტი; 18. რიკოშეტი; 19. ავშარა; 20. აკობია; 21. ბიკოვა; 22. ვანო; 23. დრეიფი.

ყურადღება, დოპინგი!

WWW.GADA.GE

WORLD ANTI-DOPING AGENCY

საქართველოს ეროვნული ანტი-დოპინგური სააგენტო

სპეციალური გამოშვება №3

იუნესკოს სპორტში დოპინგის გამოყენების აღმოფხვრისა და გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის მხარდაჭერით

მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსი

მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსი მიღებულია 2003 წელს, ხოლო ძალაში შევიდა 2004 წელს. 2007 წლის 17 ნოემბერს ვადა-მ დაამტკიცა შემუშავებული ცვლილებები, რის შედეგადაც განახლებული მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსი ძალაშია 2009 წლის 1 იანვრიდან.

კოდექსი

კოდექსი არის ძირეული და უნივერსალური დოკუმენტი, რომელსაც ეფუძნება მსოფლიო ანტიდოპინგური პროგრამა. მისი მიზანია ძირითადი ელემენტების ურთიერთშერწყმის მეშვეობით დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. კოდექსი საკმაოდ კონკრეტულია იმ ასპექტებში, სადაც საჭიროა შეთანხმება დოპინგის წინაარმდეგ ბრძოლაში ერთიანობის მისაღწევად, ამავე დროს უნივერსალურია იქ, სადაც საჭიროა გარკვეული მოქნილობა.

დოპინგ-კონტროლი

კოდექსის პირველ ნაწილში გადმოცემულია კონკრეტული ანტიდოპინგური წესები და პრინციპები, რომლებიც უნდა შეასრულონ საკუთარ სფეროში აღნიშნული წესების მიღებაზე, დანერგვასა და იძულებაზე პასუხისმგებელმა ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორებიცაა მაგალითად, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო ფედერაციები, უმსხვილესი საერთაშორისო შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტები და ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციები. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ორგანიზაცია კრებითად მოიაზრებიან ანტიდოპინგურ ორგანიზაციებად.

კოდექსის ყველა მუხლი ჯამში შესასრულებლად სავალდებულოა ნებისმიერი ანტიდოპინგური ორგანიზაციის, სპორტსმენის ან სხვა პირისათვის.

2.1 ანტიდოპინგური წესების დარღვევა

სპორტსმენის სინჯში, ნებისმიერი რაოდენობის აკრძალული ნივთიერების, მისი მეტაბოლიტის ან მარკერის აღმოჩენა ითვლება ანტიდოპინგური წესების დარღვევად. გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი სუბსტანციები, რომლებიც **აკრძალულ სიაში** შეტანილია დოზობრივი ფორმით.

სპორტსმენი, ან მისი დამხმარე პერსონალი ვალდებულია იცოდეს, თუ რა არის ანტიდოპინგური წესების დარღვევა და იცნობდეს აკრძალულ სიაში ჩამოთვლილ ნივთიერებებსა და მეთოდებს.

ყოველი სპორტსმენის პერსონალური მოვალეობაა, არ დაუშვას აკრძალული ნივთიერებების მის ორგანიზმში მოხვედრა. სპორტსმენებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მათი ორგანიზმიდან აღებულ სინჯში ნებისმიერი აკრძალული ნივთიერების ან მისი მეტაბოლიტის, ან მარკერის აღმოჩენის შემთხვევაში. **მნიშვნელობა არ აქვს განზრახვას, ბრალს ან დაუდევრობას.**

პირველი დარღვევა: ორი (2) წლით დისკვალიფიკაცია

მეორე დარღვევა: სამუდამო დისკვალიფიკაცია

აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენება, ან გამოყენების მცდელობა.

2.2.2. არა აქვს მნიშვნელობა, აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდების გამოყენებამ გამოიღო შედეგი, თუ არა. აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდების გამოყენება ან გამოყენების მცდელობა ითვლება წესების დარღვევად.

2.3. დადგენილი წესით მიღებული შეტყობინების შემდეგ, საპატიო მიზეზების გარეშე სპორტსმენის მიერ სინჯების ჩაბარებაზე უარის თქმა ან მათი არ წარმოდგენა.

2.6.1 სპორტსმენის მიერ, ნებისმიერ დროს და ადგილას, ისეთი ნივთიერების ან მეთოდის ფლობა, რომლის გამოყენება აკრძალულია არასაშეჯიბრო პერიოდში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნივთიერების ან მეთოდის გამოყენება ხდება **თერაპიულ გამოყენების ნებართვის საფუძველზე,** ან სხვა საპატიო მიზეზით.

დისკვალიფიკაციის ვადა განისაზღვრება 2 წლით.

2.4 არსებული მოთხოვნების დარღვევა: არასაშეჯიბრებო პერიოდში სპორტსმენის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის არ წარმოდგენის და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში დადგენილი მორიგი ტესტირების (შემოწმების) გამოტოვების ჩათვლით, ასევე 18 თვის განმავლობაში უფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ დადგენილი 3 ტესტის გამოტოვების ან ჩაგდების შემთხვევა ჩაითვლება ანტიდოპინგური წესების დარღვევად.

დისკვალიფიკაციის ვადა შეადგენს მინიმუმ 1, ხოლო მაქსიმუმ 2 წელიწადს, სპორტსმენის ბრალის დონის გათვალისწინებით.

2.8 სპორტსმენისათვის ნებისმიერი აკრძალული ნივთიერებისა და აკრძალული მეთოდის დანიშვნა ან დანიშვნის მცდელობა, ასევე არასაშეჯიბრო პერიოდში ისეთი ნივთიერების ან მეთოდის დანიშვნა ან დანიშვნის მცდელობა, რომელიც იკრძალება არასაშეჯიბრებო პერიოდში. ასევე **ხელის შეწყობა, შეგულიანება, დახმარება, ნაქეზება, დაფარვა და სხვა ნებისმიერი სახის მონაწილეობის მიღება ანტიდოპინგური წესების დარღვევაში, ან დარღვევის მცდელობაში.**

სადისკვალიფიკაციო ვადა განისაზღვრება ვადით 4 წლიდან – სამუდამო დისკვალიფიკაციამდე. ანტიდოპინგური წესების დარღვევა, **რომელშიც ჩართულია არასრულწლოვანი, უნდა განიხილებოდეს განსაკუთრებულად, ხოლო თუ აღნიშნული ჩადენილია სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიერ, პერსონალს უნდა დაეკისროს სამუდამო დისკვალიფიკაცია.**

3.2. ფაქტებისა და პრეზუმპციების დადგენის მეთოდები:

ანტიდოპინგური ნესების დარღვევასთან დაკავშირებული ფაქტების გამოვლენა დასაშვებია ნებისმიერი სარწმუნო საშუალებით, მათ შორის აღიარებით.

მუხლი 6. სინჯების ანალიზი

დოპინგკონტროლისთვის სინჯების ანალიზი უნდა ხორციელდებოდეს შემდეგი პრინციპების შესაბამისად:

6.1 აკრედიტირებული ლაბორატორიების გამოყენება

2.1 მუხლის ინტერესებიდან გამომდინარე, დოპინგკონტროლისათვის სინჯების გამოკვლევა ხორციელდება მხოლოდ WADA-ს მიერ აკრედიტებულ ლაბორატორიებში, ან როგორც ეს განისაზღვრება WADA-ს მიერ. აღებული სინჯების ანალიზისათვის WADA-ს მიერ აკრედიტებული კონკრეტული ლაბორატორიის ამორჩევა ხდება იმ ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია ანალიზის შედეგზე.

2010 წელს ჩატარებულმა 300000-მა ტესტირებამ გამოავლინა 5610 (1,68%) დადებითი შედეგი.

მუხლი 9.

საშეჯიბრებო პერიოდში ჩატარებული ტესტირებისას, გამოვლენილ ანტიდოპინგური წესების დარღვევას მოსდევს წესების დამრღვევი სპორტსმენის შედეგების ავტომატური გაუქმება, ასევე ყველა მიღებული მედლებისა თუ ქულებისა და პრიზების ჩამორთმევა.

10.8.1 მას შემდეგ რაც სპორტსმენი მხილებულ იქნა ანტიდოპინგური წესების დარღვევაში, იმისათვის, რომ აღიდგინოს დისკვალიფიკაციამდელი სტატუსი, იგი ვალდებულია, პირველ რიგში დააბრუნოს ყველა ფულადი ჯილდო ამ მუხლის შესაბამისად.

10.9. სადისკვალიფიკაციო ვადის ძალაში შესვლა

დისკვალიფიკაციის ვადის ათვლა იწყება საქმის მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღების დღიდან ან დამრღვევის მიერ განხილვაზე უარის თქმის შემთხვევაში.

10.10. სპორტსმენის სტატუსი დისკვალიფიკაციის პერიოდში

10.10.1. დისკვალიფიკაციის პერიოდში არც ერთ დისკვალიფიცირებულ პირს, არანაირი სახით, არა აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს შეჯიბრებაში ან სხვა ღონისძიებებში (გარდა სპეციალური ანტიდოპინგური საგანმანათლებლო, ან სარეაბილიტაციო პროგრამებისა).

10.10.3. დისკვალიფიკაციის პერიოდში დაფინანსების შეჩერება

ანტიდოპინგური წესის დარღვევისათვის დამრღვევ პირს, ხელისმომწერი სახელმწიფოს ან მისი წევრი ორგანიზაციის მხრიდან უნდა შეუწყდეს სპორტთან დაკავშირებული დაფინანსება, ან სხვა სახის სარგებელის მიღება მთლიანად, ან ნაწილობრივ.

10.11. ტესტირება აღდგენის წინ

დროებითი სანქციის, ან სადისკვალიფიკაციო ვადის გასვლის შემდეგ სპორტში დაბრუნებისათვის აუცილებელია, რომ სპორტსმენი ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი უფლებამოსილი ანტიდოპინგური ორგანიზაციისათვის, რათა მოხდეს მისი არასაშეჯიბრებო პერიოდში ტესტირება და მისგან ყველა საჭირო ინფორმაციის მიღება.

11.2 შედეგები გუნდურ სპორტის სახეობებში

თუ სპორტული შეჯიბრების დროს გამოვლენილი იქნა გუნდის ორი ან მეტი წევრის მიერ ანტიდოპინგური წესების დარღვევა, დამრღვევ სპორტსმენებთან ერთად, გუნდი შეიძლება დისკვალიფიცირდეს ან დაისაჯოს სხვა დისციპლინური სახდელით (მაგალითად, ქულების ჩამორთმევა).

14.2.2. არაუგვიანეს 20 დღისა მას შემდეგ, რაც მოსმენის პროცესში დადგინდება ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტი, აღმოჩნდება, რომ ანტიდოპინგური წესების დარღვევის ბრალდება დროულად არ იქნა უარყოფილი, შედეგებზე, ანალიზზე პასუხისმგებელმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ ღიად უნდა გამოაქვეყნოს ინფორმაცია მიმდინარე საქმესთან დაკავშირებით, რომელშიც უნდა მიუთითოს: სპორტის სახეობა, დარღვეული ანტიდოპინგური წესი, დამრღვევი სპორტსმენის, ან სხვა პირის ვინაობა, გამოყენებული აკრძალული ნივთიერება და აკრძალული მეთოდი და დარღვევასთან დაკავშირებული შედეგები.

მუხლი 20.1. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის როლი და პასუხისმგებლობა

20.1.1. ამ კოდექსის შესაბამისად, ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად გაატაროს ანტიდოპინგური პოლიტიკა და მიიღოს ანტიდოპინგური წესები.

20.1.2 საერთაშორისო ფედერაციებისათვის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრობის პირობად გახადოს კოდექსით მიღებული აღნიშნული ანტიდოპინგური წესების აღიარება.

20.1.3. ნაწილობრივ ან მთლიანად უთხრას სუბსიდირებზე უარი იმ სპორტულ ორგანიზაციებს, რომელთა წესებიც არ შეესაბამება კოდექსს.

20.1.6. მოითხოვოს ყველა სპორტსმენისგან და მათი დამხმარე პერსონალისგან, რომლებიც მონაწილეობენ ოლიმპიურ თამაშებში, როგორც მწვრთნელები, გუნდის წევრები, ოფიციალური პირები, მედიკოსები თუ პარამედიკოსები, რომ მოცემული წესების სავალდებულო შესრულება, მიიღონ შეჯიბრებაში მონაწილეობის აუცილებელ პირობად.

20.1.8. მიიღოს განაცხადები მხოლოდ ოლიმპიადის ჩატარებაზე მხოლოდ იმ ქვეყნებიდან, რომელთა მთავრობამაც მიიღო, დაამტკიცა, დაამოწმა ან დაეთანხმა UNESCO-ს კონვენციას და რომელთა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ეროვნული პარაოლიმპიური კომიტეტი და ანტიდოპინგური ორგანიზაცია იმყოფებიან კოდექსის შესაბამისობაში.

20.1.9. პროპაგანდა გაუწიოს ანტიდოპინგურ სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობას.

20.1.10. ითანამშრომლოს შესაბამის ეროვნულ ორგანიზაციებთან, სააგენტოებთან და სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან.

20.2 საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტის როლი და პასუხისმგებლობა (იგივე, რაც სოკ-ს).

20.3 საერთაშორისო ფედერაციების როლი და პასუხისმგებლობა. (იგივე, რაც სოკ-ს).

20.3.10. 2010 წლის 1 იანვრიდან გააკეთოს ყველაფერი იმისათვის, რომ მისცეს მსოფლიო ჩემპიონატები მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომლებმაც რატიფიცირება გაუკეთეს, მიიღეს, დაამოწმეს, ან აღიარეს UNESCO-ს კონვენცია და რომლის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ეროვნული პარაოლიმპიური კომიტეტი და ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია იმყოფებიან შესაბამისობაში კოდექსთან.

20.4. ეროვნული ოლიმპიური და პარაოლიმპიური კომიტეტების როლი და პასუხისმგებლობა.

20.4.2. ეროვნული ფედერაციებისათვის, აღნიშნულ კოდექსში მიღებული ანტიდოპინგური წესების აღიარება გახადოს ეროვნული ოლიმპიური და პარაოლიმპიური კომიტეტების წევრობის პირობად.

20.4.4. ითანამშრომლოს თავის ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან.

20.5 ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის როლი და პასუხისმგებლობა

20.5.1. აღნიშნული კოდექსის შესაბამისად გაატაროს ანტიდოპინგური პოლიტიკა და მიიღოს ანტიდოპინგური წესები.

20.5.2 ითანამშრომლოს შესაბამის ეროვნულ ორგანიზაციებთან და სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან.

20.5.3. ხელი შეუწყოს ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციების მიერ ერთობლივი ტესტირების ჩატარებას.

არეული ფართოვდება, ნდობაც...

სემინარი ქუთაისში

საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ სემინარები ჩაატარა ქუთაისში (2), ბათუმში, ოზურგეთში, ზუგდიდში და ფოთში. ასევე თბილისში - ეროვნული ფედერაციებისათვის. რაგბიში მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობის ნინ ცალკე ჩაუტარდა სემინარი საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებს. ხორციელდება ტესტირება ამავე ტურნირზეც.

საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოსა და რაგბის საერთაშორისო ფედერაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა ჭიდაობის სახეობათა საერთაშორისო ფედერაციასთანაც.

ახლა დღის წესრიგში დგას ეროვნულ ჩემპიონატებში მოასპარეზე გუნდების, ზედმეტად ეგზალტირებული და არაადეკვატურად აგრესიული მოთამაშეების ტესტირების საკითხი.

სემინარი 20-წლამდელ მორაგბეთა ნაკრებთან

®

გვერდი მომზადებულია ათენის ოლიმპიური აკადემიის ასპირანტის, თორნიკე გაჩეჩილაძის კონცეფციით

ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘ

ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔ – 13, ᲕᲘᲠᲢᲣᲡᲘ – 1:3

ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲮᲣᲠᲐ

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔᲛ 2010-11 წლების სეზონი დაასრულა. მისი "ვირტუსი" იტალიის ჩემპიონატის მეოთხედფინალში მესამედაც დამარცხდა სიენას „მონტეპასკისთან" და სერია 1:3 წააგო.

მატჩი ფავორიტმა სიენელებმა თავიდანვე დამაჯერებლად დაიწყეს, 10 წუთის შემდეგ 25:9-ს იგებდნენ. მეორე პერიოდში მასპინძლებმა მდგომარეობის გამოსწორება სცადეს, სანიკიძემ 8 ქულაც ჩააგდო, მაგრამ დიდ შესვენებაზე „მონტეპასკი" მაინც სოლიდური ფორით გავიდა - 49:28.

მესამე პერიოდი „ვირტუსისა" იყო, თუმცა სხვაობა მხოლოდ 8 ქულამდე შეამცირა. საბოლოოდ „მონტეპასკიმ" 81:62 იმარჯვა.

მასპინძელთა რიგებში საუკეთესო იყო ვიქტორ სანიკიძე, რომელის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 21-ს უწია. სხვათა შორის, ასეთი მაღალი მაჩვენებელი ერთ მონტეპასკელსაც არ ჰქონდა. ვიქტორმა 35 წუთში 13 ქულა, 8 მოხსნა და 2 დაფარება მიითვალა. მან მხოლოდ ერთი ორქულიანი ისროლა (ააცილა), სამაგიეროდ პერიმეტრიდან იყო უშეცდომო: 3-დან 3 სამქულიანი.

ნახევარფინალში „მონტეპასკი" შეხვდება „ბენეტონს", რომელმაც **მერაბ ბოქოლიშვილის** „აველინოს" 3:1 აჯობა. ქართველი უკანახაზელი ბოლო მატჩის განაცხადში არ ყოფილა.

ამასობაში გაირკვა **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუს" მეტოქე: „მილანმა" „დინამო სისარი" ჩამოიცილა და კანტუელებს დაეჭიდება. ნახევარფინალური სერიის პირველი მატჩი 30 მაისს გაიმართება.

ᲕᲐᲣᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲨᲔᲠᲛᲐᲓᲘᲜᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ 100 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ

„ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲛ" „ᲰᲔᲚᲘᲝᲡᲘ" სტუმრადაც დაამარცხა (81:73) და ნახევარფინალური სერია 2:0 მოიგო.

გიორგი შერმადინმა 21 წუთში 13 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა. მან ორქულიანები 100-პროცენტიანი სიზუსტით ისროლა: 5-დან 5 ჩააგდო (4-დან 3 სავარიმო).

ვლადიმერ ბოისამ 6 წუთში თითო მოხსნა-პასი და 2 ჩაჭრა გაიფორმა.

ფინალური სერია 2 ივნისს დაიწყება. „ოლიმპია" კრკა-ს შეხვდება.

ᲕᲐᲣᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲔᲙᲘᲕᲘᲠᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲑᲝᲜᲘᲡᲘ ᲩᲐᲐᲪᲛᲔᲕᲡ

რამდენადაც მრავალმხრივი კალათბურთელი იყო **არვიდას საბონისი,** იმდენად მრავალფეროვანია მისი არასაკალათბურთო ცხოვრებაც. იგი ქართველებს ეკიპირებასაც შეუკერავს:

- ძალიან ლამაზი ფორმა იქნება, ახალი დიზაინითა და ფერებით. ვიმედოვნებ, ამ მაისურებში საქართველოს ნაკრები წარმატებას მიაღწევს და ჩვენც გვასახელებს, - თქვა საბონისმა და დასძინა: *- გულზე პატარა წარწერა შესრულდება - შაბონის 220.*

- რატომ 220? - ჰკითხა მისმა მეგობარმა **ნიკოლოზ დერიუგინმა.**

- 220 ჩემი სიმაღლეა, - უპასუხა საბონისმა.

- ერთმანეთის წინააღმდეგ რომ ვთამაშობდით, 225 სმ-მდე აღწევდი, ახლა ხომ არ დაბერდი? - ხუმრობით ჰკითხა დერიუგინმა, რასაც ლიტველი გოლიათიც ხალისით შეხვდა.

ნიკოლოზ დერიუგინმა გვითხრა, რომ საბონისი არა მხოლოდ საქართველოს ნაკრებს, არამედ ქართველ გულშემატკივარსაც შეუკერავს შესაბამის ფორმას...

- ბოლო წლებში ჩვენს ნაკრებს ლიტვური ფირმა „ტუტა" მოსავდა. ახლა, ეს კომპანია არვიდას საბონისმა შეიძინა და ამიტომ საქართველოს ნაკრების ფორმას გულზე შაბონის 220 დაეწერება. არვიდასი წარმოებას აფართოებს და ეკიპირების გარდა სპორტული ტიპის ტანისამოსს უშვებს. როცა საქართველოს ნაკრების მაისურები შეიკერება, პრეზენტაციას აუცილებლად მოვაწყობთ, - გვითხრა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა.**

ᲕᲐᲣᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲠᲕᲘᲓᲐᲡ ᲡᲐᲑᲝᲜᲘᲡᲘ ᲐᲮᲚᲝ ᲮᲔᲓᲘᲗ

ᲞᲝᲠᲢᲚᲔᲜᲓᲘᲡ 7 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ? ᲐᲠᲐ, ᲣᲮᲔᲚᲤᲐᲡᲝᲓ ᲟᲐᲚᲒᲘᲠᲘᲡᲨᲘ

1979 ᲬᲚᲘᲡ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ **ᲘᲕᲐᲜ ᲔᲓᲔᲨᲙᲝᲡ** ბინაში ტელეფონის ზარი გაისმა. ყურმილის მეორე მხარეს **მოდესტოს პაულაუსკასი** იყო:

- ჩემი გუნდის შეკრებაზე გელი. საოცრება უნდა განახვო. სასწრაფოდ გამოდი...

პაულაუსკასი ედეშკოს ძველი მეგობარი იყო. მათ **მიხეილ ქორქიასა** და **ზურაბ საკანდელიძესთან** ერთად 1972 წელს ოლიმპიური ოქრო მოიგეს. 1979 წელს კი პაულაუსკასი სსრ კავშირის კადეტთა (16-წლამდელთა) ნაკრებს წვრთნიდა. რამდენიმე წლის შემდეგ ედეშკო გამოტყდა, რომ ნოვოგორსკში, ნაკრებების ოლიმპიურ ბაზაზე ნასვლა გულზე ნამდვილად არ ეხატებოდა, რადგან მანამდეც არაერთხელ შეხვედრია ამომავალ ვარსკვლავებს, რომლებსაც დიდი კალათბურთი არ უთამაშიათ. თუმცა, პაულაუსკასის ნაკრებში გამოჩენილმა არვიდას საბონისმა ედეშკო პირველივე შეხედვისთანავე გააკვირვა:

- ბურთს კალათში იოლად ათავსებდა, რადგან სიმაღლით ყველას აღემატებოდა. იგი კარგადაც ხტებოდა, იყო მოქნილი და კოორდინაციაც არ დაეწუნებოდა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საბონისი (15 წლისაც არ იყო) ბუნებისგან ბოძებულ მონაცემებს ბორტად არ იყენებდა: რაციონალური, წინდახედული თამაშით გამოირჩეოდა, - იხსენებს ივან ედეშკო.

...ასეთივე იყო ზრდასრული არვიდასი. მისთვის 15-20 ქულა ჩვეულებრივი ამბავი იყო. სსრ კავშირის ჩემპიონატში მისი სარეკორდო მაჩვენებელი 57 ქულაა, საერთაშორისო შეჯიბრებებში - 42, NBA-ში - 44.

■ ■ ■

ძალიან შორს წავედით... არვიდასი 12 წლამდე აკორდეონის გაკვეთილებზე დადიოდა და ეს საქმე კარგადაც გამოსდიოდა. თუმცაღა, ერთ დღეს მუსიკის მასწავლებელმა მეცადინეობაზე არმისული მონაფე ტბის პირას აღმოაჩინა. საბონისი ბაყაყებს აკვირდებოდა. იმავე დღეს მასწავლებალმა პატარის მშობლებს ურჩია: ეს ბავშვი ან ბიოლოგიურ სკოლაში მიიყვანეთ, ან სხვა პროფესია შეურჩიეთო.

არვიდასს ბუნება პაპამისმა, პრანასმა შეაყვარა, რომელიც მეტყევე იყო. მომავალი კალათბურთელი პაპას სიმაღლეშიც დაემსგავსა. მის ოჯახში ყველაზე მაღალი სწორედ ბატონი პრანასი იყო - 202 სმ.

2 მეტრს არვიდას საბონისმა 13 წლისამ მიაღწია, 1988 წლის ოლიმპიადაზე მისი სიმაღლე უკვე 224 სმ იყო.

■ ■ ■

საბასი სროლის სიზუსტით გამოირჩეოდა როგორც ფარქვეშიდან, ასევე საშუალო დისტანციიდან და პერიმეტრიდან, რაც, პირველ რიგში, **იური ფიოდოროვის** დამსახურებაა. ეს კაცი არვიდასის პირველი მწვრთნელი გახლავთ. იგი მომავალ ვარსკვლავს ფართან ტრიალს კი არ ასწავლიდა, არამედ ბურთთან მუშაობას აჩვევდა და ხშირად გამთამაშებლის ფუნქციებსაც ასრულებინებდა.

სსრ კავშირის ჩემპიონატში საბონისის დებიუტი 1981 წლის 24 ოქტომბერს "კალევთან" მატჩში შედგა. კაუნასელებმა 91:78 გაიმარჯვეს, ხოლო დებიუტანტმა 14 ქულა მოაგროვა.

1983 და 1984 წლებში ფინალში დამარცხების შემდეგ, ლიტველებმა 80-იან წლებში პირველად 1985-ში მოიპოვეს სსრ კავშირის ჩემპიონობა. ხოლო 1987 წელს "ულგირისს" ოქრო პირადად არვიდას საბონისმა მოუტანა: მოსკოვურ ფინალში, წესითა და რიგით საბასს არ უნდა ეთამაშა. მას ლუჟნიკების დარბაზში არც არავინ ელოდა, რადგან მოსკოვის საავადმყოფოში ტრავმირებული იწვა. თუმცა, თამაშამდე ნახევარი საათით ადრე იგი საავადმყოფოდან გაიპარა, გუნდს შეუერთდა და იმ დღეს თამაშის ბედი გადაწყვიტა - არმიელთა მეფარეებმა ვარაფერი მოუხერხეს საბონისს, რომლის წყალობით "ულგირისმა" დამატებითი დროის ერთი მონაკვეთი 10:0 მოიგო და საბოლოოდ ოქრო ლიტვაში წაიღო.

■ ■ ■

ასეთი ქმედებით ლიტველმა გიგანტმა საკუთარ ჯანმრთელობას ზიანი მიაყენა, მაგრამ მასვე ეკუთვნის სიტყვები: "რადგან გტკივა, ე. ი. ცოცხალი ხარ".

ოვერტაიმიანი ფინალის შემდეგ ერთ თვეში, არვიდასი ფეხზე წამოდგა და სსრკ-ს ნაკრებს შეუერთდა, თუმცა შერემეტიევოს აეროპორტიდან ორი თვითმფრინავი გაფრინდა: პირველში, ათენისკენ, ევროპის ჩემპიონატზე მიმავალი ნაკრების წევრები ისხდნენ, მეორეში – თაბაშირდადებული საბონისი. ერთ-ერთი ვარჯიშისას მან აქილევსის მყესი და ჯვარედინი იოგები დაიზიანა. ასეთი დიაგნოზის შემდეგ, უკეთეს შემთხვევაში სპორტსმენები ინვალიდობას თავს აღწევენ, საკალათბურთო კარიერის გაგრძელებაზე ხომ ოცნებაც ზედმეტია... საბონისი კი 20 წლისა იყო და უამრავი ტიტული ჰქონდა მოსაგები. როდესაც მას ჰკითხეს, კარიერაში რას შეცვლიდიო, უპასუხა:

- ახალგაზრდობაში, კადეტებიდან დაწყებული, პირველი გუნდით დასრულებული, ყველა ნაკრებში მინევდა თამაში. ამას ემატებოდა სსრკ-ს ჩემპიონატში ასპარეზობა, რაც ადრეულ ასაკში ჯანმრთელობისთვის სასარგებლო სულაც არ არის. რომ შემეძლოს, სწორედ ამას შევცვლიდი.

■ ■ ■

...1988 წლის გაზაფხულზე ნაკრებთან ერთად საბასი სეულის ოლიმპიადისთვის ემზადებოდა. თუმცა მოხდა კიდევ ერთი გაუთვალისწინებელი ამბავი: შეკრებისას, ბაზის კიბეზე ფეხი დაუცდა და ნაოპერაციევი სახსარი საბონისმა ხელმეორედ დაიზიანა. ამ ამბავმა ლიტველი ცენტრი სეულის ოლიმპიადას ძალიან დააშორა.

ნაკრების მწვრთნელმა გომელსკიმ საქმეში NBA-ს კლუბი, "პორტლენდი" ჩართო, რომელმაც 1986 წელს არვიდას საბონისი დრაფტზე აიყვანა. პორტლენდის კლინიკაში საბასის მკურნალობამ, შემდეგ კი "ბლეიზერსში" სარეაბილიტაციო ვარჯიშების ჩატარებამ გუნდის უფროსობას იმედი გაუჩინა, რომ იგი ამერიკაში დარჩებოდა, ხოლო აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელი **ჯონ ტომპსონი** მეტად აღაშფოთა:

- მალე სეულის ოლიმპიადა დაიწყება. ჩვენი მთავარი მეტოქენი საბჭოელები იქნებიან. პორტლენდელები კი მათ ლიდერს, საბონისს რეაბილიტაციაში ეხმარებიან. კაპიტალისტები ვგრეხთ იმ თოკს, რომელზეც სოციალისტებმა ჩვენ უნდა ჩამოგვკიდონ.

NBA-ს კომისარმა **დევიდ შტერნმა** ასეთი პასუხი გასცა:

- ტომპსონი დიდებული მწვრთნელია. მოხარული ვარ, რომ იგი ჩვენი ქვეყნის მმართველი არ არის.

სხვათა შორის, "პორტლენდის" უფროსობამ საბონისი დრაფტზე ისე აიყვანა, რომ გენერალურ მენეჯერსა და მთავარ მწვრთნელს ლიტველის თამაში ნანახი არ ჰქონდათ. ისინი დაეყრდნენ სხვადასხვა კალათბურთელთა და სპეციალისტთა შეფასებებს. მაგალითად, **ბილ უოლტონი** ("ბოსტონის" ვარსკვლავი) წინასწარმეტყველებდა:

- საბონისი ამერიკაში ჩამოსვლისთანავე NBA-ს ვარსკვლავად იქცევა. იგი 224 სმ. სიმაღლის ლარი ბერდია.

...თუმცა, პორტლენდელთა დიდი მონდომების მიუხედავად არვიდასი სამშობლოში დაბრუნდა. საბონისიანმა საბჭოთა ნაკრებმა სეულის ოლიმპიადა ცუდად დაიწყო (ლიტველი გიგანტი საშუალოდ 10 წუთს თამაშობდა). ტურნირის მთავარ მატჩებში საბასმა კიდევ ერთხელ დაივიწყა ექიმების აკრძალვები და ბოლომდე დაიხარჯა. საბჭოელების ნახევარფინალური ეტაპის მეტოქე ამერიკის ნაკრები იყო. საბონისს თანაამპლუელ მეტოქე **დევიდ რობინსონთან** თავისი ანგარიში ჰქონდა - მატჩის წინადღეს 217 სმ. სიმაღლის დევიდი არვიდასს რესტორანში შეხვდა. ლიტველი მიესალმა, ამერიკელმა თვალი აარიდა. არადა, ისინი ერთმანეთს კარგად იცნობდნენ...

» 8ᲒᲐ-18 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ



IRB-ს ერთა თასი

საქართველო-შოტლანდია A. 2010 წელი

ბორჯღალოსნებს რუმინული გაკვეთილები ელით

საქართველოს ნაკრები ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასისთვის მზადებას, ფაქტობრივად, ივნისის პირველი დეკადიდან დაიწყებს. ჩვენი ეროვნული გუნდი 7 ივნისს რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გაემგზავრება, სადაც IRB-ს ერთა თასის გათამაშებაში იასპარეზებს.

„ბორჯღალოსნების" მეტოქეები იქნებიან სამხრეთ აფრიკის „კინგზი", ასევე არგენტინის A და ნამიბიის ეროვნული ნაკრებები. ამ გუნდების გარდა პირველობისთვის იბრძოლებენ ჩვენთვის კარგად ნაცნობი რუმინეთისა და პორტუგალიის ეროვნული გუნდები.

ცხადია, ჩვენი ნაკრების გარდა, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მასპინძელთა გუნდის თამაშიც, რადგან „მუხის ფოთლები" ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასის გათამაშებაში „ბორჯღალოსნების" მეტოქეები არიან.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებების დაპირისპირება მსოფლიოს თასის ჯგუფურ ტურნირზე, 28 სექტემბერს „პალმერსთონში" გაიმართება.

IRB-ს ერთა თასისთვის რუმინელთა თავკაცმა **რობერ ანტონინმა** ყველა უძლიერეს მორაგბეს უხმო. დისკვალიფიკაციის ვადა დაუმთავრდა და გუნდს დაუბრუნდა შერკინების კვაჭი **მარიუს ტინკუ,** ტრავმა მოიშუშა და კვლავ მწყობრშია რუმინელთა საუკეთესო მორაგბე, მესამეხაზელი **ივიდიუ ტონიცა.** სამაგიეროდ „მუხის ფოთლებს" დააკლდებათ წლების განმავლობაში გუნდის კაპიტანი და ლიდერი, მეორეხაზელი **სორინ სოკოლი,** რომელსაც სერიოზული კონფლიქტი აქვს მთავარი მწვრთნელის თანაშემწე **რომეო გონტონიაკთან.** ამასთან, ეროვნულ ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა საკმაოდ გამოცდილმა მესამეხაზელმა **ალექსანდრუ მანტამ.**

რუმინეთში მოასპარეზე გუნდის შემადგენლობა უკვე გამოაცხადა ნამიბიის ნაკრების თავკაცმაც. აფრიკელებთან მატჩი ჩვენი გუნდისთვის ტესტია და მათთან შეხვედრის შედეგი რეიტინგზე აისახება. ამიტომ, IRB-ს ერთა თასის შარშანდელ გამარჯვებულთან, აუცილებლად მოგება გვმართებს.

ნამიბიის ნაკრების რიგებში რვა ლეგიონერია, აქედან ორი რუმინეთში ასპარეზობს, ერთი ინგლისური კლუბის წარმომადგენელია, დანარჩენი ხუთი კი სხვადასხვა ფრანგული გუნდის ღირსებას იცავს.

საქართველოს ნაკრები ნამიბიის ეროვნულ გუნდს 19 ივნისს დაუპირისპირდება.

რუმინეთის ნაკრები

პირველი ხაზი: **ნიკოლაე ნერე, ბოგდან ზეზეგა (ორივე-სტიაუა), სეზარ პოპესკუ (მაკონი), დრაგოშ დიმა (ბლანიაკი), მიჰაიტა ლაზარი (ექსი), იონ პაულიკა (ლონდონ იარში), სილვიუ ფლორეა (ბორდო), მარიუს ტინკუ (პერპინიანი), ანდრეი რადოი (ბაია მარე)**

მეორე ხაზი: **კრისტიან პეტრე (სენტ ეტიენი), ვალენტინ ურსაკე (ექსი), ვალენტინ პოპარლანი (ბუქარესტი), მარიუს სირბე (ტარბი)**

მესამე ხაზი: **სტელიან ბურეა, ვასილე რუსი (ორივე-ტიმიშოარა), მიჰაი მაკოვეი (ბაია მარე), დანიელ იანუსი (სტიაუა), ოვიდიუ ტონიცა (პერპინიანი), დანიელ კარპო (ფარული)**

№9: **ლუჩან სირბუ (მიო), ფლორინი სურუჯუ (ბუქარესტი), ვალენტინ კალაფეტეანუ (ტიმიშოარა).**

№10: **დანუც დუმბრავა (სტიაუა), იონუც დიმოფტე (ბაია მარე)**

№12-13: **კონსტანტინ გეარა (ფარული), ჩაბა გალი (ბაია მარე) იონელ კაზანი, კატალინ დესკალუ (ორივე-სტიაუა).**

№11-14: **კატალინ ფერკუ, მედალინ ლემნარუ (ორივე-ტიმიშოარა), კატალინ ნიკოლაე (ფარული), სტეფან ჩუნტუ (ბაია მარე)**

№15: **ფლორინ ვლაიკუ (სტიაუა), იულიან დუმიტრაში (ლურდი)**

ნამიბიის ნაკრები

შერკინება: **ჯონი რედელინგჰაუზი, ბერტუს ოკალაჰანი, ჰეინც კოლი, ტინუს დუ პლესი, პი ჯეი ფან ლილი (ხუთივე-უონდერერზი), იანი დუ ტოიტი (ჰემილთონსი), კასპერ ვივერსი (აჟენი), შონ ესთერჰუიზენი, მორნი ბლუმი (ორივე-იუნაიტედი), ნიკო ესთერჰაუზენი (უგუნდო), რუან კიტშოფი (ვესტერნ პროვანსი), იაკუს ნიუვენჰაუზი (ორიაკი), რენი ფან ნილი (ოუნემი)**

უკანა ხაზი: **რიან დე ლა ჰერპი (მოსლი), ეგენ იანტისი, მაკგრეთ ფან ვიკი (ორივე-ფარული), ჯეკ ბოკი, ჰეინე ბუკი (ორივე-ფალკონი), ტი სი ლოსპერი, დარლი დე ლა ჰარპი, ვილი ვინკლერი (სამივე-ვესტერნ სუბურბსი), პიტ ფან ზილი (ბურგუენი), დევიდ ფილანდერუ (იუნაიტედი), კონრად მარაისი (მონპელიე), კრისანდერ ბოთა (კადუსი)**

ერთა თასი

10 ივნისი

საქართველო-კინგზი (ს.აფრიკა)

15 ივნისი

საქართველო- არგენტინა A

19 ივნისი

საქართველო-ნამიბია

მეტოქეები

ნარშავებს ფერგიუს თომსონი დააკლდებათ

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქეს ჯგუფურ ტურნირზე, შოტლანდიის ეროვნულ ნაკრებს შერკინების კვაჭი **ფერგიუს თომსონი** დააკლდება.

ნარშავები მსოფლიოს თასისთვის მზადებას ივნისის ბოლოს დაიწყებენ. თომსონი, ინგლისელი მწვრთნელის **ენდი რობინსონის** გუნდისთვის პირველი დიდი დანაკლისია. მას მხარის ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი და საოპერაციო შეიქნა. ექიმების ვერდიქტით, მას გამოსაჯანმრთელებლად ექვსი თვე დასჭირდება.

„განადგურებული ვარ. ტრავმამ სრულიად მოულოდნელად შემანუხა. სამწუხაროა, მაგრამ ახალ ზელანდიაში გამგზავრებას ვერ შევძლებ. ახლა მთელი კონცენტრაცია ოპერაციის შემდგომ რეაბილიტაციაზე უნდა გადავიტანო, რათა გამოჯანმრთელების შემდეგ კლუბის ძირითად შემადგენლობაში დავიმკვიდრო ადგილი" - თქვა თომსონმა.

ფერგიუსის ნაცვლად რობინსონი ჯერჯერობით არავის მიწვევას აპირებს, რადგან მის განკარგულებაში ჯერ კიდევ არიან **დაგ ჰალი, როს ფორდი** და **სკოტ ლაუსონი.**

შოტლანდიის ნაკრები

შერკინება: **ჯონ ბარკლი, ჯონ ბითი, რეი გრანტი, რიჩი გრეი, დაგ ჰალი, რობერტ ჰარლი, ალისტერ კელოკი, რიჩი ვერნონი, მურეი ლოუ (ყველა-გლაზგო), კელი ბრაუნი (სარასენზი), გოფ კროსი, დევიდ დენტონი, როს ფორდი, ალენ იაკობსენის, როს რენი (ყველა-ედინბურგი), ალასდაირ დიკინსონი, ჯიმი ჰემილთონი, სკოტ ლაუსონი, ალასდაირ სტროკოში (ოთხივე-გლოსტერი), ევან მურეი (ნიუკასლი), ნათან ჰაინსი (ლენსტერი).**

უკანა ხაზი: **ჯო ენსბრო (ნორსჰემპთონი), მაიკ ბლერი, ბენ კაირნსი, ნიკ დე ლუკა, გრეგ ლაიდლოუ, კრის პატერსონი (ყველა-ედინბურგი), კრის კასიტერი, მაქს ევანსი, რუარიდ ჯექსონი, გრემ მორისონი (სამივე-გლაზგო), ჯეკ კათბერტი (ბასი), საიმონ დენიელი (ალსტერი), რორი ლამონტი (ტულონი), შონ ლამონტი (ჰლანეჰლი), რორი ლოუსონი (გლოსტერი), დენ პარქსი (კარდიფი), ჰუგო საუთვილი (სტად ფრანსე), ნიკი ვოლკერი (ოსფრიზი).**

გმირი

რიჩარდ პარქსმა ევერესტი დაიპყრო

უელსის ნაკრების ყოფილმა მორაგბემ **რიჩარდ პარქსმა** მსოფლიოს ყველაზე მაღალი მწვერვალი, ევერესტი დაიპყრო. უელსელმა დედამიწის უმაღლეს წერტილზე ფეხი გუშინ გრინვიჩის დროით 2 საათსა და 57 წუთზე შედგა. მალე მას შეუერთდა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ნიჩბოსანი **სტივ ვილიამსი,** რომელსაც ოლიმპიური ოქრო ათენისა და პეკინის ოლიმპიადებზე ერგო.

შეგახსენებთ, რომ რიჩარდ პარქსმა რაგბის თამაშს მძიმე ტრვმის გამო თავი ორი წლის წინათ დაანება. მას საკმაოდ წარმატებული კარიერა ჰქონდა „ლიდსში", „პერპინიანსა" და „ნიუპორტში" თამაშისას. რაგბიდან წასვლის შემდეგ კი მიზნად დაისახა შვიდი თვის განმავლობაში დალაშქროს მსოფლიოს ყველაზე მაღალი შვიდი მწვერვალი და ორივე, ჩრდილოეთ და სამხრეთი პოლუსი.

ევერესტი პარქსის „კოლექციაში" მეხუთე მწვერვალია, ამასთან, მან უკვე დალაშქრა ორივე პოლუსი. მიზნის მისაღწევად და რეკორდის დასამყარებლად „თავზეხელაღებულ" უელსელს ორი მწვერვალის - იალბუზის (რუსეთი) და დელანის (ალიასკა) დაპყრობაღა სჭირდება.

ევერესტიდან უკან დაბრუნებულ პარქსს ცრემლები წასკდა:

„შეუძლებელია ემოცია სიტყვებით გადმოგცეთ. ეს ყველაზე საოცარი გრძნობაა, რაც კი ოდესმე განმიცდია. ირგვლივ ულამაზესი ხედებია, მთები, ღრუბლები - ეს თვალით უხილავი სილამაზეა" - თქვა მან.

„ვულოცავ რიჩარდს ამ ისტორიულ მიღწევას. ის ურჩად მიიწევს წინ მიზნისკენ და რწმუნებული ვარ, თავისას მიაღწევს, რაშიც ძალიან ბევრს ეჭვი ეპარებოდა. მან დაამტკიცა, რომ ადამიანის შესაძლებლობებს ზღვარი არ აქვს" - თქვა უელსის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **დევიდ პიკერინგმა.**

„რიჩარდის მიერ ევერესტის დაპყრობა უკვე გმირობაა. ის, რაც ბოლო თვეებში ამ ადამიანმა გააკეთა, უკვე სასწაულია. მისით ყველანი ამაყნი ვართ. მან დაგვანახა, რომ არა მარტო შესანიშნავი მორაგბე, არამედ ბრწყინვალე ადამიანია.

ახლა მხოლოდ იმას ვუსურვებ, რომ დარჩენილი ორი მწვერვალიდან უვნებელი დაბრუნდეს. დარწმუნებული ვარ, რიჩარდ პარქსი მიზანს აუცილებლად მიაღწევს" - თქვა უელსის რაგბის კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა **როჯერ ლუისმა.**



რიჩარდ პარქსი ევერესტზე

ზეერაგბი

სიპრიანის ტულონი სურს - ტულონსაც

დენი სიპრიანი

ზეერაგბის დებიუტანტ „მელბურნ რებლზის" ინგლისელი მგეზავი **დენი სიპრიანი** მზადაა საფრანგეთის სარაგბო ჩამპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონთან" გააფორმოს მოკლე ვადიანი ხელშეკრულება.

საქმე იმაშია, რომ ტულონელთა კიდევ ერთი ინგლისელი მგეზავი **ჯონი ვილკინსონი** სექტემბერ-ოქტომბერში ახალ ზელანდიაში მსოფლიო თასზე იასპარეზებს. იქიდან დაბრუნებულს კი, ალბათ მინიმუმ ერთი თვე დასვენება დასჭირდება. „ტულონის" მულტიმილიონერი პრეზიდენტი **მურად ბურჯელალი** „ვილკოს" დროებით შემცვლელად სწორედ სიპრიანის მოიაზრებს.

„ეფიქრობ, „ტულონში" გადასვლით შესანიშნავი შესაძლებლობა მეძლევა, სათამაშო ფორმა შევინარჩუნო. ზეერაგბის გათამაშება მომავალ წელს თებერვალში იწყება, მე კი მანამდე უთამაშებლად ვერ გავჩერდები. გამუდმებით საქმეში უნდა ვიყო, უნდა ვითამაშო. ეს რთული დროება ჩემს კარიერაში ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დამთავრდეს" - თქვა სიპრიანინმ „ტაიმსთან" საუბრისას.

აღსანიშნავია, რომ სიპრიანი „მელბურნ რებლზის" მწვრთნელმა **როდ მაკქუინმა** დისციპლინის დარღვევის გამო, ფაქტობრივად, გუნდიდან მოკვეთა. მას ზედიზედ მესამე ტურია ზეერაგბის გათამაშებაში არ უთამაშია. თუმცა სიპრიანი, როგორც ჩანს, ჭკუას მაინც ვერ სწავლობს. რითაც, კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ ინგლისის ნაკრების თავკაცი **მარტინ ჯონსონი** მას სამართლიანად მოექცა.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy-gov-ge

ფორმულა 1. მონაკოს გრანპრი



ფერარომ ვარჯიშზე გაიხარა

სამი ფავორიტი გამოიკვეთა

ტრადიციულად, მონაკოში პირველი და მეორე პრაქტიკა პარასკევის ნაცვლად ხუთშაბათობით იმართება. გამონაკლისი არც ნლევანდელი უქმეებია. დილიდან მონტე-კარლოში მზიანი ამინდი იყო, მაგრამ ისე მოხდა, რომ ტრასაზე მაინც გაჩნდა წყლის გუბეები - შუა სესიის დროს საიდანღაც წყლის ჭავლმა ამოხეთქა, რის გამოც სტიუარდებმა წითელი დროშები გამოფინეს. რამდენიმე წუთის შემდეგ ვარჯიში განახლდა, თუმცა პრობლემა საღამომდე ვერ მოაგვარეს.

ამის გამო თავისუფალი პრაქტიკა ორ ნაწილად გაიყო. პირველში ფავორიტები არც ისე აქტიურები იყვნენ, თუმცა ეს დანარჩენ პელოტონზეც ითქმის. პირველი ჩასათვლელი დრო **კართიკეიანმა** დაადფიქსირა, რომელიც დაახლოებით ხუთი წრე მარტო იყო ტრასაზე. მისი შედეგი გააუმჯობესა **პერესმა** - ის ტრასაზე სესიის დაწყებიდან ნახევარი საათის შემდეგ გავიდა.

პილოტები ვარჯიშების შემდეგ გააქტიურდნენ და საბოლოოდ მივიღეთ ნელს ვარჯიშზე ყველაზე საინტერესო ბრძოლა. ძალიან სწრაფები იყვნენ „მაკლარენი", „ფერარი" და „მერსედესი". ამ გუნდების პილოტებმა გამოიყენეს „რედ ბულის" შეფერხება და პირველი ადგილისთვის დიდი ბრძოლა გააჩაღეს.

მარკ უებერმა მხოლოდ სამი წრის გავლა შეძლო, ჩასათვლელი დრო ვერ დააფიქსირა და ბოლო ადგილი დაიკავა. მისმა თანაგუნდელმა **სებასტიან ფეტელმა** კი მაინც მოიგო თავისუფალი პრაქტიკა, თუმცა ამისთვის ურთულესი ბრძოლის გადატანამ მოუწია. სესია დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ფეტელის დრო ჯერ **როსბერგმა**, შემდეგ კი **ალონსომ** გააუმჯობესეს. ფერნანდოს უკეთესი დროის ჩვენებაც შეეძლო, მაგრამ ტრასის ბოლო სექტორში ესპანელს როსბერგმა ხელი შეუშალა. ამით კარგად ისარგებლა ფეტელმა, რომელსაც მესამე სექტორში ყველაფერი გამოუვიდა და საბოლოო ლიდერიც სწორედ ის გახდა.

მაყურებელმა ავარიებიც იხილა. პირველი უსიამოვნებაში **ვიტანტონიო ლიუციი** გაეხვია. იტალიელს დამუხრუჭებისას მანქანა მოუცურდა და კედელს შეეჯახა. მეორე დაზარალებული იყო **მიხაელ შუმახერი**. პირველი მოსახვევის წინ გერმანელმა დამუხრუჭება დააგვიანა, უსაფრთხოების ზონაში ვერ შეაღწია და მანაც დაზიანა მანქანა.

...

მეორე პრაქტიკის პირველივე წუთებიდან ყველა პილოტმა უმატა აქტიურობას. ამჯერად მათ უნდა მოესწროთ ახალი საბურავის გამოცდა - „პირელიმ" მონაკოში სუპერრბილი საბურავები ჩაიტანა. მაგრამ ყველამ ვერ შეძლო დროულად ტრასაზე გასვლა. მაგალითად, მიხაელ შუმახერი ბოქსებში 20 წუთით შეყოვნდა, რადგან მექანიკოსებმა ვერ მოასწრეს პირველ პრაქტიკაზე ავარიის შემდეგ დაზიანებული მანქანის აღდგენა. ვიტანტონიო ლიუციმ კი საერთო ერთი წრის გავლაც ვერ მოახერხა.

ვარჯიშის პირველ ნაწილში პილოტები აგრძელებდნენ რბილი საბურავებით მუშაობას. აქ ლიდერი ფერნანდო ალონსო გახდა, რომელმაც უქმეების ახალი რეკორდი დაამყარა - წუთი და 16,4 წამი. მისი კონკურენტები იყვნენ - **მასა**, როსბერგი და ორივე „მაკლარენი". ამჯერად ლიდერებს მიღმა დარჩნენ „რედ ბულის" წევრები. მარკ უებერმაც და სებასტიან ფეტელმაც სარბოლო მახასიათებლებზე ორი-სამი წამით ნელა გადიოდნენ.

სუპერრბილი საბურავების პირობებშიც ფავორიტები იგივენი დარჩნენ. „რედ ბულის" პილოტებმა სცადეს შედეგის გაუმჯობესება, მაგრამ მათი მონდომება არასაკმარისი იყო: ფეტელმა გამარჯვებულთან ნახევარი წამი ნააგო, უებერმა - წამზე მეტი. გამარჯვებული კი ფერნანდო ალონსო გახდა, რომელმაც წრე წუთსა და 15.1 წამში გაიარა. ისე კი, შედეგები საკმაოდ მჭიდრო იყო.

„რედ ბულის" გარდა, კიდევ ორი გუნდის წევრთა შედეგებს შორის იყო დიდი სხვაობა. შუმახერმა როსბერგთან წამზე მეტი წააგო, **პოლ დი რესტას** კი **სუტილზე** ორი წამით უარესი დრო ჰქონდა. ასეთივე სიტუაცია იყო პირველი პრაქტიკის დროს. როგორც ჩანს, დი რესტა აბსოლუტურად სხვა მახასიათებლებით მუშაობდა.

ისევე როგორც პირველი პრაქტიკისას, აქაც ვიხილეთ პილოტთა სერიოზული შეცდომები. **ხაიმე ალგერსუარი** სესიის დაწყებისთანავე გადავარდა ტრასიდან - ესპანელმა შეჯახება თავიდან აიცილა და უსაფრთხოების ზონაში ღრმად შევიდა, საიდანაც ის დამხმარე ჯგუფმა გამოიყვანა. მსგავსი მანევრი გაიმეორა მოგვიანებით **კოვალაინენმა**. ავარიას ვერ გადაურჩა **ვიტალი პეტროვი**. გვირაბიდან გამოსვლისას ის კედელს შეეჯახა. რუსმა მოასწრო დამუხრუჭება, ასე რომ, მხოლოდ წინა ანტიფრთა დაზიანდა.

I პრაქტიკა

1. სებასტიან ფეტელი (რედ ბული) - 1.16,619 (25 წრე)
2. ფერნანდო ალონსო (ფერარი) - +0,113 (24)
3. ნიკო როსბერგი (მერსედესი) - +0,520 (20)
4. ფელიპე მასა (ფერარი) - +0,697 (24)
5. ლუის ჰემილტონი (მაკლარენი) - +0,731 (23)
6. ჯენსონ ბატონი (მაკლარენი) - +0,915 (24)
7. პასტორ მალდონადო (უილიამსი) - +1,908 (30)
8. ადრიან სუტილი (ფორს ინდია) - +1,959 (24)
9. ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო) - +2,114 (16)
10. მიხაელ შუმახერი (მერსედესი) - +2,186 (14)
11. ნიკ ჰაიდფელდი (ლოტუს-რენო) - +2,309 (19)
12. სებასტიან გუთიერ (ტორო როსო) - +2,615 (24)
13. რუბენს ბარიჩელო (უილიამსი) - +2,776 (24)
14. დანიელ რიკიარდო (ტორო როსო) - +2,844 (25)
15. კამუი კობაიაში (ზაუბერი) - +3,149 (25)
16. სერხიო პერესი (ზაუბერი) - +3,173 (26)
17. ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი) - +3,464 (23)
18. იარნო ტრული (ლოტუსი) - +4,497 (27)
19. პოლ დი რესტა (ფორს ინდია) - +4,929 (32)
20. ჟერომ დ'ამბროზიო (ვირჯინი) - +5,139 (31)
21. ტიმო გლოკი (ვირჯინი) - +5,196 (17)
22. ვიტანტონიო ლიუციი (HRT) - +6,221 (13)
23. ნარაიან კართიკეიანი (HRT) - +7,226 (37)
24. მარკ უებერი (რედ ბული) - დროის გარეშე

II პრაქტიკა

1. ფერნანდო ალონსო (ფერარი) - 1.15,123 (42 წრე)
2. ლუის ჰემილტონი (მაკლარენი) - +0,105 (33)
3. ნიკო როსბერგი (მერსედესი) - +0,198 (44)
4. ჯენსონ ბატონი (მაკლარენი) -+0,325 (38)
5. სებასტიან ფეტელი (რედ ბული) - +0,544 (46)
6. ფელიპე მასა (ფერარი) - +0,658 (45)
7. მიხაელ შუმახერი (მერსედესი) - +1,233 (33)
8. მარკ უებერი (რედ ბული) - +1,519 (42)
9. ადრიან სუტილი (ფორს ინდია) - +1,978 (46)
10. ნიკ ჰაიდფელდი (ლოტუს-რენო) - +2,003 (38)
11. ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო) - +2,214 (35)
12. სერხიო პერესი (ზაუბერი) - +2,418 (47)
13. რუბენს ბარიჩელო (უილიამსი) - +2,447 (39)
14. სებასტიან გუთიერ (ტორო როსო) - +2,458 (32)
15. პასტორ მალდონადო (უილიამსი) - +2,510 (49)
16. კამუი კობაიაში (ზაუბერი) - +2,583 (37)
17. ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო) - +2,666 (43)
18. ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი) - +3,143 (50)
19. იარნო ტრული (ლოტუსი) - +3,367 (39)
20. პოლ დი რესტა (ფორს ინდია) - +3,930 (15)
21. ჟერომ დ'ამბროზიო (ვირჯინი) - +4,062 (40)
22. ტიმო გლოკი (ვირჯინი) - +4,215 (35)
23. ნარაიან კართიკეიანი (HRT) - +6,943 (33)
24. ვიტანტონიო ლიუციი (HRT) - დროის გარეშე

ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა

ფავორიტების რთული დღე

როლან გაროსის გუშინდელი დღის მიმოხილვა აუცილებლად ქალთა ტურნირით უნდა დავიწყოთ, რადგან აქ მოხდა საფრანგეთის ღია პირველობის ჯერჯერობით ყველაზე ხმაურიანი სენსაცია. ბრძოლას გამოეთიშა მსოფლიოს მეორე ჩოგანი, ბელგიელი **კიმ კლაისტერსი**.

ყველასთვის ცნობილია, რომ კიმი მოუმზადებელი შეხვდა როლან გაროსს - მან უშუალოდ ტურნირის წინ მოირჩინა სამი დაზიანება და ყოველგვარი სათამაშო პრაქტიკის გარეშე ჩავიდა პარიზში (მარტის შემდეგ არ უთამაშია ოფიციალური მატჩი). მაგრამ რა სპორტულ ფორმაშიც უნდა ყოფილიყო კლაისტერსი, მის მარცხს 114-ე ნომერ **არანჩა რუსთან** არანაირი გამართლება არ აქვს.

ჰოლანდიელი 2008 წელს ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებული გახდა იუნიორთა შორის, თუმცა აქამდე „მარად პერსპექტიულ" ჩოგბურთელად მიიჩნეოდა. რუსს სწორედ გუშინ კლაისტერსის წინააღმდეგ მოუნდა საუკეთესო ჩოგბურთის ჩვენება და ეს გამოუვიდა კიდეც.

ბელგიელისთვის თითქოს ყველაფერი კარგად იწყებოდა - პირველ სეტში სამი ბრეიკი გააკეთა, თავად ერთი საკუთარი გეიმი დათმო და 6:3 გაიმარჯვა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კიმს პრობლემები პირველივე სეტიდან შეექმნა, როცა 18 უნებლიე შეცდომა დაუშვა, რუსის ანალოგიური მაჩვენებელი კი მხოლოდ 5 შეცდომას უდრიდა.

ბევრი შეცდომის მიუხედავად, კლაისტერსმა თითქმის გაინაღდა გამარჯვება მატჩში, როცა მეორე სეტში 5:2 დანინაურდა. და სწორედ ამის შემდეგ მოხდა სასწაული. მომდევნო 12 გეიმიდან ჰოლანდიელმა 11 (!!!) მოიგო, რაც საბოლოოდ ასეთ ანგარიშში გამოისახა - 3:6, 7:5, 6:1. რაც მთავარია, ბელგიელმა მეორე სეტის ბოლოს 8 (!!!) მატჩბოლი ვერ გამოიყენა.

კლაისტერსმა შეხვედრა 65 უნებლიე შეცდომით დაასრულა, რუსი კი მხოლოდ 22-ჯერ შეცდა, თუმცა ძალიან ცოტა - 8 „ვინერსი" ჰქონდა".

„თავიდანვე ეჭვი მეპარებოდა ჩემს ძალებში და როცა ასეთი სიტუაციაში იმყოფები, ყველაფერი ცუდად მთავრდება, განსაკუთრებით გრუნტზე.

ტრავმებთან დაკავშირებით ყველაფერი წესრიგშია. დამიჯერეთ, მე რომ მზად არ ვყოფილიყავი ტურნირისთვის, აქ არ ჩამოვიდოდი", - არც კი უცდია თავის მართლება ბელგიელს.

კლაისტერსი 2006 ნლის შემდეგ პირველად თამაშობდა როლან გაროსზე. მაშინ მან ნახევარფინალში გასვლა შეძლო, მაგრამ ამჯერად მისი მაქსიმუმი მეორე წრე აღმოჩნდა. სხვათა შორის, ბოლოს ასეთ ადრეულ ეტაპზე „დიდი სლემის" ტურნირს კლაისტერსი 2002 ნელს უიმბლდონზე გამრეთიშა.

დაახლოებით ანალოგიური სცენარით წარიმართა რუსი **მარია შარაპოვასა** და ფრანგი **კაროლინ გარსიას** მატჩი. განსხვავება ის იყო, რომ ამჯერად სენსაცია არ შედგა, არადა, 17 ნლის მასპინძელი ახლო იყო არანჩა რუსის შედეგის გამეორებასთან.

ამ მატჩის პირველი სეტი ყველაზე უარესი იყო შარაპოვასთვის მიმდინარე ტურნირზე. რუსს საერთოდ არ გამოუვიდა თამაში საკუთარ მოწოდებაზე - მარიამ პირველად თავისი გეიმი 1:5-ზე აიღო. ლოგიკურად სეტი ფრანგმა მოიგო - 6:3.

შარაპოვა გავარდნის მიჯნაზე მეორე სეტის მეხუთე გეიმის წაგების შემდეგ დადგა, როცა ანგარიში 4:1 გახდა გარსიას სასარგებლოდ. სწორედ ამის შემდეგ შეასრულა ფანტასტიკური გარღვევა მარიამ - ზედიზედ 11 გეიმის მოგებით მესამე წრეში გააღწია 0 3, 6:4, 6:0.

„თავად ვარ დამნაშავე. თამაში ძალიან ნელ ტემპში დავიწყე, არ დავრჩოდი და ამით მეტოქეს შეტევის საშუალება მივეცი, - განაცხადა მატჩის შემდეგ შარაპოვამ. - უნდა ვაღიარო, რომ გარსია შესანიშნავად მოქმედებდა. როცა მეორე სეტში ანგარიში 1:4 გახდა, გავიფიქრე, რომ უკვე დაგვიანებული იყო მატჩის გადარჩენაზე ფიქრი. მაინც გადავედი შეტევაზე, დარტყმების სიზუსტე გამოვასწორე, პრესინგი ავამოქმედე. მოკლედ, გავაკეთე ის, რაც ყველაზე კარგად ვიცი. თითოეულ გათამაშებაზე მაქსიმალური კონცენტრაცია მოვახდინე და წაგებული მატჩი გადავარჩინე".

■ ■ ■

უჭირს თავის საყვარელ ტურნირზე ესპანელ **რაფაელ ნადალს**. პირველ წრეში **ჯონ ისნერთან** გადატანილი ხუთსეტიანი მარათონის შემდეგ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა გუშინ სამ სეტში მოუგო თანამემამულე **პაბლო ანდუხარს**, მაგრამ ამისთვის დიდი ბრძოლის გატანამ მოუწია.

თითქმის თანატოლები პირველად ხვდებოდნენ პროფესიულ ტურში ერთმანეთს. რაფას 45 ტურნირი აქვს მოგებული, ანდუხარს - ერთი, ასე რომ ფავორიტის გარკვევა ბუკმეიკერებისთვის პრობლემა არ ყოფილა.

პირველ სეტში მეტოქეებმა ბრეიკები გაცვალეს, რის შემდეგაც პარტიის ბოლოს ნადალმა მიღებაზე კიდევ ერთხელ იყოჩაღა - 7:5. მეორეში რაფაელმა უკეთესად ითამაშა. მართალია, მხოლოდ ორი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ორივე გამოიყენა და სეტი 43 წუთში მოიგო - 6:3.

მესამე პარტიაში კი ანდუხარმა დაალაგა თამაში საკუთარ გეიმებში, ნადალს კი პრობლემები შეექმნა მეორე მონოდებისას. სულ მალე ანგარიში 5:1 გახდა პაბლოს სასარგებლოდ. რაფამ არ მოისურვა მეოთხე სეტის თამაში - ორი ბრეიკი გააკეთა და ანგარიში გათანაბრდა - 5:5. საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა და ანდუხარმა იქაც ანერვიულა მეტოქე - 1:5-დან მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ ბოლოს კლასმა მაინც თავისი გაიტანა.

მესამე წრეში ნადალი ხორვატ **ანტონიო ვეიჩს** ხვდება, რომელმაც გუშინ რუს **ნიკოლაი დავიდენკოს** ხუთსეტიანი მატჩი მოუგო.



რაფაელ ნადალი

კაცები

II წრე

რაფაელ ნადალი (1)-პაბლო ანდუხარი (ესპ) 7:5, 6:3, 7:6; **ანტონიო ვეიჩი (ხორ)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 28) 3:6, 6:2, 7:6, 3:6, 6:1; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ)**-სემ კუერი (აშშ, 24) 7:6, 6:4, 6:4; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 16)**-ქსავიე მალისე (ბელ) 4:6, 6:3, 7:6, 6:1; **მარდი ფიში (აშშ, 10)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 7:6, 6:2, 6:1; **ჟილ სიმონი (საფ, 18)**-ჟერემი შარდი (საფ) 4:6, 6:4, 6:1, 6:4; **ლეონარდო მაიერი (არგ)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 27) 7:5, 6:4, 7:6; **რობინ სიოდერლინგი (შვედ, 5)**-ალბერტ რამოს ვინოლასი (ესპ) 6:3, 6:4, 6:4; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-სიმონე ბოლელი (იტა) 7:6, 6:4, 7:5; **მაიკლ ბერერი (გერ)**-არნო კლემანი (საფ) 6:7, 3:6, 7:5, 6:4; **ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 21)**-ანდრეას ჰაიდერ მაურერი (ავსტრია) 6:2, 6:4, 6:2; **ვიქტორ ტროიცკი (სერ, 15)**-ტომბიას კამკე (გერ) 6:2, 6:2, 7:6; **ლუკაშ კუბოტი (პოლ)**-კარლოს ბერლოკი (არგ) 6:3, 7:6, 6:3; **ალეხანდრო ფალა (კოლ)**-ფლორიან მაიერი (გერ, 20) 4:6, 7:6, 6:1, 6:2; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ)**-კევინ ანდერსონი (ს. აფრ, 32) 3:6, 6:3, 6:4, 4:6, 6:2; **ლუკაშ როსოლი (ჩეხ)**-იურგენ მელცერი (ავსტრია, 8) 6:7, 6:4, 4:6, 7:6, 6:4.

ქალები

II წრე

ნა ლი (ჩინ, 6)-სილვია სოლერ-ესპინოსა (ესპ) 6:4, 7:5; **სორანა კირსტეა (რუმ)**-ალექსანდრა დულგერუ (რუმ, 27) 6:2, 7:5; **ვანია კინგი (აშშ)**-ელენა ბალტაჩა (ბრიტ) 4:6, 6:1, 6:4; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 9)**-ჟიე ჟენგი (ჩინ) 6:4, 6:1; **კაია კანეპი (ესტ, 16)**-ჰიზერ უოტსონი (ბრიტ) 6:1, 6:3; **ეკატერინა მაკაროვა (რუს)**-იოჰანა ლარსონი (შვედ) 6:3, 7:6; **რობერტა ვინჩი (იტა, 30)**-ირინა ბრემონი (საფ) 6:3, 6:4; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 4)**-პოლინ პარმენტიე (საფ) 6:0, 6:1; **მარია შარაპოვა (რუს, 7)**-კაროლინ გარსია (ესპ) 3:6, 6:4, 6:0; **იუნ იან ჩანი (ტაივ)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:1, 6:4; **იანინა ვიკმაიერი (ბელ, 21)**-აიუმი მორიტა (იაპ) 6:4, 7:5; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 12)**-სანია მირზა (ინდ) 6:2, 6:4; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 15)**-ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ) 7:6, 6:2; **იარმილა გაიდოშოვა (ავსტრა, 24)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) 7:6, 6:4; **მარია კირილენკო (რუს, 25)**-შანელ სხეპერსი (ს. აფრ) 6:1, 6:4; **არანჩა რუსი (ჰოლ)**-კიმ კლაისტერსი (ბელ, 2) 3:6, 7:5, 6:1.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

● ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია

ჩხუბი ფინიშზე

ჯირო დ'იტალიას მე-17 ეტაპი ერთ-ერთი ყველაზე გრძელი და ყველაზე სკანდალური აღმოჩნდა. ველომრბოლებს ფელტრედან ტრანსმიდე 230 კილომეტრი უნდა დაეფარათ. ერთი შეხედვით, ეს სამთო ეტაპი იყო მეორე და მესამე კატეგორიის სირთულის მთებით, თუმცა აქ არ იგეგმებოდა გენერალური კლასიფიკაციის ლიდერთა ბრძოლა, რითაც ჯიროს სხვა მონაწილეებს ეძლეოდათ თავის გამოჩენის შანსი.

პირველი 55 კილომეტრი პელოტონში სიმშვიდე იყო შენარჩუნებული, შემდეგ კი 16-კაციანმა ჯგუფმა მოახერხა გაქცევა. მათ შორის რამდენიმე საინტერესო მრბოლელი იყო - **კრისტიან ლე მეველი, კონსტანტინ სივცოვი, ჯოვანი ვისკონტი** და **პაბლო ლასტრასი**. მეორე კატეგორიის სირთულის აღმართზე დაწინაურებულთა უპირატესობამ 8 წუთი შეადგინა.

ლიდერთა ჯგუფში ყველაზე მეტს სივცოვი აქტიურობდა, რომელიც მე-12 იყო გენერალურ კლასიფიკაციაში. ბელარუსს საერთო ჩათვლაში სიტუაციის გაუმჯობესება სურდა, ამიტომაც მისი მონდომება გასაგები იყო. მაგრამ, როგორც კი ის „ვირტუალურ" კლასიფიკაციაში ნიბალის გაუტოლდა, პელოტონში იტალიელის გუნდი „ლიკვიგასი" გააქტიურდა და ლიდერთა უპირატესობამ კლება დაიწყო.

გაქცეულებმა ფინიშამდე 40 კილომეტრით ადრე ისევ მკვეთრად მოუმატეს ტემპს. „ლოკომოტივის" როლში მორიგეობით ვისკონტი და სივცოვი გამოდიოდნენ. ფინიში მთიდან დაშვების შემდეგ სწორ 8-კილომეტრიან მონაკვეთზე იყო დაგეგმილი. მთავარი მოვლენები სწორედ აქ განვითარდა. ვისკონტის მორიგ შეტევას მხოლოდ სამმა მეტოქემ გაუძლო: ლასტრასმა, **იან ბაკელანდტსმა** და „ლამპრეს" ახალგაზრდა წევრმა **დიეგო ულისიმ**. ფინიშამდე კილომეტრით ადრე ამ ოთხეულს შორის კლასიკური სპრინტერული გარჩევები დაიწყო.

კონფლიქტი ფინიშზე

პირველად წინ ახალგაზრდა ულისი გაიჭრა, მაგრამ მთავარმა ფავორიტმა და ჯგუფურ რბოლაში იტალიის ჩემპიონმა ვისკონტიმ დანარჩენ სამ კონკურენტზე კონტროლის დაწესება სცადა. ბაკელანდტსი ბრძოლას ფინიშამდე 30 მეტრით ადრე გამოეთიშა, ლასტრასმა და ვისკონტიმ კი ერთდროულად დაიწყეს შეტევა. ბოლო მომენტში ვისკონტიმ შიდა რადიუსით წინ გასვლა სცადა, მაგრამ მისი მოძრაობა ულისიმ დაბლოკა. ახალგაზრდა კონკურენტის ასეთი „თავხედობით" განრისხებულმა ვისკონტიმ ორჯერ ხელი უბიძგა ულისის, რომელიც ამჯერად ლასტრასს გადაეღობა. ჯოვანიმ პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

ამის შემდეგ ვისკონტი დიდი ხანი უხსნიდა რეპორტიორებს ახალგაზრდა მრბოლელის დანაშაულს, მაგრამ ცხადი იყო, რომ მის ხელის კვრას უყურადღებოდ არ დატოვებდნენ. საბოლოოდ, ვისკონტის დისკვალიფიკაცია მისცეს და მესამე ადგილამდე ჩამოაქვეითეს. გამარჯვებულად ულისი გამოცხადდა, თუმცა გამეორებაზე აშკარად ჩანდა, რომ მან მართლაც გადაუჭრა გზა მეტოქეს, ბოლოს კი იგივე გაუკეთა ლასტრასს. სწორედ ესპანელი იმსახურებდა გამარჯვებას, რადგან ის ერთადერთი იყო, ვინც ბოლო მეტრებზე პატიოსნად იბრძოლა.

XVII ეტაპი

1. **დიეგო ულისი** (იტა, „ლამპრე") - 5:31.51; 2. **პაბლო ლასტრასი** (ესპ, „მოვისტარი") - იგივე დრო; 3. **ჯოვანი ვისკონტი** (იტა, „ფარნეზე") - იგივე დრო; 4. **იან ბაკელანდტსი** (ბელ, „ლოტო") - +0.04; 5. **ფაბიო ტაბორე** (იტა, „აკვა ე საპონე") - +0.08; 6. ედუარდ ვორგანოვი (რუს, „კატუშა") - +0.08...

საერთო ჩათვლა

1. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, „საქსო-ბანკი") - 62:43.37; 2. **მიკელე სკარპონი** (იტა, „ლამპრე") - +4.58; 3. **ვინჩენცო ნიბალი** (იტა, „ლიკვიგასი") - +5.45; 5. **კონსტანტინ სივცოვი** (ბლრ, „ჰაიროუდი") - +9.12; 5. **ხოსე რუხანო** (ვენ, „ანდრონი ჯოკატოლი") - +9.18...

● ● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ევრო 2011

UNDER 19

გელგია-ხორვატია	3:2
პორტუგალია-ესტონეთი	3:0
უკრაინა-ირლანდია	0:0
იტალია-პოლონეთი	3:1

პოლანდია

პლეი ოფი

დენ ჰაააგი-გრონინგენი	5:1
ცვოლე-ვენლო	1:2
ჰელმონდი-ეძსელსიორი	1:5

ბელგია

პლეი ოფი

ეუპენი-ვაასლანდი	0:1
მონსი-ლომელი	4:0

ნორვეგიის თასი

1/16 ფინალი

ასანე-ბრანი	0:1
კონგსვინგ.-ოდ გრენლან.	1:1 დ.დ. 1:2

ფინეთის თასი

1/2 ფინალი

ჰიკ-ლაჰტი	3:0
მარიეჰამნი-კუოპიო	0:3

თურქეთი

პლეი ოფი

ბბ გაზიანთეფი-თავსანლი	0:1
რიზე-ორდუ	3:3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოჰემიანსი-უნივერსიტი	1:0
ბრეი-შემროკი	1:0
დანდალკი-დერი	1:0
გალვეი-დროგედა	1:2
სტ. პატრიკსი-სლიგო	2:1

II დივიზიონი

კორკი-მერვუ	3:0
ლონგფორდი-უექსფორდი	2:1
სოლტჰილი-ლიმერიკი	0:1
უოტერფორდი-მონეგანი	0:1
ფინ ჰარპსი-ეთლონი	1:0

შვეიცარია

იურგორდენი-ელფსბორგი	0:1
გაის-ჰაკენი	1:0
გეფლე-მიალბიუ	0:0.
ჰალმსტადი-გიოტეგორგი	1:2
ტრელეგორგი-სირიანსკა	0:1

II დივიზიონი

ატვიდაბერგი-ლიუნგსკილე	2:2
ვასტერასი-ბრომაპიოკარნა	1:0

ჩილე

ლა კალერა-უნ. ესპანიოლა	1:0

კალათბურთი

საბერძნეთი

პაოკ-პრისი	76:74
ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი	70:75

რუსეთი

ენისეი-ლოკომოტივი	88:86
სპარტაკი-ხიმკი	76:74
ნ. ნოვგოროდი-უნიძსი	88:82
კრ. კრილია-ცსკა	92:81

● TV პროგრამა

27 მაისი. პარასკევი

GMG-ფეხბურთი

10:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:40 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ევროპის ლიგის პლეი ოფი. ფინალი. დენ ჰაააგი-გრონინგენი.
14:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. მონაკო-პსჟ.
15:45 ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:00 იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-სამპდორია.
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი.
20:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ლევერკუზენი.
22:00 ინგლისის ჩემპიონატი. ფულემი-ლივერპული.
00:00 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ნიურნბერგი.

GMG-სპორტი

10:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ჩიკაგო-მაიამი. V მატჩი.
12:15 ჩოგბურთი. „დიდი სლემი". როლან გაროსი. მიმოხილვა.
13:15 ჩოგბურთი. „დიდი სლემი". როლან გაროსი. VI დღე. პარიზი (LIVE).
23:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ჩიკაგო-მაიამი. V მატჩი.

HTB-პლუსი (სპორტი)

22:55 რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. ლიდსი-უორინგთონი (LIVE).
04:00 ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ბოსტონი-ტამპა ბეი. VII მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

16:55 პროფესიული კრივი. WSB. ინდივიდუალური ფინალები. ჩინეთი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

16:40 რუსეთის ჩემპიონატი. ნალჩიკი-ტერეკი (LIVE).
19:00 რუსეთის ჩემპიონატი. ლოკომოტივი-ანჟი (LIVE).

SPORT+

18:25 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. რუბინი-ტომი (LIVE).

EUROSPORT

13:00 ჩოგბურთი. „დიდი სლემი". როლან გაროსი. VI დღე. პარიზი (LIVE).
16:30 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XIX ეტაპი. იტალია (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. „დიდი სლემი". როლან გაროსი. VI დღე. პარიზი (LIVE).
22:45 ფეხბურთი. ოთხი ერის თასი. უელსი-ჩრ. ირლანდია (LIVE).

EUROSPORT-2

13:00 ჩოგბურთი. „დიდი სლემი". როლან გაროსი. VI დღე. პარიზი (LIVE).

● ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/2 ფინალი

საჭიროა მეშვიდე მატჩი



სენტ ლუისის გოლი

„ტამპა ბეიმ" არ მისცა „ბოსტონს" აღმოსავლეთის ფინალის ნაადრევად დასრულების საშუალება და ახლა ამ დაპირისპირების ბედს მეშვიდე მატჩი გაარკვევს. „ლაინინგმა" მიმდინარე პლეი ოფში უკვე მერამდენედ გამოაჩინა ხასიათის სიმტკიცე - პირველ ყოვლისა, სწორედ ამ თვისების წყალობით მიაღწია გუნდმა ამ დონემდე და ფინალში გასვლის შანსი შეინარჩუნა.

პირველი პერიოდი **ტედი პურსელის** სწრაფი გოლით დაიწყო, რომელიც **ვენსან ლეკავალიეს** მიერ მოგებულ ჩაგდებას მოჰყვა. თუმცა „ტამპას" ასეთ დასაწყისს უკვე ყველა მიჩვეული იყო, მათ შორის „ბოსტონი".

„დათვებმა" საკმაოდ სწრაფად უპასუხეს - **მილან ლუჩიჩმა** მცველის მეურვეობის მიუხედავად ზუსტად დაარტყა. **დუეინ როლოსონმა**, რომელიც ისევ დაბრუნდა „ტამპას" კარში, რეაგირება დააგვიანა.

მასპინძლებმა პირველ პერიოდში საყაიმო ანგარიშიც ვერ შეინარჩუნეს - მატჩის ერთ-ერთმა გმირმა, ჰეთ-თრიკის ავტორმა **დავიდ კრეისიმ** შესანიშნავი პასი მიიღო **დანიელ პეისგან** და შორეულ ცხრიანში გაუტანა როლოსონს. საერთო ჯამში, პირველ 20-წუთეულში უპირატესობა „ბოსტონს" ჰქონდა.

მაგრამ შემდეგ „ბოსტონს" ცუდი სამსახური გაუწიეს გაძევებებმა. ზედიზედ სამი შაიბა გაიტანა „ტამპა ბეიმ" რიცხობრივი უპირატესობის დროს. მას შემდეგ, რაც **ვენსან ლეკავალიემ** ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენა, **მარტინ სენტ ლუისმა** კარის ახლოს უნარიანი ბრძოლის შემდეგ ანგარიში გაათანაბრა.

სენტ ლუისს მხარი აუბა ტედი პურსელმა, რომელმაც **სტივ დაუნის** ბრწყინვალე პასი გამოიყენა და დუბლი შეასრულა. ჩრდილში არ დარჩენილა მასპინძლების კიდევ ერთი ლიდერი **სტივენ სტემკოსი**. „ტამპას" წარმატებაში დიდი წვლილი მანაც შეიტანა. შარშანდელი სეზონის საუკეთესო სნაიპერმა ისეთი ძალით დაარტყა, რომ თვით **ტიმ ტომასიც** კი არ განძრეულა - 4:2.

ერთხელ რიცხობრივი უპირატესობა „ბოსტონმაც" გამოიყენა - კრეისიმ კარგად დაუხვედრა ყვანჯი **ნათან ჰორტონის** პასს. სხვათა შორის, კრეისი და სენტ ლუისი 10-10 გოლის სათავეში ჩაუდგნენ პლეი ოფში სნაიპერთა დავას.

კრეისის გოლიდან ძალიან ცოტა დრო იყო გასული, როცა სენტ ლუისმა დაუნისთან ბრწყინვალე კომბინაცია გაითამაშა და ორშაიბიანი უპირატესობა აღადგინა. თუმცა „ბოსტონმა"არ მისცა მატჩის მშვიდად დასრულების საშუალება მეტოქეს. კრეისის დარტყმა რთული არ ყოფილა, მაგრამ როლოსონმა შაიბა დაკარგა და ის კარში შეცურდა.

მაგრამ დარჩენილ შვიდ წუთში „ტამპამ" გაუძლო „დათვების" შტურმს. მაყურებელმა ცხრა გოლი იხილა, რითაც კმაყოფილი იყო, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახლდათ ის, რომ მასპინძლებმა ერთით მეტი შაიბა გაიტანეს და სერია მეშვიდე მატჩამდე მიიყვანეს. გადამწყვეტი დუელი ბოსტონში გაიმართება.

პლეი ოფი

ტამპა ბეი-ბოსტონი 5:4

1:2, 2:0, 2:2

გოლები: 1:0 პურსელი-5 (ლეკავალიე-12), 1:1 ლუჩიჩი-3 (ჰორტონი-8, ბოიჩუკი-3), 1:2 კრეისი-8 (პეი-2), 2:2 სენტ ლუისი-9 (ლეკავალიე-13, სტემკოსი-6), 3:2 პურსელი-6 (დაუნი-11, ბ. კლარკი-2), 4:2 სტემკოსი-6 (ბრიუერი-6, სენტ ლუისი-10), 4:3 კრეისი-9 (ჰორტონი-9, ტ. კაბერლე-7), 5:3 სენტ ლუისი-10 (დაუნი-12, სტემკოსი-7), 5:4 კრეისი-10 (ლუჩიჩი-6, ტ. კაბერლე-8).

სერია: 3-3

● ჰოკეი

რუსებს ახალი მწვრთნელი ეყოლებათ

ვიაჩესლავ ბიკოვი

რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ვიაჩესლავ ბიკოვი** თანამდებობიდან დაითხოვეს. რუსეთის ჰოკეის ფედერაციის აღმასკომმა არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე ქვეყნის პირველი ნაკრების თამაში - სლოვაკეთში გამართულ ტურნირზე რუსებმა მეოთხე ადგილი დაიკავეს. აღმასკომის ჩვიდმეტივე წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი ბიკოვის განთავისუფლებას.

ჯერჯერობით არ სახელდება ახალი მთავარი მწვრთნელის გვარი, თუმცა რუსული პრესის ინფორმაციით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ბიკოვის შემცვლელი გახდება ყაზანის „აკ ბარსის" დამრიგებელი **ზინეტულა ბილიალეტდინოვი.**

ბიკოვმა რუსეთის ნაკრები 2006 წელს ჩაიბარა და მისი ხელმძღვანელობით გუნდმა მსოფლიოს ხუთ ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა. 2008 და 2009 წლებში რუსებმა ოქროს მედლები მოიპოვეს, 2010-ში ვერცხლი, 2007-ში ბრინჯაო. 2010 წელს ვანკუვერის ოლიმპიადაზე რუსეთის ნაკრებმა მეოთხედფინალში ნააგო კანადის ნაკრებთან.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● არვიდას საბონისი ახლო ხედით

« 30-12 გვერდიდან

რობინსონზე გაბრაზებულმა საბასმა ბოლომდე გაამართლა აშშ-ის ნაკრების მწვრთნელის ვარაუდი - ამერიკელები მათსავე დაგრეხილ თოკზე ჩამოკიდა, 13-13 ქულა-მოხსნა მიითვალა და საბჭოელებს 82:76 გაამარჯვებინა.

ფინალში სსრკ-ს ისევ იუგოსლავია შეხვდა, თუმცა ამჯერად საბჭოთა ნაკრებმა იოლად მოიგო - 76:63. საბონისმა 20 ქულა ჩააგდო და 15-ჯერ მოხსნა.

■ ■ ■

საბასმა და **შარუნას მარჩულიონისმა** სეულშივე გადაწყვიტეს კარიერის NBA-ში გაგრძელება. შარუნასმა სიტყვა საქმედ აქცია, ხოლო არვიდასს გულმა ვერ მოუთმინა იმ წელს "ჟალგირისში" სეზონის პირველი ნახევარი ითამაშა, 53-ქულიანი რეკორდი დაამყარა და დასავლეთს მიაშურა. დასავლეთში ამერიკა არ იგულისხმება, არვიდასი უბრალო ესპანურ კლუბ "ფორუმ ფილატელიკოში" (ვალიადოლიდი) ჩაირიცხა. როდესაც მას ჰკითხეს, "პორტლენდს" ესპანეთი რატომ არჩია, მიუგო:

- ბოლო დროს უამრავი ტრავმა და ოპერაცია გადავიტანე. ამიტომ, რთული ამერიკული ვარჯიშებისთვის ჯერ მზად არ ვარ.

"ფილატელიკოში" საბონისი 800 ათას დოლარს იღებდა. ევროპაში მასზე მეტი ხელფასი (1 მილიონი დოლარი) მხოლოდ ორ NBA-მოვლილ კალათბურთელს ჰქონდა.

■ ■ ■

როგორც ყველა ვარსკვლავს, თაყვანისმცემლები არვიდასსაც არ ასვენებდნენ. სერიოზული ლიტველი, გოგონებს ერთი ტყუილით იგერიებდა – არვიდასი არ ვარ, მისი ტყუპისცალი რომასი გახლავართო. ...თუმცა, ეს მხოლოდ სანახევრო ტყუილი იყო, რადგან მშობლებმა მას დაბადების მონმობაში ორი სახელი ჩაუწერეს – არვიდასი და რომასი.

1989 წელს, ესპანეთში გამგზავრების შემდეგ საბონისს თაყვანისმცემლებისთვის აღარ ეცალა - ცხოვრების თანამგზავრი უკვე არჩეული ჰყავდა. მან მის ვილნიუსი **ინგრიდ მიკელენიტე** შესარჩევი კონკურსის ჟიურიში ყოფნისას გაიცნო და ვალიადოლიდში წაიყვანა. მათი ქორწილი მოგვიანებით, 1990 წლის 16 ივნისს, ლიტვურ კურორტ იუოდკრანტეში შედგა. ნეფე-დედოფლის ფოტოებმა მთელი მსოფლიო მოიარა – სიძე 224 სმ. სიმაღლისა იყო, პატარძალი – 164 სმ.

■ ■ ■

"ფილატელიკოდან" საბონისი მადრიდის "რეალში" გადავიდა, ოღონდ კონტრაქტში ერთი პუნქტის დამატება მოითხოვა - ჩემთან ერთად **რიმას კურტინაიტისიც** უნდა აიყვანოთო. სხვათა შორის, იგივე სახის მოთხოვნა წაუყენა ვალიადოლიდელებს და "ფილატელიკოში" მასთან ერთად **ვალდემარას ხომიჩუსი** ჩაირიცხა. 1995 წელს „რეალმა" ჩემპიონთა თასი მოიგო.

■ ■ ■

1995 წელსვე არვიდას საბონისმა ცოცხლად ნახა NBA. მანამდე პროფესიულ კალათბურთს მხოლოდ ტელევიზით ადევნებდა თვალს:

- ერთ დღეს ჩემმა მეგობარმა გამაღვიძა – ადექი, მგონი, ტელევიზორმა აურია, ყველაფერს სწრაფ რეჟიმში უჩვენებსო. თვალი გავახილე და ეკრანს დავაკვირდი. კალათბურთი იმაზე ორჯერ სწრაფად მიდიოდა, ვიდრე ჩვენ ვთამაშობდით, თუმცა ტელევიზორი არაფერ შუაში იყო - NBA-ს მატჩი მიდიოდა.

საბონისმა "პორტლენდთან" კონტრაქტი 1995 წლის 30 სექტემბერს გააფორმა, ამ გუნდში 8 წლის განმავლობაში ითამაშა და ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მეფარის სახელი მოიხვეჭა.

2003 წელს, არვიდას საბონისს "პორტლენდმა" კიდევ ერთი სეზონით დარჩენის საფასურად 7 მილიონი დოლარი შესთავაზა. ლიტველმა უარი თქვა და "ჟალგირისში" გადავიდა, სადაც ხელფასის გარეშე თამაშობდა. ასეთმა ნაბიჯმა ბევრი ამერიკელი გააოცა. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა - ასაკის მიუხედავად თამაში ჯერაც კარგად შეგიძლიათ, რატომ უარყავით "ბლეიზერსის" მილიონები?

საბონისმა უპასუხა:

- ლიტვაში იმიტომაც წავედი, რომ თამაში შემიძლია. მინდა "ჟალგირისს" ისევე დავეხმარო, როგორც ამას ადრე ვაკეთებდი. სწორედ ახლა მიცნობს ხალხი და თბილად მესალმება. თუკი დავავიწყდები, "ჟალგირისს" რაღაში დავჭირდები?!

"პორტლენდში" ნაშოვნი ფულით არვიდას საბონისმა "ჟალგირისის" აქციების სრული პაკეტი შეიძინა და დააარსა აკადემია, რომელიც საბონისის სახელს ატარებს. ამ აკადემიაში არაერთი ქართველი კალათბურთელი ვარჯიშობდა...

ვაჟა სიმონიშვილი

● კალათბურთი. NBA. ჭლეი ოფი. 1/2 ფინალი

დალასმა დასავლეთი დაიპყრო

ოკლაჰომაში ორი გამარჯვების შემდეგ შინ დაბრუნებულ „დალასს" არ სურდა ფსიქოლოგიურად გატეხილ „თანდერთან" სერიის მეექვსე მატჩამდე გაგრძელება, ამიტომაც ყველაფერი გააკეთა სერიის ხუთ მატჩში ჩასატევად.

შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, გუნდებისთვის დამახასიათებელ სწრაფ ტემპში დაიწყო. „მავერიქსს" ძალიან დამაჯერებელი სასტარტო გაქცევა გამოუვიდა - 8:2, თუმცა მოედანზე ასეთ მდგომარეობას არ შეურიგდა **რასელ უესტბრუკი**. მან **კევინ დურანტთან** ერთად ჩამორჩენა გააბათილა, მოედანზე **ჯეიმს ჰარდენის** გამოსვლის შემდეგ კი მასპინძლებმა წინ გასვლაც მოახერხეს.

პირველ ტაიმში რეზერვისტთა თამაში მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. **მეინორი, კოლისონი** და **ჰარდენი** აშკარად უგებდნენ „თავისნაირებს". „დალასიდან" **ბარეასა** და **ტერის** არა უშავდათ, მაგრამ **სტოიაკოვიჩსა** და **ჰეივუდს** თამაში არ წაუვიდათ. მეორე მეოთხედის პირველ ნაწილში „ოკლაჰომა" 8 ქულით გავიდა წინ, მაგრამ არც „დალასს" სურდა ნაადრევად დანებება. ისე კი უნდა აღინიშნოს, რომ მასპინძლები ერთგვარად მოდუნებულნი ჩანდნენ - თითქოს დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ ნებისმიერი ჩამორჩენის გაბათილებას მოახერხებდნენ. ხოსე ხუან ბარეასა და **მერიონის** ბრწყინვალე თამაშით „დალასმა" შეაჩერა მეტოქე და დიდ შესვენებაზე მხოლოდ სამქულიანი ჩამორჩენით გავიდა.

მესამე მეოთხედში თანაბარი თამაში იყო - თითოეულ მინისპურტს მეტოქე საკუთარი სპურტით პასუხობდა. ბოლოსკენ სულელური ტექნიკური პერსონალურით გაბრაზებულმა უესტბრუკმა ფანტასტიკური გარღვევა განახორციელა და დროებით „დალასის" დაცვის პრობლემები გამოაჩინა. სხვათა შორის, მთელი მეოთხედი **დირკ ნოვიცკი** ცენტრის პოზიციაზე თამაშობდა, თუმცა ამ სქემას მასპინძლებისთვის განსაკუთრებული დივიდენდები არ მოუტანია. სამაგიეროდ, „დალასმა" მაქსიმალურად შეინარჩუნა ძირითადი ცენტრი **ტაისონ ჩენდლერი**, რომელსაც ოთხი პერსონალური ჰქონდა.

ბოლო მეოთხედის პირველი ნახევარი იმაზე მიანიშნებდა, რომ „ჯოვბოებს" ოკლაჰომაში მოუწევდათ გამგზავრება მეექვსე მატჩის სათამაშოდ. დურანტი და კომპანია სტაბილურად ინარჩუნებდა 6-8-ქულიან უპირატესობას. საფინალო სირენამდე ხუთი წუთით ადრე „თანდერის" ჰანდიკაპი 7 ქულას შეადგენდა. მასპინძლები მორიგი მატჩის გადასარჩენად მოემზადნენ. ამჯერად ბოლო ხუთ წუთში არა 15, არამედ შვიდი ქულა იყო „დასაქაჩი", რაც შედარებით ამარტივებდა ამოცანას. მხსნელის როლი კი ისევ ნოვიცკიმ მოირგო. და როგორც ყოველთვის, დირკის წინააღმდეგ „ოკლაჰომას" დაცვა ან შედეგს არ იძლეოდა, ან მსაჯები ჯარიმებს უსტვენდნენ, რომლებსაც ნოვიცკი ისევ 100-პროცენტიანი სიზუსტით ესროდა (ამ პლეი ოფში დირკს ჯარიმების რეალიზაციის საუკეთესო პროცენტი აქვს - 92.4).

გერმანელს **მერიონის** თავგანწირული თამაშიც დაეხმარა და საბოლოოდ, **რიკ კარლაილის** შეგირდებმა შეძლეს სხვაობის გაბათილება. ყველაზე დაძაბულ წუთებში სტუმრებს ნერვებმა უმტყუნეს. თავიდან უესტბრუკმა ისეთ დაივიწყა პარტნიორები, ზედიზედ ორი შეცდომა დაუშვა და ნოვიცკიმ მეორე ცდიდან მეტად საჭირო სამქულიანი ჩააგდო. შემდეგ, ყოვლად გაუგებარი მიზეზით მატჩის ბოლო წუთზე, როცა ბრძოლის ბედი ლიდერებმა უნდა გადაწყვიტონ, „გმირობანას" თამაში გადაწყვიტა **ერიკ მეინორმა** - მან საშუალო მანძილიდან ააცილა, რასაც „დალასის" სწრაფი გარღვევა და მერიონის ორქულიანი მოჰყვა. ბოლო წამებზე ჰარდენისა და დურანტის სამქულიანებმა შედეგი ვერ მოიტანეს და „ოკლაჰომამ" უკვე მერამდენედ წააგო მეოთხე მეოთხედი, მასთან ერთად მატჩი და სერია.

პირველად 2006 წლის შემდეგ და მეორედ არსებობის ისტორიაში „დალასი" NBA-ის ფინალში ითამაშებს. საინტერესოა, რომ თუ „მაიამი" ასევე 4:1-ს მოუგებს „ჩიკაგოს", პირველად ბოლო 25 წლის განმავლობაში ფინალური სერია მაისში დაიწყება - პირველი მატჩი 31-ში გაიმართება. თუ აღმოსავლეთში სერია გაიწელა, ფინალის სტარტი 2 ივნისს შედგება.

დასავლეთი

დალასი-ოკლაჰომა	**100:96**

26:27, 26:28, 20:21, 28:20

დ: ნოვიცკი (26+9 მოხსნა), მერიონი (26+8 მოხსნა+3 პასი+3 დაფარება), ბარეა (14+5 პასი), ტერი (12), ჩენდლერი (9+9 მოხსნა+2 დაფარება), ჰეივუდი (7), სტოიაკოვიჩი (3), [illegible] (2+10 პასი+7 მოხსნა), სტივენსონი (1).

ო: უესტბრუკი (31+8 მოხსნა+5 პასი), დურანტი (23+9 მოხსნა), ჰარდენი (23+6 პასი+5 მოხსნა), კოლისონი (12+12 მოხსნა+2 დაფარება), მეინორი (5), იბაკა (2), პერკინსი (0+8 მოხსნა).

სერია: 4-1

გია თვალაგეიშვილი

დალასმა მცირე ფინალი მოიგო

ლეიკერსმა მწვრთნელი იპოვა

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ხელმძღვანელობამ დანაპირები აასრულა და ამ კვირაში დაასახელა ახალი მწვრთნელის ვინაობა. კალიფორნიულ კლუბს სათავეში **მაიკ ბრაუნი** ჩაუდგება, რომელიც 2005-10 წლებში „კლივლენდ კავალიერზის" მთავარი მწვრთნელი იყო. 41 წლის სპეციალისტი ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს და ჯამში ხელფასის სახით 18 მილიონ დოლარს მიიღებს.

ბრაუნმა „ლეიკერსში" **ფილ ჯექსონი** შეცვალა. ეს უკანასკნელი კალიფორნიელებთან 1999 წლიდან მუშაობდა და ხუთჯერ მოიგო ჩემპიონის ტიტული. „ლეიკერსი" ჯექსონის ხელმძღვანელობით ყოველთვის გადიოდა პლეი ოფში. წელს ლოსანჯელესურმა კლუბმა პლეი ოფის მეოთხედფინალში 0:4 წააგო „დალასთან", რის შემდეგაც 65 წლის ჯექსონი პენსიაში გავიდა.

ბრაუნმა ზედიზედ ხუთი წლის განმავლობაში გაიყვანა „კლივლენდი" პლეი ოფში და ორჯერ (2009 და 2010) გუნდს რეგულარული ჩემპიონატი მოაგებინა. მაგრამ გადამწყვეტ მატჩებში „კლივლენდს" ყოველთვის რაღაც აკლდებოდა საბოლოო წარმატების მისაღწევად. ბრაუნი 2010 წლის ზაფხულში დაითხოვეს თანამდებობიდან. „კავალერების" თამაში **ლებრონ ჯეიმსზე** იყო დამოკიდებული, მისი წასვლის შემდეგ გუნდმა ჩააგდო წლევანდელი რეგულარული.

საინტერესო ინფორმაციას აქვეყნებს ვებგვერდი - Sportando.net. მაიკ ბრაუნი უკვე შეუდგა სამწვრთნელო შტაბის დაკომპლექტებას. ამ მიზნით ის მოსკოვის ცსკა-სა და მადრიდის „რეალის" ყოფილ მწვრთნელს, ცნობილ იტალიელ სპეციალისტს **ეტორე მესინას** დაუკავშირდა და მას ასისტენტის თანამდებობა შესთავაზა. სავარაუდოდ, მესინა საბოლოო პასუხს მომავალი კვირის დასაწყისში იტყვის.

გია თვალაგეიშვილი

მაიკ ბრაუნი